

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თორნიკე თურმანიძე

ბუფერული სახელმწიფოები

საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის სრული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ზურაბ დავითაშვილი

თბილისი

2010

სარჩევი

შესავალი	3
თავი პირველი. ბუფერი – ცნება	10
თავი მეორე. ბუფერული სახელმწიფოების ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეთნო-კულტურული თავისებურებები	25
თავი მესამე. ბუფერული სახელმწიფოების გეოპოლიტიკური მდებარეობა. საქართველო – ბუფერი?	31
თავი მეოთხე. ბუფერული სახელმწიფოების ძალა და სისუსტე	45
თავი მეხუთე. ძალის პოლიტიკა და ბუფერული სახელმწიფოები	58
თავი მეექვსე. ბუფერული სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა	79
თავი მეშვიდე. ბუფერული სისტემა	90
თავი მერვე. შიდა ბუფერები	100
დასკვნა	113
დანართი 1	118
დანართი 2	120
დანართი 3	151
ბიბლიოგრაფია	163

შესავალი

ჩემი ნაშრომი *ბუფერული სახელმწიფოები* საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც სამეცნიერო დისციპლინის შედარებით არაპოპულარულ, მაგრამ საქართველოსათვის მეტად აქტუალურ სფეროს – პატარა/სუსტი სახელმწიფოების პრობლემატიკას უკავშირდება და ამ სფეროს შიგნით კიდევ უფრო ნაკლებად გამოკვლეულ – ბუფერული სახელმწიფოების საკითხს ეძღვნება. აღნიშნულ თემატიკაზე მუშაობის სურვილი, როგორც წესი, არ უჩნდება დიდი, ძლიერი სახელმწიფოს მოქალაქეს, მაშინ როდესაც პატარა, სუსტ ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანს ამ საკითხისადმი მეცნიერული ინტერესი ბუნებრივად ებადება. ამდენად, ბუფერული სახელმწიფოების ცნებისა და საერთაშორისო სისტემაში მათი როლის შესახებ მცირე კვლევის ჩატარება მე საინტერესოდ მივიჩნეე და ამ საკითხის გარკვევაში ჩემი მოკრძალებული წვლილის შეტანა გადავწყვიტე.

ბუფერული სახელმწიფოების ფენომენი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში მართლაც ნაკლებად არის შესწავლილი, მიუხედავად იმისა, რომ ბუფერების – ბუფერული ტერიტორიებისა და ბუფერული პოლიტიკური ერთეულების – არსებობის შესახებ კაცობრიობის ისტორიის უძველესი პერიოდიდან არის ცნობილი. სიტყვა „ბუფერი“ და სიტყვათა შეთანხმება „ბუფერული სახელმწიფო“ საკმაოდ ხშირად იხმარება როგორც საერთაშორისო, ისე ქართულ პოლიტიკურ ლექსიკონში, მაგრამ ამ ტერმინების ზუსტი მნიშვნელობა უმეტესწილად ბუნდოვანი რჩება. ამასთან, საზოგადოდ მიჩნეულია, რომ ისტორიის მანძილზე საქართველოს ტერიტორია არაერთხელ ასრულებდა ბუფერის როლს სხვადასხვა დიდ იმპერიას შორის და, შესაძლოა, ამჟამადაც ეს ფუნქცია ეკისრებოდეს. ყოველივე ამის გამო, მე გადავწყვიტე გამერკვია: თუ რას ნიშნავს ზუსტად ტერმინი „ბუფერული სახელმწიფო“ თეორიაში? რა თვისებები ახასიათებთ ბუფერულ სახელმწიფოებს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების მოქმედ პირებს? რა უარყოფითი თუ დადებითი შედეგები მოაქვს ქვეყნისათვის ბუფერულ პოლიტიკურ ერთეულად ყოფნას პრაქტიკული თვალსაზრისით? ასევე, რომელი სახელმწიფოები შეიძლება იწოდებოდნენ ბუფერებად – როგორც წარსულში, ისე აწმყოში? და რამდენად შესაძლებელია ამ ტერმინის დღევანდელი საქართველოსადმი მისადაგება? ჩემი ნაშრომი სწორედ ამ და სხვა კითხვებზე პასუხების გაცემას ცდილობს.

ჩემი ნაშრომის უმთავრესი მიზნებია:

- „ბუფერული სახელმწიფოს“ ცნების თეორიული განსაზღვრების ჩამოყალიბება და საერთაშორისო ასპარეზზე ამ კატეგორიის სახელმწიფოების ამოსაცნობად საჭირო კრიტერიუმების დადგენა, – მათ შორის, იმ გარემოებების განსაზღვრა, რომელთა გამოც სახელმწიფოები საერთაშორისო პოლიტიკაში ბუფერული ან სხვა მსგავსი როლის შემსრულებლები ხდებიან;
- ბუფერული სახელმწიფოების დამახასიათებელი თვისებების წარმოჩენა ისეთ ასპექტებში, როგორებიცაა გეოგრაფიული და ეთნო-კულტურული თავისებურებები, გეოპოლიტიკური მდებარეობა, სამხედრო-პოლიტიკური ძალა/ძლიერება და გავლენა;
- დიდი/ძლიერი სახელმწიფოების გლობალური თუ რეგიონული ჰეგემონიისათვის ბრძოლის პატარა/სუსტ სახელმწიფოებზე გავლენისა და ამ პროცესში უკანასკნელთა მიერ ბუფერული ფუნქციის შესრულების როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე გამოცდილების შესწავლა;
- ბუფერული სახელმწიფოების საგარეო-პოლიტიკური ქცევისა და საერთაშორისო სისტემაში სხვა ელემენტებთან ურთიერთქმედების სპეციფიკური მოდელების გამოვლენა და გაანალიზება;
- სახელმწიფოთა შემადგენელი ცალკეული რეგიონების ბუფერებად აღქმისა და გამოყენების შემთხვევების გამოკვლევა;
- ყოველივე ზემოხსენებულთან მიმართებაში საქართველოს წარსული და ამჟამინდელი მდგომარეობის შეფასება.

ნაშრომის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე, კვლევა ბუფერის ფენომენტთან დაკავშირებულ რამდენიმე სხვა საკითხსაც შეეხება.

ჩემი ნაშრომი მთლიანად საერთაშორისო ურთიერთობების ყველაზე გავლენიან პარადიგმას/თეორიას *რეალიზმს* ეყრდნობა – არა იმიტომ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სხვა პარადიგმები და თეორიები ჩემთვის მიუღებელია, არამედ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს საერთაშორისო სისტემის ბუფერულ ელემენტად აღქმა საერთაშორისო

პოლიტიკური პროცესების სწორედ *რეალიზმის* თეორიული პრიზმით ხედვასა და საერთაშორისო პოლიტიკაზე გეოგრაფიული ფაქტორების გავლენის აღიარებას ანუ *რეალიზმის* თეორიულ სკოლასთან დაკავშირებული *გეოპოლიტიკური* მიდგომის გამოყენებასაც გულისხმობს. ამასთან, *რეალისტური* ხედვის არაერთი აღიარებული სისუსტის მიუხედავად, მისი სიცოცხლისუნარიანობა და სარგებლიანობა, ვფიქრობ, მაინც დიდია იმდენად, რამდენადაც XXI საუკუნის მსოფლიოში კვლავ ფართოდ გავრცელებულია *რეალპოლიტიკის* თამაშის წესები და საერთაშორისო ურთიერთობების ძალაუფლების, უსაფრთხოებისა და გავლენისათვის ბრძოლის ასპექტში განხილვა, ხშირ შემთხვევაში, ყველაზე კარგად სცემს პასუხს იმ კითხვებს, რომლებიც სახელმწიფოებს შორის მეტოქეობისა და კონფლიქტების შესწავლისას იბადება. მართალია, მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ მხოლოდ *რეალისტური* და *გეოპოლიტიკური* მიდგომებით სრულყოფილად შეიძლება აიხსნას იმ ქვეყნების ბედი და საგარეო პოლიტიკა, რომლებსაც ბუფერებს უწოდებენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამგვარი ანალიზი მათი პრობლემების გაცნობიერებისა და მოგვარების გზების ძიების საუკეთესო საშუალებაა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოცემულ ნაშრომში მე საერთაშორისო ურთიერთობების *რეალისტური* პარადიგმის ჩარჩოებს არ გავცდები და შემდეგ ძირითად დებულებებს გავიზიარებ:

1. საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი მოქმედი პირები სახელმწიფოები არიან;
2. სახელმწიფოები საერთაშორისო ურთიერთობების უნიტარული (ანუ ერთიანი, განუყოფელი) მოქმედი პირები არიან;
3. სახელმწიფოები საერთაშორისო ურთიერთობების რაციონალური მოქმედი პირები არიან, რომლებიც საკუთარი ძალაუფლების/ძლიერების მაქსიმიზაციას ცდილობენ;
4. სახელმწიფოების უპირველესი საზრუნავი ანუ ინტერესთა იერარქიის მწვერვალი ეროვნული უსაფრთხოებაა.¹

¹ Paul Viotti and Mark Kauppi, *International Relations Theory. Realism, Pluralism, Globalism* (New York: Macmillan, 1987), 6, 7, 11, 32-34.

საერთაშორისო პოლიტიკაში ბუფერული სახელმწიფოების როლის შესაფასებლად, საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზის ოთხი ფართოდ აღიარებული დონიდან, ძირითადად მესამე „საერთაშორისო სისტემის“ დონეს გამოვიყენებ, რომელიც სახელგანთქმული ამერიკელი მეცნიერის, *ნეორეალიზმის* სკოლის ფუძემდებლის კენეთ უოლცის მიერ არის შემოთავაზებული და სახელმწიფოთა ქცევის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად საერთაშორისო სისტემას ასახელებს.² როგორც ცნობილი ებრაელი მეცნიერი მაიკლ ჰანდელი მართებულად აღნიშნავს: „საშინაო ფაქტორები სუსტი ქვეყნების საგარეო პოლიტიკაზე მცირე გავლენას ახდენს, ვინაიდან საერთაშორისო სისტემა სუსტ სახელმწიფოებს, ძლიერებთან შედარებით, ნაკლებად აძლევს თავისუფალი არჩევნის გაკეთების საშუალებას.“³ საერთაშორისო პოლიტიკის ანალიზის დანარჩენი დონეები: პირველი „პიროვნული“, მეორე „შინასახელმწიფოებრივი“ (რომლებიც აგრეთვე კენეთ უოლცმა დაამკვიდრა) და მეოთხე „გლობალური“, ნაშრომის მთავარ მიზნებს პირდაპირ არ უკავშირდება და მათი აქტიურად გამოყენება ნაშრომს მხოლოდ ბუნდოვანს გახდის. თუმცადა, კვლევის პროცესში რამდენიმე ადგილას ანალიზის მესამე „საერთაშორისო სისტემის“ დონე მეორე „შინასახელმწიფოებრივი“ დონესთან მაინც გადაიკვეთება, რაც კონკრეტული საკითხის უკეთ გარკვევის საჭიროებიდან გამომდინარე გაკეთდება. ნაშრომში აქტიურად იქნება ასევე გამოყენებული რეგიონული მიდგომა, როგორც შუალედური ანალიზის დონე, რომელიც, გამოჩენილი ბრიტანელი მეცნიერის ბარი ბუზანის ხედვით, საერთაშორისო უსაფრთხოების კვლევებში ანალიზის მესამე და მეორე დონეებს შორის არსებულ უფსკრულს ავსებს.⁴

ნაშრომში გამოყენებული კვლევის მეთოდები ძირითადად ხარისხობრივია და გულისხმობს ბუფერული სახელმწიფოებისა და ზოგადად პატარა/სუსტი სახელმწიფოების შესახებ არსებული მეცნიერული ლიტერატურის დამუშავებისა და პირადი დაკვირვების შედეგად გამოტანილი ლოგიკური დასკვნებით, ანუ

² იხილეთ: Kenneth Waltz, *Man, the State and War* (New York: Columbia University Press, 1954); კენეთ უოლცი, *ადამიანი, სახელმწიფო და ომი*, მთარგ. თორნიკე თურმანიძე და ერეკლე ურუშაძე (თბილისი: GCI, 2003).

³ Michael Handel, *Weak States in the International System* (London: Frank Cass, Second Edition, 1990), 3.

⁴ Barry Buzan, *People, States and Fear: An Agenda for International Security Studies in the Post-Cold War Era* (Boulder: Lynne Rienner Publishers, Second Edition, 1991), 187.

როგორც თეორიული ისე ემპირიული მეთოდებით, ბუფერული სახელმწიფოების ქცევის დახასიათებას – აღწერას, ახსნას და პროგნოზირებას. თუმცა, შედარებით მწირად გამოყენებული იქნება კვლევის რაოდენობრივი მეთოდებიც.

დღემდე საერთაშორისო ურთიერთობების ლიტერატურაში უშუალოდ ბუფერული სახელმწიფოების შესახებ მხოლოდ ცალკეული ავტორების მიერ რამდენიმე სტატია იყო დაწერილი. უფრო ხშირად კი ამ საკითხს გეოპოლიტიკისა და პატარა/სუსტი ქვეყნების თემატიკაზე მომუშავე მეცნიერები თავიანთ ნაშრომებში მცირე ადგილს უთმობდნენ ხოლმე. წინამდებარე კვლევაში გამოყენებული ლიტერატურიდან ძირითადად აღსანიშნავია: 1986 წელს აშშ-ში გამოცემული კრებული *ბუფერული სახელმწიფოები მსოფლიო პოლიტიკაში* ამერიკელების ჯონ ჩეისა და თომას როსის რედაქტორობით, რომელშიც 12 სხვადასხვა ავტორის სტატიებია შესული; 1940-იან წლებში საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისური სკოლის ფუძემდებლის მარტინ უაითის მიერ შესრულებული და 1970-იან წლებში გამოქვეყნებული სტატია „ძალის მოდელი;“ 1930-იანი წლების ბოლოსა და 1940-იან წლების დასაწყისში გეოპოლიტიკის ამერიკული სკოლის მამამთავრის ნიკოლას სპაიკმენის მიერ დაწერილი რამდენიმე სტატია; ებრაელი მეცნიერის მაიკლ პარტემის 1983 წლის სტატია „ბუფერული სისტემა საერთაშორისო ურთიერთობებში“ და ბელგიელი მეცნიერის სტეფან დე სპიგელეირის 1994 წლის სტატია „ბუფერებისა და ხიდების შესახებ: ზოგიერთი გეოდეზიური მოსაზრება სტაბილურობაზე ცივი ომის შემდგომ ეპოქაში.“ კვლევაში აქტიურად არის ასევე გამოყენებული პატარა/სუსტი სახელმწიფოების შესახებ დაწერილი ისეთი ცნობილი წიგნები, როგორცაა მაიკლ ჰანდელის *სუსტი სახელმწიფოები საერთაშორისო სისტემაში* (1981, 1990), ამერიკელი რობერტ როტსტაინის *ალიანსები და პატარა სახელმწიფოები* (1968), ნორვეგიელი ტრივეე მატისენის *პატარა ქვეყნების ფუნქციები დიდ სახელმწიფოთა სტრატეგიებში* (1971) და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიისა და პატარა ქვეყნების პრობლემატიკისადმი მიძღვნილი პირველი ქართულენოვანი ნაშრომების ავტორის, საქართველოში საერთაშორისო ურთიერთობების პირველი კათედრის დამაარსებლის ალექსანდრე რონდელის წიგნი *პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში* (2003, 2009). ამას გარდა, სხვადასხვა კონკრეტული საკითხის განხილვისათვის კვლევაში მოხმობილია ისტორიკოსთა, პოლიტიკურ ფილოსოფოსთა, საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკოს თუ თანამედროვე მეცნიერთა

წიგნები და სტატიები, სახელმწიფო მოღვაწეთა გამონათქვამები, საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები, ეროვნული მთავრობების ოფიციალური ინფორმაცია, სამართლებრივი დოკუმენტები, გეოგრაფიული ატლასები, სტატიები ენციკლოპედიებიდან და პერიოდული ინტერნეტ გამოცემებიდან, და ა.შ.

შეიძლება ითქვას, რომ ჩემი ნაშრომი საგანგებოდ ბუფერული სახელმწიფოების საკითხისადმი მიძღვნილ მსოფლიოში ერთადერთ *ერცულ* კვლევას წარმოადგენს, რომელიც ამ თემასთან დაკავშირებული ყველა არსებული მცირე კვლევის კრიტიკულ გაანალიზებას, შეჯამებას, თეორიულ განვრცობასა და წარსულისა თუ თანამედროვეობისადმი ემპირიულ მისადაგებას ახდენს. ჩემი ნაშრომის სარგებლიანობა და აქტუალურობა, ალბათ, მნიშვნელოვანწილად იმაშიც მდგომარეობს, რომ ის ბუფერული და სხვა მსგავსი სახელმწიფოების შესახებ თეორიული ცოდნის არა მარტო კომპილირებისა და განვრცობის, არამედ მისი საქართველოს ისტორიისა და თანამედროვეობისადმი მისადაგების მცდელობას წარმოადგენს.

დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემს მიერ წინამდებარე ნაშრომში შემოთავაზებული თეორიული/ანალიტიკური მოდელი და მსჯელობა მრავალი პატარა/სუსტი ქვეყნის ხელისუფლებასა და საზოგადოებას მათ წინაშე არსებული საერთაშორისო პოლიტიკური რეალობის უკეთ აღქმასა და, შესაბამისად, უფრო გონივრული საგარეო-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება.

ნაშრომი შედგება შესავლის, რვა თავისა და დასკვნისაგან. ბუფერული სახელმწიფოების ფენომენის ზოგადი თეორიული ანალიზის, მასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხების თემატურად დაყოფისა და უკეთ შესწავლის მიზნით, ჩემს კვლევაში მე თანამიმდევრულად შევეცდები ვუპასუხო შემდეგ კითხვებს:

- პირველ თავში: რა არის ბუფერული სახელმწიფო? (რათა შემდგომში ბუფერული სახელმწიფოს ცნების ზუსტად ჩამოყალიბებული განსაზღვრებით ვიხელმძღვანელო;)
- მეორე თავში: რა ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეთნო-კულტურული თავისებურებები გააჩნიათ ბუფერულ სახელმწიფოებს?

- მესამე თავში: როგორი გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვთ ბუფერულ სახელმწიფოებს? რომელი სახელმწიფოები იყვნენ წარსულში და/ან არიან ამჟამად ბუფერები? როდის იყო და არის თუ არა დღეს საქართველო ბუფერული სახელმწიფო?
- მეოთხე თავში: რა ადგილს იკავებენ ბუფერული სახელმწიფოები ძალთა საერთაშორისო იერარქიაში? როგორ შეიძლება ძალის/ძლიერების განზომილებით მათი შესაძლებლობების შეფასება საერთაშორისო ასპარეზზე?
- მესამე თავში: როგორია დიდი/ძლიერი სახელმწიფოების პოლიტიკა ბუფერული სახელმწიფოების მიმართ? რაში მდგომარეობს მეტოქე ძლიერი სახელმწიფოებისა და სუსტი, პოტენციურად ბუფერული სახელმწიფოების ურთიერთობის ლოგიკა ანარქიულ საერთაშორისო გარემოში?
- მეექვსე თავში: რა არის ბუფერული სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის შესაძლო ტიპები და ის ფაქტორები, რომლებიც მათ შორის არჩევანს განაპირობებს?
- მეშვიდე თავში: როგორ ფუნქციონირებს ბუფერული სისტემა, როგორც საერთაშორისო სისტემის ქვესისტემა? და
- მერვე თავში: როგორია შიდა ბუფერული ერთეულების ანუ სახელმწიფოთა შემადგენელი ცალკეული რეგიონების/ტერიტორიების ბუფერებად გამოყენების პრაქტიკა და საქართველოს ამჟამინდელი მდგომარეობის მიმართება ამ საკითხთან? როგორ აიხსნება ამ კუთხით რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია?

თავი პირველი. ბუფერი – ცნება

ტერმინი „ბუფერი“ (Buffer) პოლიტიკური ერთეულის მიმართ პირველად გამოიყენებულ იქნა 1876 წელს, ხოლო ტერმინი „ბუფერული სახელმწიფო“ (Buffer State) – 1883 წელს. ორივე შემთხვევაში ინგლისელებმა ამგვარად ავლანეთი მოიხსენიეს, რომელიც იმუამად ექსპანსიის პროცესში მყოფი რუსეთისა და ბრიტანეთის იმპერიების ინტერესთა სფეროების გამმიჯვნელ ტერიტორიას წარმოადგენდა ცენტრალურ აზიაში.⁵

ინგლისური ენის განმარტებით ლექსიკონებსა და ინგლისურენოვან ენციკლოპედიებში სიტყვა „ბუფერის“ მრავალი მნიშვნელობაა მოცემული. ზოგადი განსაზღვრებით, ბუფერი არის:

- ის, რაც ამცირებს ან შთანთქავს დარტყმის ძალას;
- ის, რაც იცავს რაიმეს საწინააღმდეგო ზემოქმედებისა და გავლენისაგან, მისი შეკავების ან შემსუბუქების გზით;
- ის, რაც აშორიშორებს პოტენციურად ანტაგონისტურ ერთობებს; მეტოქე ძალებს შორის მოქცეული ტერიტორია, რომელიც კონფლიქტის საფრთხის შემცირებას ემსახურება;⁶
- ნებისმიერი მოწყობილობა ან საგანი, რომელიც შეჯახების სიმძლავრეს ან კონტაქტის შედეგად მიღებული დარტყმის ზიანს ამცირებს;
- ნებისმიერი რამ, რაც დამცავ ბარიერად გამოიყენება;⁷
- რაიმე მოხვედრილი ორ ძლიერ ძალას შორის, რომელიც მათ შეტაკებას უშლის ხელს.⁸

⁵ Thomas Ross, “Buffer States: A Geographer’s Perspective,” in *Buffer States in World Politics*, ed. John Chay and Thomas Ross (Boulder: Westview Press, 1986), 16. დიდი ბრიტანეთისა და რუსეთის მეტოქეობა ცენტრალურ აზიაში XIX საუკუნიდან XX საუკუნის დასაწყისამდე ისტორიაში „დიდი თამაშის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

⁶ “Buffer²,” *The American Heritage Dictionary of the English Language* (Houghton Mifflin Company, Fourth Edition, 2000), <http://www.bartleby.com/61/31/B0533100.html> (accessed 10.06.2009).

⁷ “Buffer²,” *Merriam-Webster Online Dictionary* (Merriam-Webster, Inc., 2005), <http://www.m-w.com/dictionary/buffer> (accessed 10.06.2009).

⁸ “Buffer,” *The Dictionary of Government and Politics*. ed. P. H. Collin (Middlesex: Peter Collin Publishing, Second Edition, 1997), 33, 34.

პოლიტიკის გარდა, ტერმინი „ბუფერი“ გამოიყენება ტექნიკის, ქიმიის, კომპიუტერებისა და სხვა სფეროებში. ასე მაგალითად: *ტექნიკაში*: მოწყობილობა დარტყმების შესამსუბუქებლად (განსაკუთრებით სარკინიგზო ვაგონებზე);⁹ *ქიმიაში*: ხსნარი, რომელიც მუდმივ მუავიანობას ინარჩუნებს ანუ ახდენს წყალბადის იონების სტაბილიზაციას მასში დამატებული მჟავის ან ტუტის ნეიტრალიზაციის გზით;¹⁰ *კომპიუტერებში*: ინფორმაციის დროებითი შესანახი ადგილი;¹¹ და ა.შ.

ქართულ ენციკლოპედიურ გამოცემებში სიტყვა „ბუფერის“ მხოლოდ ტექნიკური განმარტებებია მოცემული: ბუფერი – ზამბარიანი რკინის დისკო ჯახების შესარბილებლად (ვაგონის, ლოკომოტივის თავსა და ბოლოში);¹² ბუფერის დანიშნულებაა დარტყმების მიღება და შერბილება ავარიის დროს.¹³

ინგლისური სიტყვა „ბუფერი“ (Buffer) სავარაუდოდ წარმოებულია ინგლისური სიტყვიდან “buff” რაც, როგორც არსებითი სახელი, რბილ, სქელ ტყავს (ძირითადად კამეჩის გადამუშავებულ ტყავს), ხოლო როგორც ზმნა, რაიმე საგნის ზედაპირის მოპრიალებას, შერბილებას ნიშნავს. თავის მხრივ, სიტყვა “buff” ან კამეჩის ინგლისური მნიშვნელობიდანაა მიღებული (ინგლისური *buffalo* < გვიანლათინური *bubalus* < ბერძნული *βουβαλος*) ან უბრალოდ მსუბუქი სხეულის დარტყმის ხმის იმიტაციას წარმოადგენს. ბუფერის სინონიმებია: ბარიერი, ფარი, დამცველი, ჯებირი, ზღუდე, ბამპერი, ბალიში და სხვა.¹⁴

⁹ “Buffer,” *The Concise Oxford Dictionary of Current English*, ed. J. Sykes (Oxford: Clarendon Press, Seventh Edition, 1982), 118; “Buffer,” “Buffer²,” *The American Heritage Dictionary of the English Language* (Fourth Edition, 2000, Houghton Mifflin Company), <http://www.bartleby.com/61/31/B0533100.html> (accessed 10.06.2009).

¹⁰ “Buffer,” *The Columbia Encyclopedia* (Sixth Edition, 2001-2005), <http://www.bartleby.com/65/bu/buffer.html> (accessed 10.06.2009).

¹¹ “Buffer²,” *The American Heritage Dictionary of the English Language* (Houghton Mifflin Company, Fourth Edition, 2000), <http://www.bartleby.com/61/31/B0533100.html> (accessed 11.06.2009).

¹² „ბუფერი“, *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, ერთტომეული, რედ. ა. ჩიქობავა (თბილისი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1986), 65.

¹³ „ბუფერი“, *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, II (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1977), 590.

¹⁴ “Buffer,” *The Concise Oxford Dictionary of Current English*, ed. J. Sykes (Oxford: Clarendon Press, Seventh Edition, 1982), 118; “Buffer²,” *The American Heritage Dictionary of the English Language* (Houghton Mifflin Company, Fourth Edition, 2000), <http://www.bartleby.com/61/31/B0533100.html> (accessed 11.06.2009).

ინგლისური ენის ლექსიკონებში ტერმინი „ბუფერული სახელმწიფო“ (Buffer State) ძირითადად ასეა განმარტებული:

- პატარა სახელმწიფო ორ შესაძლო მეტოქე ძალას შორის, რომელიც მათ შორის ომის დაწყების ალბათობას ამცირებს;¹⁵
- ორ მეტოქე და პოტენციურად მტრულ სახელმწიფოს შორის მდებარე ნეიტრალური სახელმწიფო, რომელიც მათ შორის კონფლიქტის თავიდან აცილებას ემსახურება;¹⁶
- ნეიტრალური სახელმწიფო, რომელიც ორ უფრო დიდ, პოტენციურად მეტოქე სახელმწიფოს შორის არის განლაგებული;¹⁷
- პატარა ნეიტრალური სახელმწიფო, რომელიც ორ პოტენციურად მოწინააღმდეგე ძალას შორის არის მოქცეული და მათ შორის კონფლიქტის რისკს ამცირებს;¹⁸
- სახელმწიფო, რომელიც უფრო დიდ, პოტენციურად მტრულ სახელმწიფოებს შორის მდებარეობს.¹⁹

ტერმინი „ბუფერული ზონა“ (Buffer Zone) კი იმავე ინგლისურენოვან გამოცემებში შემდეგნაირად არის ახსნილი:

- ნეიტრალური ტერიტორია მტრულ ან მეომარ ძალებს შორის, რომელიც კონფლიქტის თავიდან აცილებას ახდენს;²⁰

¹⁵ “Buffer State,” *The Concise Oxford Dictionary of Current English*, ed. J. Sykes (Oxford: Clarendon Press, Seventh Edition, 1982), 118.

¹⁶ “Buffer State,” *The American Heritage Dictionary of the English Language* (Houghton Mifflin Company, Fourth Edition, 2000), <http://www.bartleby.com/61/32/B0533200.html> (accessed 11.06.2009).

¹⁷ “Buffer State,” *Merriam-Webster Online Dictionary* (Merriam-Webster, Inc., 2005), <http://www.m-w.com/dictionary/buffer%20state> (accessed 11.06.2009).

¹⁸ “Buffer State,” *Encarta World English Dictionary* (Microsoft Corporation, North American Edition, 2006), http://encarta.msn.com/dictionary_1861694156/buffer_state.html (accessed 11.06.2009).

¹⁹ “Buffer State,” *Random House Unabridged Dictionary* (Random House, Inc., on Infoplease, 1997), <http://www.infoplease.com/ipd/A0354846.html> (accessed 11.06.2009).

²⁰ “Buffer Zone,” *The American Heritage Dictionary of the English Language* (Houghton Mifflin Company, Fourth Edition, 2000), <http://www.bartleby.com/61/33/B0533300.html> (accessed 12.06.2009).

- ნეიტრალური ტერიტორია, რომელიც მტრულ ძალებს შორის მდებარეობს და მათ შორის კონფლიქტის რისკს ამცირებს. არეალი, რომელიც წარმოადგენს ბარიერს პოტენციური კონფლიქტის ან შეიარაღებული შეტაკების თავიდან ასაცილებლად;²¹
- ნეიტრალური ზონა ან არეალი ორ პოტენციურად მტრულ სახელმწიფოს შორის, რომელიც შექმნილია დაუფარავი აგრესიის შესაკავებლად. ტერიტორია პოტენციური კონფლიქტის შესამცირებლად ან გასანეიტრალებლად.²²

აქვე, აუცილებელია, ხაზი გაესვას განსხვავებას ტერმინის „ბუფერული ზონა“ ორ მნიშვნელობას შორის: პირველ შემთხვევაში, ეს არის ერთი ან მეტი ბუფერული სახელმწიფოს მომცველი ტერიტორია, მეორე შემთხვევაში კი, კონფლიქტურ ან სასაზღვრო რეგიონში, მხარეთა გამიჯვნის მიზნით, საერთაშორისო შეთანხმებით დადგენილი სპეციალური დემილიტარიზებული ზონა. ამ ნაშრომში ეს ტერმინი ძირითადად პირველი მნიშვნელობით იქნება მოხსენიებული. თუმცა, უკანასკნელ თავში მეორე მნიშვნელობითაც იქნება გამოყენებული.

საერთაშორისო ურთიერთობების ლიტერატურაში ბუფერული სახელმწიფოს ცნების ახსნის პირველი მცდელობები 1930-იან წლებში გაჩნდა. ამერიკელი მეცნიერი პიტმან პოტერი 1930 წელს გამოცემულ *სოციალური მეცნიერებების ენციკლოპედიაში* წერდა: „ტერმინი [„ბუფერული სახელმწიფო“] ხშირად იხმარება სუსტი, ზომით პატარა, დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის არმქონე სახელმწიფოს დასახასიათებლად, რომელიც ორ ან მეტ ძლიერ სახელმწიფოს შორის მდებარეობს და, ამრიგად, საერთაშორისო აგრესიას აბრკოლებს.“²³

1940-იან წლებში ბუფერული სახელმწიფოების ფენომენმა ნიკოლას სპაიკმენის ყურადღება მიიპყრო. სპაიკმენის განმარტებით, ბუფერები არიან

²¹“Buffer Zone,” *Encarta World English Dictionary* (Microsoft Corporation, North American Edition, 2006), http://encarta.msn.com/dictionary_1861694158/buffer_zone.html (accessed 12.06.2009).

²² “Buffer Zone,” *Random House Unabridged Dictionary* (Random House, Inc., on Infoplease, 1997), <http://www.infoplease.com/ipd/A0354848.html> (accessed 12.06.2009).

²³ Pitman Potter, “Buffer State,” *Encyclopedia of Social Sciences*, No. 3-4, 1930, 45.

„მცირე პოლიტიკური ერთეულები, განლაგებულნი უფრო დიდ სახელმწიფოებს შორის.“²⁴

რეალიზმის ამერიკული სკოლის პატრიარქმა ჰანს მორგენტაუმ კი 1948 წელს გამოქვეყნებულ თავის კლასიკურ ნაშრომში *პოლიტიკა ერებს შორის* ბუფერული სახელმწიფოები განმარტა, როგორც „სუსტი სახელმწიფოები, რომლებიც ძლიერ სახელმწიფოებთან ახლოს მდებარეობენ და მათ სამხედრო უსაფრთხოებას ზრდიან.“²⁵

1950-იანი წლების მიწურულს ბუფერულ სახელმწიფოებს მეტად საინტერესო შრომა მიუძღვნა მარტინ უაითმა – ეს იყო მისი სტატია „ძალის მოდელი“, რომელიც შემდგომ ცნობილ კრებულში *ძალის პოლიტიკა* იქნა შეტანილი. უაითის განსაზღვრებით: „ბუფერული სახელმწიფო არის სუსტი ძალა (სახელმწიფო) მოქცეული ორ ან მეტ უფრო ძლიერ ძალას (სახელმწიფოს) შორის, რომელიც შენარჩუნებულია ან სულაც შექმნილია მათ შორის კონფლიქტის შესამცირებლად. ბუფერული ზონა კი ორ ან მეტ ძლიერ ძალას (სახელმწიფოს) შორის მდებარე რეგიონია, რომელიც ერთ ან მეტ უფრო სუსტ ძალას (სახელმწიფოს) უკავია; მას ზოგჯერ „ძალის ვაკუუმსაც“ უწოდებენ.“²⁶

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ბუფერული სახელმწიფოების შესწავლა პატარა/სუსტი ქვეყნების საერთო კვლევის კუთხით მიმდინარეობს. უკანასკნელ ათწლეულებში ბუფერული სახელმწიფოს ცნების რამდენიმე უფრო ვრცელი განმარტება შემუშავდა.

ტრიგვე მატისენის თანახმად, ტერმინი „ბუფერი“ აღნიშნავს დამცავ ან შემაკავებელ მექანიზმს, რომელიც დარტყმის ძალას ასუსტებს ან შეჯახებისას დარტყმის ძირითად ძალას თავის თავზე იღებს. აქედან გამომდინარე, მისი თქმით: „ბუფერული სახელმწიფო განიმარტება, როგორც პატარა, დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც ორ უფრო დიდ, ძირითადად მეტოქე სახელმწიფოს შორის მდებარეობს. ის ბუნებრივად შეიძლება წარმოვიდგინოთ

²⁴ Nicholas Spykman, “Frontiers, Security and International Organization,” *Geographical Review*, Vol. 32, No. 3 (1942): 440.

²⁵ Hans Morgenthau, *Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace*, revised by Kenneth Thompson (New York: McGraw-Hill, Sixth Edition, 1985), 196.

²⁶ Martin Wight, *Power Politics*, ed. Hedley Bull and Carsten Holbraad (London: Leicester University Press, Royal Institute of International Affairs, 1995), 160.

პოლიტიკურ დამცავ საშუალებად, რომელიც ძლიერი მეზობლების ურთიერთშეტაკების საფრთხეს ამცირებს. ჩვენს დროში [მატისენი ამას 1971 წელს წერდა] შესაძლებელია არა მარტო მეტოქე სახელმწიფოებს, არამედ მეტოქე ბლოკებს შორის არსებულ ბუფერულ სახელმწიფოებზე საუბარი. ამგვარ ბლოკებს ან კოალიციებს შორის მდებარე ბუფერული სახელმწიფოების პოლიტიკური ფუნქცია მეტ-ნაკლებად იგივეა, რაც ძლიერ ქვეყნებს შორის მოქცეული ბუფერული სახელმწიფოებისა.²⁷

გამოჩენილი ნორვეგიელი მეცნიერის ოლაფ კნუდსენის აზრით: „ტერიტორია შეიძლება ჩაითვალოს პოტენციურ ბუფერულ არეალად, თუ მას აკონტროლებს ერთი ან მეტი პატარა სახელმწიფო და თუ ის ორ მოწინააღმდეგე – გაცილებით უფრო დიდ – ძალას შორის მდებარეობს.“²⁸

ამერიკელი მეცნიერი ლოურენს ზირინგი მიიჩნევს, რომ „ბუფერული სახელმწიფოები [საერთაშორისო ურთიერთობების] მეორეხარისხოვანი მონაწილეები არიან, მოხვედრილნი უფრო მეტი ძალაუფლებით დაჯილდოებულ, პატივმოყვარე და ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისადმი აგრესიულად განწყობილ ერთობებს შორის.“²⁹

ბუფერებს აგრეთვე უწოდებენ „სისუსტის არეალებს, რომლებიც ძლიერების არეალების გასამიჯნად და მათ შორის კონფლიქტის წარმოშობის შესაძლებლობათა შესამცირებლად გამოიყენება.“³⁰

ბუფერული სახელმწიფოს ზემომოყვანილ ზოგად განსაზღვრებებს შორის თითქმის არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს, მაგრამ ამ ცნების უფრო დეტალური ახსნის მცდელობების შესწავლისას ირკვევა, რომ ბუფერული სახელმწიფოს იდეა ყველა მეცნიერს ერთნაირად არ ესმის.

²⁷ Trygve Mathisen, *The Functions of Small States in the Strategies of the Great Powers* (Oslo: Universitetsforlaget, 1971), 107.

²⁸ Olav Knudsen, “Eastern Europe: The Buffer Effect of a Cordon Sanitaire,” in *Buffer States in World Politics*, ed. John Chay and Thomas Ross (Boulder: Westview Press, 1986), 90.

²⁹ Lawrence Ziring, “Asia’s Pivotal Buffer States,” in *Buffer States in World Politics*, ed. John Chay and Thomas Ross (Boulder: Westview Press, 1986), 153.

³⁰ Martin Glassner and Harm De Blij, *Systematic Political Geography* (New York: John Wiley and Sons, 1989), 236, ციტირებულია ნაშრომში: ალექსანდრე რონდელი, *პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში* (თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, „ნეკერი“, მეორე გამოცემა, 2009), 164.

მაიკლ პარტემი ბუფერული სახელმწიფოს ცნებაში სამ ელემენტს გამოყოფს:

1. *გეოგრაფიული მდებარეობა*: ბუფერული სახელმწიფო ორ დიდ სახელმწიფოს შორის მდებარეობს;
2. *შესაძლებლობათა განაწილება*: ბუფერი პატარა [სუსტი] სახელმწიფოა ორ დიდ [ძლიერ] მეზობელს შორის;
3. *საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია*: ბუფერი „დამოუკიდებელია“* და მისი ძლიერი მეზობლები, როგორც წესი, მეტოქე სახელმწიფოები არიან.³¹

ტერმინ „ბუფერული სახელმწიფოს“ განსაზღვრებისას სტევან დე სპიგელერიც სამ ელემენტზე ამახვილებს ყურადღებას:

1. *გეოგრაფიული ელემენტი*. ბუფერი დაბუფერებულ (buffered) მონაწილეებს შორის უნდა მდებარეობდეს;
2. *ძალის იერარქიის ელემენტი*. ბუფერის ძალა მნიშვნელოვნად უნდა ჩამოუვარდებოდეს ორივე დაბუფერებული მონაწილისას;
3. *პოლიტიკური ელემენტი*. ბუფერული სახელმწიფო საერთაშორისო სისტემის ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, სუვერენული მონაწილე* უნდა იყოს.

დე სპიგელერი აღნიშნავს, რომ უკანასკნელი (პოლიტიკური) ელემენტი ბუფერული სისტემის ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა. როდესაც მხოლოდ პირველი და მეორე ელემენტებია მოცემული, ორი ლოგიკური შესაძლებლობა არსებობს: 1) აღნიშნული სახელმწიფო უშუალოდ დამოკიდებულია რომელიმე უფრო ძლიერ სახელმწიფოზე და მის გაფართოებულ თავდაცვის პერიმეტრში იმყოფება (როცა მის ტერიტორიაზე ამ უცხო სახელმწიფოს შეიარაღებული ძალებია განლაგებული) ან 2) აღნიშნული

* საზგასმა ჩემია.

³¹ Michael Partem, “The Buffer System in International Relations,” *Journal of Conflict Resolution*, Vol. 27, No. 1 (1983): 4.

* საზგასმა ჩემია.

სახელმწიფო მხოლოდ ნომინალურადაა დამოუკიდებელი, სინამდვილეში კი უფრო ძლიერ სახელმწიფოებს შორის არის დანაწილებული (ამ შემთხვევაში ის ერთი ან მეტი დიდი სახელმწიფოს გავლენის სფეროშია მოქცეული).³²

ამავე აზრს იზიარებს ალექსანდრე რონდელიც. მისი სიტყვებით: „ბუფერული სახელმწიფო, საბოლოო ჯამში, ორი ან მეტი ძლიერი სახელმწიფოს სურვილით მათ შორის შექმნილ სტაბილურ ნეიტრალურ ზონას წარმოადგენს... რომლის უპირველესი ფუნქცია დაპირისპირებულთა გამიჯნვა და კონფლიქტის შესაძლებლობის მინიმუმამდე დაყვანაა.“³³

ნიკოლას სპაიკმენი ნეიტრალურობას ბუფერული სახელმწიფოს აუცილებელ მახასიათებლად მიიჩნევს.³⁴ ჯონ ჩეის მიხედვითაც, იმისათვის, რომ დიდ სახელმწიფოთა მეტოქეობაში პატარა სახელმწიფომ ჭეშმარიტი ბუფერის როლი შეასრულოს, ის ნეიტრალური და დამოუკიდებელი უნდა იყოს.³⁵ ოლავე კნუდსენიც ბუფერულ სახელმწიფოებსა და სატელიტებს ცალ-ცალკე კატეგორიებად განიხილავს.³⁶

მარტინ უაითი კი ბუფერის ცნებაში რამდენიმე ტიპის ქვეყანას მოიაზრებს. მისი შეხედულებით: „ბუფერები [...] პირობითად შეიძლება დაყვით: ტრიმერებად, ნეიტრალებად და სატელიტებად (Trimmers, Neutrals, Satellites). ტრიმერები [ანუ „მედროვეები“, „ოპორტუნისტები“] არიან სახელმწიფოები, რომელთა პოლიტიკის მთავარი მიზანია ძლიერი მეზობლების ურთიერთდაპირისპირებიდან სარგებლის მიღება [ხან ერთის, ხან კი მეორის მხარეზე ყოფნით]. ევროპელი ტრიმერებიდან ყველაზე ცნობილია საგოიის საჰერცოგო, რომელმაც ამგვარი პოლიტიკით ჯერ სამეფო შექმნა, ხოლო

³² Stephan De Spiegeleire, “Of Buffers and Bridges. Some Geodetic Thoughts on European Stability in the Post-Cold War Era,” 13 January 1994, <http://ourworld.compuserve.com/homepages/sdspieg/buffer.htm> (accessed 17.06.2009).

³³ ალექსანდრე რონდელი, *პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში* (თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, „ნეკერი“, მეორე გამოცემა, 2009), 169-170, 165.

³⁴ Nicholas Spykman, “Frontiers, Security and International Organization,” *Geographical Review*, Vol. 32, No. 3 (1942): 440.

³⁵ John Chay, “Korea, a Buffer State,” in *Buffer States in World Politics*, ed. John Chay and Thomas Ross (Boulder: Westview Press, 1986), 194.

³⁶ Olav Knudsen, “Eastern Europe: The Buffer Effect of a Cordon Sanitaire,” in *Buffer States in World Politics*, ed. John Chay and Thomas Ross (Boulder: Westview Press, 1986), 90.

შემდეგ მთელ იტალიაზე ჰეგემონია დაამყარა; [...] ნეიტრალეები არიან სახელმწიფოები, რომლებსაც არ გააჩნიათ აქტიური საგარეო პოლიტიკა. ისინი ჩუმად ყოფნას არჩევენ და ამ გზით შეუმჩნევლად დარჩენას იმედოვნებენ. სატელიტები კი არიან სახელმწიფოები, რომელთა საგარეო პოლიტიკას სხვა სახელმწიფო აკონტროლებს. თუ სუსტმა სახელმწიფომ ეს უფლება ძლიერ სახელმწიფოს ხელშეკრულებით გადასცა, ანუ იურიდიულადაც და ფაქტობრივადაც სუვერენიტეტის გარკვეული ნაწილი დათმო, მას პროტექტორატი შეიძლება ეწოდოს. განსხვავება ტრიმერსა და ნეიტრალს, ნეიტრალსა და მოკავშირეს, მოკავშირესა და სატელიტს შორის ბუნდოვანია და გაურკვეველი.³⁷

ტრიგვე მატისენის აზრით, ბუფერი შეიძლება იყოს როგორც სრულიად ნეიტრალური ან ნეიტრალიზებული, ისე რომელიმე ძლიერი მეზობლის მოკავშირე ან დაქვემდებარებული მოკავშირე.³⁸ მატისენისათვის ბუფერული სახელმწიფოს განსაზღვრებაში მთავარია მისი გეოგრაფიული მდებარეობა ძლიერ მეტოქე ქვეყნებს შორის.

ამდენად, საერთაშორისო ურთიერთობების რამდენიმე აღიარებული მეცნიერის მიერ შემოთავაზებულ ბუფერის ცნების განსაზღვრებებს შორის წინააღმდეგობის დანახვა შეიძლება. ერთი მხრივ, სპაიკმენი, კნუდსენი, ჩეი, პარტემი, დე სპიგელეირი, რონდელი და სხვები აღნიშნავენ, რომ ბუფერული სახელმწიფო ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და ნეიტრალური უნდა იყოს და არც ერთი ძლიერი ქვეყნის გაფართოებულ თავდაცვის პერიმეტრსა თუ გავლენის სფეროში არ უნდა შედიოდეს. მეორე მხრივ, კი უაითი, მატისენი და სხვები დასაშვებად მიიჩნევენ, რომ ბუფერი რომელიმე დაბუფერებული ძალის სატელიტს წარმოადგენდეს. ორივე პოზიციას გარკვეული სისუსტე გააჩნია.

ვფიქრობ, რომ „ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის“ კრიტერიუმით ბუფერული სახელმწიფოების გამოვლენა საკმაოდ ძნელია, რადგანაც ეს ცნება ძალზე ბუნდოვანია და „დამოუკიდებლობასა“ და „დაქვემდებარებას“ ან „გავლენის სფეროში“ ყოფნას შორის მკაცრი ზღვარის გავლება შეუძლებელია. უფრო მეტიც, ნებისმიერ ისტორიულ ეპოქაში სუსტი ქვეყნის სრულ

³⁷ Martin Wight, *Power Politics*, ed. Hedley Bull and Carsten Holbraad (London: Leicester University Press, Royal Institute of International Affairs, 1995), 160.

³⁸ Trygve Mathisen, *The Functions of Small States in the Strategies of the Great Powers* (Oslo: Universitetsforlaget, 1971), 109.

დამოუკიდებლობასა და ავტონომიურობაზე საუბარი არარეალური ჩანს, განსაკუთრებით, როცა მას ძლიერი და ექსპანსიონიზმისაკენ მიდრეკილი მეზობლები ჰყავს. საერთაშორისო სამართლის მიერ სუვერენულად აღიარებული პატარა/სუსტი ქვეყნები თითქმის არ იღებენ საგარეო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს დიდ/ძლიერ სახელმწიფოთა ინტერესებისათვის ანგარიშის გაწევის გარეშე. ამასთან, თანამედროვე ეპოქაში სახელმწიფოები უპრეცედენტოდ ურთიერთდამოკიდებულნი არიან, რაც ზოგჯერ თვით დიდი ქვეყნების „ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის“ ეჭვქვეშ დაყენების საბაბს იძლევა. თუმცა, საჭიროა იმის აღიარებაც, რომ, ხშირ შემთხვევაში, სუსტი სახელმწიფოს ამა თუ იმ ძლიერი სახელმწიფოსადმი დაქვემდებარება ან მიმხრობა-მიტმასნება თვალნათლივ ჩანს.

ჩემი აზრით, სიტყვა „ბუფერის“ ორიგინალური (და ეტიმოლოგიური) მნიშვნელობიდან გამომდინარე, ძლიერ სახელმწიფოთა დაპირისპირებაში ნეიტრალური პოზიციის დაკავება, ბუფერული პოლიტიკური ერთეულის აუცილებელი თვისებაა. ამდენად, „ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის“ ასპექტის გამოკლებით, მე ტერმინის „ბუფერი“ მეცნიერთა პირველი ჯგუფის მიერ შემოთავაზებულ განმარტებას ვიზიარებ, ვინაიდან მეორე ჯგუფის დამოკიდებულება საფუძველშივე არაკორექტულია. სატელიტი, ანუ დიდ სახელმწიფოს დაქვემდებარებული პატარა/სუსტი ქვეყანა, რომლის ტერიტორიაზე ხშირად ამ დიდი სახელმწიფოს სამხედრო ნაწილებია დისლოცირებული, ბუფერის – როგორც ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ ძლიერ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტის თავიდან აცილების მექანიზმის – სრულიად საპირისპირო მოვლენაა. სატელიტი ერთი ძლიერი სახელმწიფოს მიერ მეორეზე შეტევის განსახორციელებლად ან მოწინააღმდეგის შესაძლო თავდასხმისაგან თავის დასაცავად და არა მშვიდობის შესანარჩუნებლად გამოიყენება.

თუმცა, ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, მე მეორე ჯგუფის პოზიციას საღ აზრს მოკლებულად არ მივიჩნევ. ზოგიერთი სატელიტი ქვეყანა, მართლაც, მრავალი ნიშნით წააგავს ბუფერულ სახელმწიფოს და კონფლიქტის ერთ-ერთი მხარისათვის ბუფერის ფუნქციასაც კი ასრულებს. მაგალითად, ასეთ ცალმხრივ ბუფერებად შეიძლება მივიჩნიოთ მარტინ უაითის მიერ „ტრიმერებად“ და „სატელიტებად,“ ხოლო ტრიგვე მატისენის მიერ „მოკავშირე ბუფერებად“ (Allied Buffers) და „განაპირა ბუფერებად“ (Rim Buffers) წოდებული

ქვეყნები. ეს უკანასკნელი, ავტორის სიტყვებით, არიან „მცირე სახელმწიფოები, რომლებიც დიდ სახელმწიფოთა საზღვრებთან მდებარეობენ და მათ თავდაცვის პერიმეტრში იმყოფებიან, მაგრამ ორ დიდ სახელმწიფოს შორის უშუალოდ მოქცეულნი არ არიან.“³⁹

მე არ მაქვს ბუფერის უნივერსალური, უხარვეზო განსაზღვრების ჩამოყალიბების პრეტენზია, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ჩემს მიერ აქ წარმოდგენილი კონცეპტუალური მოდელი შეარიგებს ზემოგანხილულ ორ საპირისპირო პოზიციას და ბუფერის უფრო მოწესრიგებულ და სისტემატიზებულ ცნებას შექმნის.

ამისათვის, მე, პირველ რიგში, სასარგებლოდ მიმაჩნია ცნების „კვაზიბუფერი“ (Quasi-Buffer – თითქმის ბუფერი, ნახევრადბუფერი) შემოტანა და შემდგომში განსხვავების დაფიქსირება ბუფერებსა და კვაზიბუფერებს შორის. ბუფერებს – ორმხრივ და მრავალმხრივ ბუფერებად, კვაზიბუფერებს კი – ცალმხრივ ბუფერებად წარმოვაჩენ. ბუფერი ორი ან მეტი მიმართულებით მოქმედებს – წარმოადგენს დამცავ ზღუდეს როგორც ერთი, ისე მეორე (მესამე და სხვა) მოწინააღმდეგე ძალისათვის და მათ შორის კონფლიქტის ესკალაციას აბრკოლებს, კვაზიბუფერი კი მხოლოდ ერთი მიმართულებით მოქმედებს – ერთი რომელიმე ძალის თავდაცვითი ფარის ფუნქციას ასრულებს და მეტოქე ძალებს შორის მშვიდობის შენარჩუნებას ნაკლებად უწყობს ხელს, პირიქით, მათ შორის დაპირისპირებას აღვივებს კიდევ. შესაბამისად, მარტინ უაითის მიერ ბუფერების რიგში მოხსენიებულ ტრიმერებსა და სატელიტებს, აგრეთვე ტრიგვე მატისენისეულ მოკავშირე ბუფერებსა და, ზოგიერთ შემთხვევაში, განაპირა ბუფერებსაც მე კვაზიბუფერთა კატეგორიას მივაკუთვნებ.

ამრიგად, ბუფერის ჩემი განსაზღვრება უფრო მეტად მეცნიერთა პირველი ჯგუფის ხედვას უახლოვდება, რომლებიც ბუფერული მდებარეობის მქონე, მაგრამ ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოსთან ალიანსში შესულ სუსტ სახელმწიფოებს ბუფერებად არ აღიარებენ. მაგალითად, სტეფან დე სპიგელეირის განცხადებით, ბევრი მეცნიერი საუბრობდა ცივი ომის დროინდელ

³⁹ Trygve Mathisen, *The Functions of Small States in the Strategies of the Great Powers* (Oslo: Universitetsvorlaget, 1971), 84.

აღმოსავლეთ ევროპაზე, როგორც ბუფერზე, მაგრამ ეს მცდარი შეხედულებაა.⁴⁰ ოღავე კნუდსენი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვარშავის პაქტის წევრი ქვეყნები არ იყვნენ ბუფერები აშშ-სა და სსრკ-ს შორის.⁴¹ ალექსანდრე რონდელის აზრითაც: „ცივი ომის დროს ყოფილი საბჭოთა სატელიტები, ე.წ. სახალხო დემოკრატიის ქვეყნები (პოლონეთი, გერ, ჩეხოსლოვაკია და ა.შ.) არ იყვნენ ბუფერული სახელმწიფოები... ზოგიერთ მათგანში საბჭოთა შეიარაღებული ძალები იყო განლაგებული და მათ საზღვრებზე გადიოდა ე.წ. სსრკ-ის თავდაცვის პერიმეტრი. ისინი ვარშავის პაქტის წევრები იყვნენ. ამიტომ მათი ბუფერებად აღიარება მართებული არ იქნებოდა.“⁴²

თუმცა, ამ ხედვისაგან განსხვავებით, მე არ მიმაჩნია, რომ ბუფერად ყოფნისათვის სახელმწიფო, „ჭეშმარიტად დამოუკიდებელი“ და „ავტონომიური“ უნდა იყოს, ის, შეიძლება, საკუთარი ნების გარეშე ძლიერი ქვეყნების მიერ იქნეს ბუფერად ქცეული ანუ ნეიტრალიზებული, რაც საკმაოდ ხშირად ხდება. ამის საილუსტრაციოდ მრავალი ისტორიული მაგალითის მოყვანა შეიძლება. 1815 წლის ვენის კონგრესზე ევროპის წამყვან სახელმწიფოებს, რომლებსაც წარმოადგენდნენ: მეტერნიხი, ტალეირანი, ქესტლრი და ალექსანდრე პირველი, არ უკითხავთ შვეიცარიელთა აზრი ომის თაობაზე, სურდათ თუ არა მათ საკუთარი ქვეყნის ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოცხადება; არც 1831 და 1839 წლებში გაუთვალისწინებიათ ევროპის უძლიერეს სახელმწიფოებს: ბრიტანეთს, პრუსიას, ავსტრიას, რუსეთსა და საფრანგეთს ახალწარმოქმნილი ბელგიის სამეფოს ინტერესები: 1831 წლის იანვარში მათ ბელგია ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოაცხადეს, ლუქსემბურგი, რომელსაც ბელგია თავის განუყოფელ ნაწილად თვლიდა, ნიდერლანდების სამეფოს გადასცეს, ხოლო ბელგიის ეროვნულ კონგრესს, რომელიც ლონდონის კონფერენციის ამ გადაწყვეტილებებს პროტესტით შეხვდა, ომით დაემუქრნენ (პრუსიამ თავისი არმიაც კი დაძრა ბელგიისკენ), შედეგად, ბელგიელები იძულებულნი გახდნენ,

⁴⁰ Stephan De Spiegeleire, “Of Buffers and Bridges. Some Geodetic Thoughts on European Stability in the Post-Cold War Era,” 13 January 1994, <http://ourworld.compuserve.com/homepages/sdspieg/buffer.htm> (accessed 24.01.2008).

⁴¹ Olav Knudsen, “Eastern Europe: The Buffer Effect of a Cordon Sanitaire,” in *Buffer States in World Politics*, ed. John Chay and Thomas Ross (Boulder: Westview Press, 1986), 95-108.

⁴² ალექსანდრე რონდელი, *პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში* (თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, „ნეკერი“, მეორე გამოცემა, 2009), 166, n. 247.

სამეფო ტახტზე საფრანგეთის იმჟამინდელი მონარქის ლუი ფილიპე ორლეანელის ძის ჰერცოგ ლუი ნემურელის ნაცვლად, ინგლისელთა მიერ შემოთავაზებული კანდიდატი ლეოპოლდ საქსენ-კობურგელი დამტკიცებინათ და ლონდონის პროტოკოლით მათი ქვეყნისათვის გათვალისწინებული ნეიტრალური/ბუფერული სტატუსი ელიარებინათ, 1839 წელს კი კვლავ ლონდონში მოწვეულ კონფერენციაზე სამი ხელშეკრულების ძალით დაედასტურებინათ ბელგიის შექმნილ ვითარებასთან შეგუება და ნეიტრალურ ბუფერად გადაქცევა;⁴³ 1870-80-იან წლებში რუსეთი და ბრიტანეთი ავღანელების ნებისათვის ანგარიშის გაუწევლად შეთანხმდნენ ამ ქვეყნისათვის ბუფერის როლის დაკისრებაზე (ავღანეთმა საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებლად განხორციელების უფლება მხოლოდ 1919 წელს, ინგლის-ავღანეთის მესამე ომის შედეგად მოიპოვა); და ა.შ.

ჩემი ხედვით, საერთაშორისო სისტემის, საერთაშორისო სამართლის მიერ სუვერენულად აღიარებული, პოლიტიკური ერთეული (ან ერთეულთა ჯგუფი) წარმოადგენს ბუფერს (ბუფერულ სახელმწიფოს ან ბუფერულ ზონას), თუ ის შემდეგ ოთხ პირობას აკმაყოფილებს:

1. გეოპოლიტიკური მდებარეობა. ბუფერი – ბუფერული სახელმწიფო, ბუფერული ზონა – მეტ-ნაკლებად ერთნაირი სიძლიერის მოწინააღმდეგე, მეტოქე ძალებს შორის სივრცეში მდებარეობს (მეტოქე ძალებად აქ შეიძლება მოგვევლინონ როგორც ცალკეული სახელმწიფოები, ისე სამხედრო ალიანსები ან გავლენის სფეროები. შემდგომში მათ დაბუფერებულ ძალებადაც მოვიხსენიებ).
2. ძალა. ბუფერი საგრძნობლად უფრო სუსტია, ვიდრე მის მიერ დაბუფერებული ძალები. ის რომელიმე დაბუფერებულ ძალასთან სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში დამოუკიდებლად დამარცხდება.
3. საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია. ბუფერის ტერიტორიაზე არ იმყოფებიან არც ერთი მის მიერ დაბუფერებული მხარის შეიარაღებული ძალები. ბუფერი არ არის რომელიმე დაბუფერებულ ძალასთან ფორმალურ ან არაფორმალურ სამხედრო ალიანსში, ე.ი.

⁴³ Антуан Дебидур, *Дипломатическая История Европы*, I, (Москва: ГИИЛ, 1947), 303-385.

მოცემული კონფლიქტის/მეტოქეობის მიმართ ის არსებითად ნეიტრალურია – ნებაყოფლობით ან იძულებით.

4. უსაფრთხოების ინტერესთა შეჯახება. ერთი დაბუფერებული ძალის მიერ ბუფერის ტერიტორიაზე სამხედრო შეჭრა სხვა დაბუფერებული ძალის (ძალების) მხრიდან მისი (მათი) ეროვნული უსაფრთხოებისადმი პირდაპირ მუქარად აღიქმება.

ხოლო საერთაშორისო სისტემის, საერთაშორისო სამართლის მიერ სუვერენულად აღიარებული, პოლიტიკური ერთეული ან ერთეულთა ჯგუფი წარმოადგენს კვაზიბუფერს (კვაზიბუფერულ სახელმწიფოს ან კვაზიბუფერულ ზონას), თუ ის შემდეგ ოთხ პირობას ასრულებს:

1. გეოპოლიტიკური მდებარეობა. კვაზიბუფერი – კვაზიბუფერული სახელმწიფო, კვაზიბუფერული ზონა – მეტ-ნაკლებად ერთნაირი სიძლიერის მოწინააღმდეგე, მეტოქე ძალებს შორის სივრცეში მდებარეობს (თუმცა, აღსანიშნავია, რომ კვაზიბუფერი, შესაძლოა, ერთ რომელიმე ძალასთან უფრო მიახლოებული იყოს გეოგრაფიულად).
2. ძალა. კვაზიბუფერი საგრძნობლად უფრო სუსტია, ვიდრე მის მიერ დაბუფერებული და ამ უკანასკნელის მეტოქე ძალა (ძალები). კვაზიბუფერი ნებისმიერ მათგანთან სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში დამოუკიდებლად დამარცხდება.
3. საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია. კვაზიბუფერის ტერიტორიაზე შეიძლება იმყოფებოდნენ მის მიერ დაბუფერებული მხარის შეიარაღებული ძალები. კვაზიბუფერი შეიძლება იყოს ფორმალურ ან არაფორმალურ სამხედრო ალიანსში დაბუფერებულ მხარესთან მისი მეტოქე ძალის (ძალების) საწინააღმდეგოდ, შედიოდეს დაბუფერებული ძალის თავდაცვის პერიმეტრში და წარმოადგენდეს მის სატელიტს (განაპირა ზღუდეს) – ნებაყოფლობით ან იძულებით.
4. უსაფრთხოების ინტერესთა შეჯახება. კვაზიბუფერი მხოლოდ ერთ ძალას აბუფერებს (იცავს) და, ამავდროულად, სხვა ძალის (ძალების) წინააღმდეგ შეტევის პოტენციურ პლაცდარმს წარმოადგენს. კვაზიბუფერის ტერიტორიაზე მის მიერ დაბუფერებული მხარის სამხედრო ნაწილების ყოფნა ჩვეული მოვლენაა, რაც, მეტოქე ძალას

(ძაღებს) აღიზიანებს, მაგრამ ყოველთვის მისი (მათი) მხრიდან საპასუხო სამხედრო ჩარევას არ იწვევს. მეტოქე ძაღის მიერ კვაზიბუფერის ტერიტორიაზე შეჭრა კი დაბუფერებული ძაღის მხრიდან საკუთრივ მასზე თავდასხმის ტოლფას ნაბიჯად აღიქმება. ამასთან, დროთა განმავლობაში კვაზიბუფერმა შეიძლება შეიცვალოს დაბუფერების ობიექტი, ანუ ჯერ ერთი ძაღის „ფარი“ იყოს, შემდგომ კი მეორის „სარგებლობაში“ გადავიდეს.

ამდენად, ბუფერი არსებითად მიუმხრობელია და ნეიტრალური, კვაზიბუფერი კი აშკარად ერთ-ერთი მხარისაკენ არის გადახრილი და ხშირად რომელიმე ძლიერი სახელმწიფოს „საკუთრების ობიექტად“ აღიქმება.

თავი მეორე. ბუფერული სახელმწიფოების ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეთნო-კულტურული თავისებურებები

მართალია, ბუფერული სახელმწიფოები პატარა ქვეყნებად იწოდებიან, მაგრამ აუცილებელი არაა, ისინი აბსოლუტური გეოგრაფიული მანქვანებლებით პატარები იყვნენ. ბუფერად, შეიძლება, საშუალო ან დიდი ფართობისა და მოსახლეობის ქვეყანაც მოგვევლინოს (ამ შემთხვევაში, ბუფერად ყოფნისათვის, ის, მთავარია, თავის მეზობლებს სიძლიერით ჩამოუვარდებოდეს).

თომას როსი მიიჩნევს, რომ ორ ძლიერ მეტოქე სახელმწიფოს შორის მდებარეობის გარდა, ტერიტორიის ბუფერად ჩამოყალიბებას ხელს უწყობს ისეთი გეოგრაფიული ფაქტორები როგორცაა:

1. ამ ტერიტორიის ძნელად გადასალახი რელიეფი (მასზე ისეთი ბუნებრივი დაბრკოლებების არსებობა, როგორცაა მთები, უსწორმასწორო მაღლობები, უდაბნოები, ჭაობები, და ა.შ.);
2. ამ ტერიტორიაზე სტრატეგიული მნიშვნელობის საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტების მდებარეობა/გადაკვეთა;
3. ამ ტერიტორიაზე ისტორიის განმავლობაში განსხვავებულ ხალხებს შორის კულტურული ტრანზიციისა თუ შეჯახების ზონების არსებობა.⁴⁴

რასაკვირველია, ეს ფაქტორები ურთიერთგადაჯახებულია და უმეტესწილად ერთიმეორის პარალელურად მოქმედებს.

პირველ შემთხვევაში, ქვეყანა ყალიბდება ბუფერად, როდესაც მის გარშემო არსებულ სახელმწიფოებს არ სურთ ან არ „უღირთ“ ამ ტერიტორიის მიერთება, მისი არასახარბიელო რელიეფური თუ კლიმატური პირობების გამო.⁴⁵ ბუფერული ზონები ისტორიულად ან მეჩხერად დასახლებული ან საერთოდ დაუსახლებელი იყო. ამის გამო, ნიკოლას სპაიკმენმა მათ „უკაცრიელი

⁴⁴ Thomas Ross, “Buffer States: A Geographer’s Perspective,” in *Buffer States in World Politics*, ed. John Chay and Thomas Ross (Boulder: Westview Press, 1986), 14.

⁴⁵ Ibid.

სასაზღვრო ზონები“ უწოდა.⁴⁶ ადრეული ცივილიზაციები იყენებდნენ დაჭაობებულ დაბლობებს, უდაბნოებს, მდინარის ხეობებს, მთებს, ზეგნებს და სხვა ძნელად გასაგებელ და/ან მკაცრი კლიმატის მქონე ტერიტორიებს ბუფერულ ზონებად. ასეთ რეგიონებში, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში, დამოუკიდებელი სახელმწიფოები ჩნდებოდა და ბუფერებად იქცეოდა (მაგალითად, ავღანეთი, მონღოლეთი, ნეპალი, შვეიცარია, ჩრდილოეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, და სხვა). ამგვარი რელიეფი თუ კლიმატი დროებითი ბარიერი იყო ანტაგონისტური ძალებისათვის და, მართალია, მათ შორის, საბოლოო ჯამში, ომის თავიდან აცილებას ვერ ახერხებდა, მაგრამ, სამაგიეროდ, სამხედრო კამპანიების წარმართვას აძნელებდა და მშვიდობის დროებით შენარჩუნებას უწყობდა ხელს.

თომას როსის დაკვირვებით, დედამიწაზე დღეს არსებული 200-ზე მეტი სახელმწიფოდან სულ მცირე 32 სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ბუფერის ფუნქციას ასრულებდა.⁴⁷ საინტერესოა, რომ ამ ქვეყნების უმრავლესობა ევრაზიის კონტინენტზე მდებარეობს და მათი ტერიტორიის დიდი ნაწილი მართლაც უკავია მთებს, ზეგნებს, ჭაობებსა და სხვა „შემაკავებელ“ გეოგრაფიულ ობიექტებს.

მეორე შემთხვევაში, ქვეყანა ხდება ბუფერი, როდესაც მეტოქე ძლიერი სახელმწიფოები მის ტერიტორიაზე გამავალი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სატრანსპორტო მარშრუტებით არიან დაინტერესებულნი, მაგრამ, მძლავრი ურთიერთდაპირისპირების გამო, ამ გზების ერთპიროვნულად გაკონტროლებას ვერ აღწევენ და მოცემულ ტერიტორიაზე დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობაზე თანხმდებიან.⁴⁸ ისტორიის მანძილზე ძლიერ სახელმწიფოებს ხშირად ხელს აძლევდა ასეთი ტერიტორიებისა თუ სახელმწიფოების ბუფერებად შენარჩუნება (მაგალითისათვის გავიხსენოთ, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, შვეიცარია, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, და სხვა).

⁴⁶ Nicholas Spykman and Abbie Rollins, “Geographic Objectives in Foreign Policy, I,” *The American Political Science Review*, Vol. 33, No. 3 (1939): 396.

⁴⁷ Thomas Ross, “Buffer States: A Geographer’s Perspective,” in *Buffer States in World Politics*, ed. John Chay and Thomas Ross (Boulder: Westview Press, 1986), 20.

⁴⁸ *Ibid.*, 14.

მესამე შემთხვევაში სახელმწიფო იქცევა ბუფერად ორი განსხვავებული კულტურული სფეროს დასაკავშირებლად ან განსაცალკევებლად. ამ ფენომენს მჭიდროდ უკავშირდება ყოფილი ან ამჟამინდელი ბუფერული ქვეყნების მოსახლეობის კულტურული და ეთნიკური მრავალფეროვნება. მაგალითად, კორეა ისტორიულად ჩინური და იაპონური ცივილიზაციების გავლენას განიცდიდა, ურუგვაი – პორტუგალიურისა და ესპანურის, ალჟას-ლორანი – გერმანულისა და ფრანგულის, ბელგია – ჰოლანდიურისა და ფრანგულის (რაც გამოსატყულია კიდევ ბელგიის ფლანდრიულ და ვალონურ მხარეებს შორის არსებული კულტურული და, აქედან გამომდინარე, შიდაპოლიტიკური განხეთქილებით), და სხვა. ამდენად, ბუფერული სახელმწიფოები, როგორც წესი, ორი ან მეტი კულტურისა თუ ცივილიზაციისათვის დამახასიათებელ ლინგვისტურ, ეთნიკურ და რელიგიურ ელემენტებს შეიცავენ და აღნიშნულ კულტურებს შორის ერთგვარი ხიდის ფუნქციასაც შეიძლება ასრულებდნენ, რის გამოც ისტორიულად ძლიერ სახელმწიფოებს არც უჩნდებოდათ ხოლმე ამგვარი ტერიტორიების შემოერთების ცდუნება, უცხოტომელთა სამშობლოში შემოსახლების შიშით.

ნიშანდობლივია, რომ სტრატეგიულ გზაჯვარედინებზე მდებარეობის, დამპყრობელთა ხშირი თავდასხმებისა და ეთნო-კულტურული სიჭრელის ფაქტორებმა ხელი შეუშალა მრავალი ბუფერული ქვეყნის ერ-სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, რაც საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე მათ ამჟამინდელ სტატუსსა და მდგომარეობაზე უარყოფითად აისახა.⁴⁹ ასეთ ქვეყნებში მოსახლეობის ეთნიკურმა, რელიგიურმა და კულტურულმა მრავალფეროვნებამ, ხშირ შემთხვევაში, მნიშვნელოვანწილად შეაფერხა ერის/საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ შეკავშირებულობა, რაც ბარი ბუზანის თანახმად, სუსტი სახელმწიფოებრიობის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორია.⁵⁰

ბარი ბუზანის დაკვირვებით, სუსტი სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ერთიან ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებული პრობლემები (სეპარატიზმი, სეცესიონიზმი, ეთნიკური კონფლიქტები, სამოქალაქო დაპირისპირება, და ა.შ.), ასეთ ქვეყნებში

⁴⁹ Thomas Ross, “Buffer States: A Geographer’s Perspective,” in *Buffer States in World Politics*, ed. John Chay and Thomas Ross (Boulder: Westview Press, 1986), 24.

⁵⁰ Barry Buzan, *People, States and Fear: An Agenda for International Security Studies in the Post-Cold War Era* (Boulder: Lynne Rienner Publishers, Second Edition, 1991), 97.

საზოგადოებას, როგორც წესი, უძნელდება პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევა თითქმის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე, მათ შორის სახელმწიფოს მორგანიზებელი იდეოლოგიის თაობაზე, ხოლო ხელისუფლებას ხშირად უხდება ძალის გამოყენება, საზოგადოებრივი ერთიანობის არარსებობის პირობებში, წესრიგის დასამყარებლად. საინტერესოა, რომ ავტორის მიერ აქვე მოყვანილ სუსტი სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყნების ჩამონათვალში დიდი ადგილი უკავიათ ბუფერული და კვაზიბუფერული ისტორიული გამოცდილების მქონე სახელმწიფოებს, როგორებიც არიან: ავღანეთი, კამბოჯა, ლიბანი, პოლონეთი და ჩრდილოეთ კორეა.⁵¹ ამდენად, თუ ბუზანი სახელმწიფოებს საგარეო ასპარეზზე მათი ძლიერების/გავლენისა და საშინაო ასპარეზზე მათი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური შეკავშირებულობის ანუ შიდაპოლიტიკური სიმტკიცის მიხედვით ოთხ კატეგორიად ჰყოფს: 1) ძლიერი სახელმწიფო (საგარეო ასპარეზზე) – ძლიერი სახელმწიფოებრიობით (საშინაო ასპარეზზე), 2) ძლიერი სახელმწიფო (საგარეო ასპარეზზე) – სუსტი სახელმწიფოებრიობით (საშინაო ასპარეზზე), 3) სუსტი სახელმწიფო (საგარეო ასპარეზზე) – ძლიერი სახელმწიფოებრიობით (საშინაო ასპარეზზე) და 4) სუსტი სახელმწიფო (საგარეო ასპარეზზე) – სუსტი სახელმწიფოებრიობით (საშინაო ასპარეზზე),⁵² ბუფერული და კვაზიბუფერული სახელმწიფოები, უმეტესწილად, მეოთხე კატეგორიას მიეკუთვნებიან, თუმცა, შედარებით იშვიათად მესამე კატეგორიის წარმომადგენლებიც არიან.

ბუფერული ან კვაზიბუფერული ისტორიული გამოცდილების მქონე ქვეყნების ერ-სახელმწიფოებად ბოლომდე ჩამოუყალიბებულობის, მათი საზოგადოების ეთნო-კულტურული სიჭრელისა და სოციალურ-ეკონომიკურ შეკავშირებულობის დაბალი დონით გამოწვეული პრობლემების ილუსტრირება რამდენიმე თანამედროვე მაგალითითაც შეიძლება: ლატვიისა და ესტონეთის წინაშე დღეს მწვავედ დგას რუსული ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის საკითხი; საქართველოს სახელმწიფოებრიობას დიდი დარტყმა მიაყენა კომპაქტურად დასახლებულ აფხაზურ და ოსურ ეთნიკური უმცირესობებში გაღვივებულმა სეპარატიზმმა, ქვეყნის დღის წესრიგიდან არ არის მოხსნილი კომპაქტურად მცხოვრები სომხური და აზერბაიჯანული უმცირესობების

⁵¹ Barry Buzan, *People, States and Fear: An Agenda for International Security Studies in the Post-Cold War Era* (Boulder: Lynne Rienner Publishers, Second Edition, 1991), 100.

⁵² *Ibid.*, 98.

სამოქალაქო ინტეგრაციის დაჩქარების აუცილებლობაც; გაცილებით უფრო რთული შემთხვევებიდან საკმარისია გავისხენოთ: ლიბანი, სადაც დიდი რაოდენობით განსხვავებული რელიგიური ჯგუფების არსებობა დიდი ხანია ხელსაყრელი ნიადაგია ტერორიზმისა და სამოქალაქო ომებისათვის; და ავღანეთი, სადაც ეთნიკური ჯგუფების საოცარი მრავალფეროვნება დღემდე ართულებს არა მხოლოდ სახელმწიფოს მშენებლობას, არამედ გლობალური ტერორიზმის მთავარი წიაღის მოსაპოვებასა და ელემენტარული სტაბილურობის დამყარებას, რასაც 2001 წლიდან ამოდ ცდილობენ აშშ/ნატო-ს თაოსნობით იქ შეყვანილი „საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალები“ (ISFED).

აღსანიშნავია, რომ ბუფერულ და კვაზიბუფერულ სახელმწიფოთა საზოგადოება და პოლიტიკური ელიტა, საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის მიხედვით, როგორც წესი, ორად არის გაყოფილი, რაც ამ ქვეყნების სისუსტესა და ძლიერი სახელმწიფოების მხრიდან მათზე ზემოქმედების უნარს კიდევ უფრო აძლიერებს. საქართველოს მაგალითზე ეს ისტორიულად პროირანული და პრობიზანტიური, პროოსმალური და პროსპარსული, შემდგომ კი პროდასავლური და პრორუსული ორიენტაციების შეჯახებაში გამოიხატება. გავისხენოთ თუნდაც ცნობილი ფრაგმენტი საქართველოს ისტორიიდან, რომელიც საკმაოდ კარგად ასახავს ამ ვითარებას: როდესაც 554 წელს, მეფე გუბაზ II მკვლელობის შემდეგ, ეგრისში სახალხო კრება გაიმართა, ორატორები აიეტი და ფარტაზი ორი რადიკალურად განსხვავებული საგარეო-პოლიტიკური არჩევნის გაკეთებისაკენ მოუწოდებდნენ ხალხს – პირველი ბიზანტიის, მეორე კი სასანიდური ირანის მხარეს ბრძოლის გაგრძელებას უჭერდა მხარს, ხოლო ვინაიდან ორივე პოზიცია თითქმის თანაბრად არგუმენტირებული იყო, კრებას ძალზე გაუჭირდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება პრობიზანტიური გეზის სასარგებლოდ. მსგავსი სიტუაცია არაერთხელ გამეორებულა საქართველოს ისტორიაში. XVI-XVIII საუკუნეებში ქართველი მეფეები და დიდგვაროვნები ხან პროსპარსულ, ხან კი პროოსმალურ საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციას ირჩევდნენ. მრავალი საუკუნის შემდგომ, თანამედროვე ქართულ საზოგადოებაშიც კი აქტუალურია მსჯელობა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მიმართულებებზე: 1990-იანი წლებიდან არჩეული პროდასავლური, ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებაზე ორიენტირებული საგარეო-პოლიტიკური კურსის მიუხედავად, რომელსაც ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უჭერს მხარს, საზოგადოებრივი და პოლიტიკური სპექტრის გარკვეული

ნაწილი მაინც „ნეიტრალიტეტის“ ან, სულაც, „რუსეთთან დაახლოების“ მომხრედ გამოდის – 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომისა და მის შემდეგად რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციის შემდგომაც კი. საზოგადოების გახლეჩილობა საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებთან დაკავშირებით ნათლად ჩანს თანამედროვე უკრაინის მაგალითზეც, რომლის ჩრდილოეთი და დასავლეთი რეგიონების მოსახლეობა ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციას ემხრობა მაშინ, როდესაც სამხრეთი და აღმოსავლეთი რეგიონების მკვიდრნი რუსეთის ფედერაციასთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებას ანიჭებენ უპირატესობას. ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა სემიუელ ჰანტინგტონმა მართებულად აღნიშნა, რომ უკრაინის ტერიტორიაზე დასავლური და სლავურ-ორთოდოქსული ცივილიზაციების გამყოფი ხაზი გადის.⁵³

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ბუფერული სახელმწიფოების გეოგრაფიული მდებარეობა და მოსახლეობის ეთნო-კულტურული განსხვავებულობა, ხშირ შემთხვევაში, მათი სახელმწიფოებრიობის განვითარებისათვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს.

⁵³ Samuel Huntington, “The Clash of Civilizations?” *Foreign Affairs*, Vol. 72, No. 3 (1993): 22-49, <http://www.alamut.com/subj/economics/misc/clash.html> (accessed 25.06.2009).

თავი მესამე. ბუფერული სახელმწიფოების გეოპოლიტიკური მდებარეობა.

საქართველო – ბუფერი?

სახელმწიფოს ბუფერად ყოფნის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია მისი მდებარეობა მეტოქე ძალის ცენტრების მიმართ საერთაშორისო სისტემაში. ბუფერული და კვაზიბუფერული სახელმწიფოების სივრცული განლაგება დაპირისპირებულ ძალებს შორის, თეორიულად, შემდეგ ფორმებს შეიძლება იღებდეს:

1) ბუფერი ან კვაზიბუფერი უშუალოდ ესაზღვრება – სახმელეთო საზღვრით ეხება – ორ ან მეტ მოწინააღმდეგე ძალას. ამის მაგალითებია:

(ჩემს მიერ ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში ისტორიულ ბუფერებსა და კვაზიბუფერებს შორის, ასევე ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ევრაზიის კონტინენტზე აღმოცენებულ პოტენციურ ბუფერებს შორის ზღვარი გავლენილი არ არის და წლების ათვლაც მიახლოებითია)

- ნიდერლანდები 1815-1831 წლებში, ბელგია 1831-1945 წლებში და ლუქსემბურგი 1867-1945 წლებში პრუსიასა (1871 წლიდან გერმანიას) და საფრანგეთს შორის;
- შვეიცარია 1815-1945 წლებში პრუსიას (გერმანიას), საფრანგეთს, იტალიასა და ავსტრიას (1867-1918 წლებში ავსტრია-უნგრეთს) შორის;
- პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და ლიტვა 1918-1939 წლებში გერმანიასა და რუსეთს (1922 წლიდან საბჭოთა კავშირს) შორის;
- მონღოლეთი 1921 წლიდან ჩინეთსა და რუსეთს (1922-1991 წლებში საბჭოთა კავშირს) შორის;
- ავღანეთი 1870-იანი წლებიდან (როგორც სუვერენული სახელმწიფო 1919 წლიდან) 1947 წლამდე რუსეთსა (1922 წლიდან საბჭოთა კავშირს) და დიდ ბრიტანეთს შორის; 1947-1991 წლებში საბჭოთა კავშირსა და აშშ-ის გავლენის სფეროს (პაკისტანს) შორის;
- ნეპალი 1947 წლიდან და ბუტანი 1949 წლიდან ჩინეთსა და ინდოეთს შორის;
- ლიბანი 1948 წლიდან ისრაელსა და სირიას შორის;

- ქუვეითი 1961 წლიდან ერაყსა და საუდის არაბეთს შორის;
- ურუგვაი 1828 წლიდან და პარაგვაი 1811 წლიდან ბრაზილიასა და არგენტინას შორის;
- ავსტრია, ფინეთი და იუგოსლავია 1949/1955-1991 წლებში ნატო-სა და ვარშავის პაქტს შორის;
- ანგოლა 1975-1990 წლებში, ზიმბაბვე 1965 წლიდან (როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო 1980 წლიდან), მოზამბიკი 1975 წლიდან, ბოტსვანა 1966 წლიდან, სვაზილენდი 1968 წლიდან და ნამიბია 1990 წლიდან 1994 წლამდე (აპარტეიდის რეჟიმის გაუქმებამდე) სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და საჰარის სამხრეთით მდებარე/შავი აფრიკის სახელმწიფოებს შორის;
- ყაზახეთი 1991 წლიდან რუსეთსა და ჩინეთს შორის;
- ფინეთი 1991 წლიდან რუსეთსა და ნატო-ს შორის;
- ბელორუსია და უკრაინა 1999 წლიდან (პოლონეთისა და უნგრეთის ნატო-ში გაწევრიანების შემდგომ) რუსეთსა და ნატო-ს შორის;
- საქართველო და აზერბაიჯანი 1991 წლიდან რუსეთსა და ნატო-ს შორის; (იხილეთ რუკები დანართში 2).

2) ბუფერს ან კვაზიბუფერს სახმელეთო საზღვარი აქვს ერთ-ერთ მოწინააღმდეგე ძალასთან, ხოლო მეორისაგან (მესამისაგან და ა.შ.) მას წყლის სისტემა აშორებს (სრუტე, ყურე, ზღვა და სხვა). ამის მაგალითებია:

- კორეა ადრეული შუა საუკუნეებიდან 1910 წლამდე ჩინეთს, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, დამატებით, რუსეთსა და იაპონიას შორის, უკანასკნელისაგან გამიჯნული კორეის სრუტით; 1945 წლიდან კი გაყოფილი ორად, ერთი მხრივ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს (1991 წლიდან რუსეთის ფედერაციას), ხოლო მეორე მხრივ, აშშ-ის სამხედრო გავლენის სფეროს (მეორე მსოფლიო ომის შემდგომ აშშ-ის სტრატეგიულ მოკავშირედ ქცეულ იაპონიას) შორის;
- ბელგია 1831-1945 წლებში პრუსიას (1871 წლიდან გერმანიას), საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის, ამ უკანასკნელისაგან

განცალკევებული ლა-მანშისა (ინგლისის არხის) და პა-დე-კალეს (დუვრის) სრუტეებით;

- ნიდერლანდები 1815-1945 წლებში პრუსიასა (1871 წლიდან გერმანიას) და დიდ ბრიტანეთს შორის, ამ უკანასკნელისაგან დაცლებული ჩრდილოეთის ზღვით;
- ალბანეთი 1912-1943 წლებში სერბეთს, ჩერნოგორიას (1918 წლიდან იუგოსლავიას), საბერძნეთსა და იტალიას შორის, უკანასკნელისაგან გამოყოფილი ადრიატიკის ზღვითა და ოტრანტოს სრუტით;
- ლატვია და ესტონეთი 1918-1939 წლებში რუსეთსა (1922 წლიდან საბჭოთა კავშირს) და გერმანიას შორის, უკანასკნელისაგან დაშორებულნი ბალტიის ზღვით;
- შვედეთი 1949/1955-1991 წლებში ნატო-სა და ვარშავის პაქტს შორის, ნორვეგიასთან დაკავშირებული სახმელეთო საზღვრით, ხოლო საბჭოთა კავშირისა და პოლონეთისაგან გამოყოფილი ბალტიის ზღვით;
- ქუვეითი, ბაჰრეინი, კატარი და არაბთა გაერთიანებული საამიროები 1979 წლიდან საუდის არაბეთსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის, უკანასკნელისაგან დაშორებულნი სპარსეთის ყურით;
- ლიტვა, ლატვია და ესტონეთი 1991-2004 წლებში (ნატო-ში მათ შესვლამდე) რუსეთსა და ნატო-ს შორის, გერმანიისა და დანიისაგან გამიჯნულნი ბალტიის ზღვით; (იხილეთ რუკები დანართში 2).

3) ბუფერი ან კვაზიბუფერი კუნძულია და ორი ან მეტი მოწინააღმდეგე ძალისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან წყლის სისტემაში მდებარეობს. ამის მაგალითებია:

- სიცილია, სარდინია და კორსიკა ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში რომსა და კართაგენს შორის;
- კუბა 1959-1991 წლებში აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის; (იხილეთ რუკები დანართში 2).

ორ ან მეტ მეტოქე ძალას შორის განლაგებული სუსტი სახელმწიფო მათგან ყოველთვის თანაბარი მანძილით დაშორებული არ არის. ხშირად ის

ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოსთან ან ალიანსთან უფრო ახლოს მდებარეობს, ვიდრე მეორესთან, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მის გეოპოლიტიკურ როლს – ანუ იმას, ბუფერია ეს სახელმწიფო თუ კვაზიბუფერი. მაგალითისათვის, ამერიკელი მეცნიერის კარლოს ასტიზის თქმით, ლათინური ამერიკის დომინანტი ძალის, აშშ-ის პოტენციური კონკურენტები ამ რეგიონიდან ძალიან შორს იმყოფებიან იმისათვის, რომ აქ მისი ძლიერება და გავლენა გააწონასწორონ.⁵⁴ ამრიგად, როდესაც სუსტი ქვეყანა ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოს გეოგრაფიულად „მიბჯენილია,“ ის, როგორც წესი, მისი კვაზიბუფერის ფუნქციას ასრულებს. ამ ვითარების ამსახველი რამდენიმე მაგალითის მოყვანა შეიძლება: აშშ-სთან მეზობლობამ გარკვეული ხნით განაპირობა კანადის კვაზიბუფერად გადაქცევა ცივი ომის დასაწყისში; ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საბჭოთა კავშირთან გეოგრაფიულმა სიახლოვემ ხელი შეუწყო მათ კომუნისტურ ბლოკში შეყვანას ანუ მათ საბჭოთა კავშირის კვაზიბუფერებად გახდომას იმავე პერიოდში; გარესამყაროსაგან ფაქტობრივმა გეოგრაფიულმა იზოლირებულობამ გამოიწვია ნეპალის სამეფოს ინდოეთის ვასალად/კვაზიბუფერად ჩამოყალიბება 1950-იან წლებში, და სხვა. თუმცა, მსგავსი გეოგრაფიული მდებარეობის მქონე სუსტი ქვეყანა ბუფერად ან მისგან შორს მდებარე მეორე ძლიერი სახელმწიფოს კვაზიბუფერადაც შეიძლება გადაიქცეს, რაც მაშინ ხდება, როდესაც შორს მყოფი ძალა აღნიშნული სუსტი ქვეყნის დიდ მეზობელზე შესამჩნევად უფრო ძლიერია. მაგალითად, 2004 წლიდან რუსეთის ფედერაციის მოსაზღვრე, პოსტსაბჭოთა სივრცის ზოგიერთი სახელმწიფო, რუსეთის კვაზიბუფერად ან რუსეთსა და ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსს შორის ბუფერად ყოფნის ნაცვლად, აშშ/ნატო-ს კვაზიბუფერის ფუნქციას ასრულებს (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი), ზოგიერთი კი, განსხვავებული მონდომებით, ამ გეოპოლიტიკური სტატუსის მოპოვებას ცდილობს (საქართველო და უკრაინა).

ბარი ბუზანის აზრით, ზოგიერთ პატარა სახელმწიფოს ორ ან მეტ რეგიონულ უსაფრთხოების კომპლექსს – ანუ ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებითა და პრობლემატიკით ურთიერთდაკავშირებულ სახელმწიფოთა ჯგუფს – შორის განმაცალკეებლის ფუნქციაც შეიძლება ეკისრებოდეს.

⁵⁴ Carlos Astiz, *Latin American International Politics* (South Bend: University of Notre Dame Press, 1969), 21, ციტირებულია ნაშრომში: Michael Handel, *Weak States in the International System* (London: Frank Cass, Second Edition, 1990), 173.

როგორც მაგალითად, მიანმას სამხრეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიას შორის, თურქეთს ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს შორის, ავღანეთს სამხრეთ აზიასა და ახლო აღმოსავლეთს შორის, ფინეთს, შვედეთს, ავტრიასა და იუგოსლავიას საბჭოთა კავშირსა და დასავლეთ ევროპას შორის, ნეპალს ჩინეთსა და ინდოეთს შორის; და ა.შ.⁵⁵

ქართული პოლიტიკური ერთეულები ისტორიის მანძილზე ხშირად იყვნენ მოქცეულნი მათზე უფრო ძლიერ სახელმწიფოებს შორის სივრცეში, ერთდროულად სამხრეთ-დასავლეთიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და, ბოლო საუკუნეებში, ჩრდილოეთიდანაც:

- იბერიის (ქართლის) და კოლხეთის (ეგრისის) სამეფოები ძველი წელთაღრიცხვის 65 წლიდან ახალი წელთაღრიცხვის 224 წლამდე რომის რესპუბლიკას/რომის იმპერიასა და (I საუკუნიდან) პართიის იმპერიას შორის; III საუკუნის 40-იანი წლებიდან VII საუკუნის 40-იან წლებამდე რომის იმპერიას (IV საუკუნის ბოლოდან ბიზანტიის იმპერიას) და ირანის სასანიდურ იმპერიას შორის; VII საუკუნის 50-იანი წლებიდან VIII საუკუნეში არაბთა მიერ მათ სრულ დაპყრობამდე ბიზანტიის იმპერიასა და არაბთა (ოთხი წმინდა ხალიფისა და ომაიადების) სახალიფოებს შორის;
- კახეთის, ჰერეთის, აფხაზეთის, ტაო-კლარჯეთის სამეფო-სამთავროები და თბილისის საამირო VIII საუკუნის ბოლოდან X საუკუნის შუა ხანებამდე ბიზანტიის იმპერიასა და არაბთა (აბასიდების) სახალიფოს შორის;
- საქართველოს სამეფო 1064 წლიდან XI საუკუნის ბოლომდე თურქ-სელჩუკებისა და ბიზანტიის იმპერიებს შორის;
- საქართველოს სამეფო 1256-1335 წლებში ილხანთა სახელმწიფოსა და ოქროს ურდოს შორის;
- საქართველოს სამეფო 1386-1405 წლებში თემურ-ლენგის იმპერიასა და ოქროს ურდოს შორის;
- ქართული სამეფო-სამთავროები (ქართლი, კახეთი, სამცხე, იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი, აფხაზეთი) XV საუკუნის შუა ხანებიდან

⁵⁵ Barry Buzan, *People, States and Fear: An Agenda for International Security Studies in the Post-Cold War Era* (Boulder: Lynne Rienner Publishers, Second Edition, 1991), 196.

XIX საუკუნის დასაწყისში დამოუკიდებლობის დაკარგვამდე ოსმალეთისა და ირანის (სპარსეთის) იმპერიებს, 1768 წლიდან კი, დამატებით, რუსეთის იმპერიას შორის;

- საქართველოს რესპუბლიკა 1918-1921 წლებში რუსეთსა და თურქეთს შორის;
- საქართველო 1991 წლიდან რუსეთსა და აშშ-ის სამხედრო გავლენის სფეროს (აშშ-ის ნატო-ელ მოკავშირე თურქეთს) შორის; (იხილეთ რუკები დანართში 2).

საქართველოს ტერიტორია ისტორიის უძველესი პერიოდიდან ძლიერ სახელმწიფოებს შორის მეტოქეობის საგანი იყო (*ძალის პოლუსს საქართველო, ალბათ, მხოლოდ: 1010-1064 წლებში,* 1097-1220 წლებში* და 1335-1386 წლებში* წარმოადგენდა*) და, უმეტესად, ამა თუ იმ იმპერიის შემადგენლობაში ან გავლენის სფეროში შედიოდა – მაგალითად, ასურეთის, ურარტუს, აქემენიდების, სელევკიდების, პონტოს, რომის, სასანიდების, ბიზანტიის, არაბული სახალიფოების, თურქ-სელჩუკების, მონღოლური სახანოების, ოსმალეთის, ირანის (სპარსეთის), რუსეთისა და საბჭოთა კავშირის – შესაბამისად, ამ იმპერიების სასაზღვრო პროვინციას ან კვაზიბუფერს წარმოადგენდა. ქართული სახელმწიფოები იშვიათად ასრულებდნენ ჭეშმარიტი ბუფერის როლს. ბუფერებად შესაძლებელია მივიჩნიოთ, ალბათ, მხოლოდ:

- იბერიის (ქართლის) სამეფო II საუკუნის 30-იანი წლებიდან 224 წლამდე რომისა და პართიის იმპერიებს შორის;
- კახეთის სამეფო 1466-1614 წლებში ირანის (სპარსეთის) და ოსმალეთის იმპერიებს შორის;
- საქართველოს რესპუბლიკა 1918-1921 წლებში რუსეთსა და თურქეთს შორის.

* საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებიდან საქართველოში თურქ-სელჩუკთა პირველ ლაშქრობამდე.

* დავით აღმაშენებლის მიერ თურქ-სელჩუკებისადმი ხარკის შეწყვეტიდან საქართველოში მონღოლთა პირველ ლაშქრობამდე.

* გიორგი ბრწყინვალის მიერ საქართველოს მონღოლთაგან გათავისუფლებიდან საქართველოში თემურ-ლენგის პირველ ლაშქრობამდე.

1991 წლიდან, საბჭოთა კავშირისაგან დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველო კვლავ აღმოჩნდა განსხვავებული ძალისა და პრესტიჟის მქონე სახელმწიფოების/ალიანსების ინტერესთა ურთიერთშეჯახების არეალში. ერთი მხრივ, რუსეთმა ყოველმხრივ დაიწყო საქართველოს საკუთარი გავლენის სფეროში შეკავება მის ხელთ არსებული სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტების მთელი არსენალის გამოყენებით (მათ შორის, 1991-1992 წლებში „სამხრეთ ოსეთსა“ და 1992-1993 წლებში აფხაზეთში სისხლისმღვრელი კონფლიქტების გაჩაღებით), მეორე მხრივ კი, აშშ-მა და მისმა პარტნიორებმა ჩრდილო ატლანტიკური ალიანსიდან (რომელიც თურქეთის ტერიტორიით ეხება საქართველოს) აქტიური თანამშრომლობა განავითარეს საქართველოსთან, რასაც საქართველოს მეორე პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მიერ განცხადებულმა პროდასავლურმა საგარეო-პოლიტიკურმა კურსმაც შეუწყო ხელი, რომლის ფარგლებში საქართველოს მომავლისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე რამდენიმე პროცესს ჩაეყარა საფუძველი, მათ შორის საქართველოს ევროპა-აზიის დამაკავშირებელ ენერგეტიკულ დერეფნად გადაქცევას (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გაყვანის შესახებ ხელშეკრულების დადებით 1999 წელს და მისი მშენებლობის დაწყებით 2003 წელს) და საქართველოდან ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანას (1999 წლის ნოემბრის ეუთო-ს სტამბულის სამიტზე ვაზიანისა და გუდაუთის სამხედრო ბაზების გაუქმების შესახებ დადგენილების მიღებით). თუმცა, შევარდნაძის მმართველობის პერიოდში საქართველოს შიდაპოლიტიკურმა პრობლემებმა (რუსეთთან დამარცხებამ „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის ომებში, სახელმწიფო სისტემის კორუმპირებულობამ და არაეფექტიანობამ, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძალზე დაბალმა დონემ, ასლან აბაშიძის რუსეთზე ორიენტირებულმა დიქტატორულმა რეჟიმმა აჭარაში, და ა.შ.) ხელი შეუშალა საქართველოს სახელმწიფოებრივ განვითარებასა და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაციისაკენ მიმართული თანამიმდევრული საშინაო და საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებას, რის გამოც ქვეყნის გეოპოლიტიკური ფუნქცია რეგიონში დიდი ხნის მანძილზე ვერ გამოიკვეთა.

2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუციისა“ და საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ საქართველოს

სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გზაზე მიღწეული არაერთი სერიოზული წარმატების შემდგომ (2004 წლის მაისში ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლის დაბრუნება აჭარაზე, სახელწიფო ინსტიტუტების ძირეული რეფორმირება, 2005 წლის მაისში რუსეთთან ხელშეკრულების გაფორმება, ბათუმსა და ახალქალაქში განლაგებული რუსული სამხედრო ბაზების, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი სხვა რუსული სამხედრო ობიექტების გაუქმების შესახებ, 2005 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და 2006 წელს ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის ამოქმედება, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების გაუმჯობესება, და ა.შ.), საქართველოს სწრაფვა აშშ/ნატო-სკენ უფრო მიზანმიმართული და შედეგიანი, რუსეთის მიმართ პოლიტიკა კი გაცილებით პრინციპული და გულახდილი გახდა, რამაც ევრაზიის „დიდ საჭადრაკო დაფაზე“⁵⁶ საქართველოს როლის უფრო ნათლად განსაზღვრის ალბათობა გაზარდა.

საქართველოს დასავლეთთან შემდგომი დაახლოებისა და რეგიონულ გეოპოლიტიკურ მეტოქეობაში თანდათანობითი მარცხის თავიდან ასაცილებლად, 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა, „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტის ზონაში ვითარების უეცარი ესკალაციისა და შეიარაღებული შეტაკებების პროვოცირების კვალდაკვალ, საქართველოში მასშტაბური სამხედრო ინტერვენცია განახორციელა, მაგრამ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების დამხობასა და ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლას ვერ მიაღწია. სამაგიეროდ, საქართველოს ორი რეგიონის – „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის – სრული ოკუპაცია მოახდინა და, ნომინალურად „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“ აღიარების მიუხედავად, მათი ფაქტობრივი ანექსიისა და სამხრეთ კავკასიაში თავის სამხედრო ბასტიონებად ჩამოყალიბების დიდი ხნით ადრე დაწყებული პროცესი დაასრულა.

ამგვარი კატაკლიზმების ფონზე, საქართველო ჯერ კიდევ 1991 წლიდან დაწყებული გეოპოლიტიკური ტრანზიციის პერიოდში იმყოფება და მისი გეოპოლიტიკური სტატუსი საბოლოოდ გარკვეული არ არის, რადგან:

- ერთი მხრივ, რუსეთი საქართველოს საკუთარ კვაზიბუფერად შენარჩუნებას ცდილობს, ბელორუსიისა და ცენტრალურ აზიაში დსთ-

⁵⁶ იხილეთ: Zbigniew Brzezinski, *The Grand Chessboard* (New York: Basic Books, 1997).

ის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის სხვა წევრების: ყაზახეთისა და მისი მოსაზღვრე ყირგიზეთის, უზბეკეთისა და ტაჯიკეთის მსგავსად, „უარეს შემთხვევაში“ კი საქართველოს, ისევე როგორც სუამ-ის ჯგუფის სხვა წევრების: უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვას ნეიტრალიტეტზე ანუ ბუფერულ სტატუსზე დროებით თანხმდება, უახლოეს ხელსაყრელ ვითარებაში კვლავ საკუთარ კვაზიბუფერებად გადაქცევის მიზნით.

- მეორე მხრივ კი, საქართველოს არც რუსეთის კვაზიბუფერად და არც რუსეთსა და აშშ/ნატო-ს შორის ბუფერად ყოფნა არ სურს. დღეისათვის საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი რუსეთის გეოპოლიტიკური ორბიტიდან თავის დაღწევა და ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების სივრცეში შეღწევა ანუ აშშ/ნატო-ს კვაზიბუფერად გახდომაა, რაც ბალტიისპირეთის სახელმწიფოებმა 2004 წელს მოახერხეს. თუმცა, სამხრეთ კავკასიაში რუსეთის თავდაცვის პერიმეტრის გაგრძელება – მისი შეიარაღებული ძალების განლაგება ზოგან ლეგალურად (სომხეთში), ზოგან კი არალეგალურად (საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში: „სამხრეთ ოსეთსა“ და აფხაზეთში) – ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის პოსტსაბჭოთა სივრცეში შემდგომ ექსპანსიას ართულებს და საქართველოს აშშ/ნატო-ს კვაზიბუფერად, ისევე როგორც ჭეშმარიტ ბუფერად, ჩამოყალიბებას ხელს უშლის.

ახლო პერსპექტივაში საქართველოს, როგორც ორ მეტოქე ძალის პოლუსს შორის მოქცეულ სუსტ, პოტენციურად ბუფერულ სახელმწიფოს, თეორიული თვალსაზრისით, საერთაშორისო სისტემაში ხუთი სხვადასხვა გეოპოლიტიკური როლის შესრულება შეუძლია:

1. *ბუფერის* – იმ შემთხვევაში, თუ „სამხრეთ ოსეთსა“ და აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის შეიარაღებული ძალები (რომლებიც 1992-1993 წლებიდან 2008 წლამდე სამშვიდობო კონტიგენტის სტატუსით სარგებლობდნენ, ხოლო 2008 წლის აგვისტოდან საოკუპაციო ჯარებს წარმოადგენენ) დატოვებენ საქართველოს ტერიტორიას, ან მათ

საერთაშორისო სამშვიდობო ძალები შეცვლის, ხოლო საქართველო ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისაკენ სწრაფვაზე უარს იტყვის, შესაბამისად მის ტერიტორიაზე არც აშშ-ის და არც ნატო-ს წევრი რომელიმე სხვა ქვეყნის სამხედრო ნაწილები არ განლაგდება.

2. *აშშ/ნატო-ს კვაზიბუფერის* – იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის შეიარაღებული ძალები „სამხრეთ ოსეთიდან“ და აფხაზეთიდან გავლენ, ან მათ საერთაშორისო სამშვიდობო კონტინგენტი ჩაენაცვლება, ამავროდულად კი საქართველო ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრი გახდება ან აშშ-სთან ორმხრივ სამოკავშირეო ხელშეკრულებას გააფორმებს, რის შემდგომაც მის ტერიტორიაზე აშშ-ის ან ნატო-ს წევრი სხვა რომელიმე ქვეყნის სამხედრო ძალები შეიძლება განთავსდეს.
3. *რუსეთის კვაზიბუფერის* – იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის შეიარაღებული ძალები „სამხრეთ ოსეთსა“ და აფხაზეთში დარჩებიან და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზეც „ექსკლუზიური უფლებით“ განლაგდებიან, ხოლო საქართველო ნატო-ში ინტეგრაციასა და აშშ-სთან თანამშრომლობაზე უარს იტყვის.
4. *ფეთქებადსაშიშო ზონის (Shatterbelt)** – იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის შეიარაღებული ძალები „სამხრეთ ოსეთსა“ და აფხაზეთს არ

* ტერმინი “Shatterbelt,” რომელიც სიტყვა-სიტყვით „მსხვერვის/დაქუცმაცების სარტყელს“ ნიშნავს აზრობრივად *ფეთქებადსაშიშ ზონად* შეიძლება გადაითარგმნოს. ამგვარი ზონა წარმოიშობება მაშინ, როდესაც ამა თუ იმ რეგიონში ორი ან მეტი მოწინააღმდეგე ძალა საკუთარ დასაყრდენს/გაველენის სფეროს მოიპოვებს, რის შემდეგაც მთელ რეგიონზე კონტროლისათვის მეტოქეობას აგრძელებს. იხილეთ: Philip Kelly and Luisa Pérez, ““Shatterbelts” of the Americas,” *Historical Text Archive*, 2003, <http://www.historicaltextarchive.com/sections.php?op=viewarticle&artid=415> (accessed 28.06.2009). მართალია, ამერიკული გეოპოლიტიკის სკოლის ცნობილი წარმომადგენელი და ამ ტერმინის დამამკვიდრებელი სოლ კოენი „ფეთქებადსაშიშ ზონებს“ ვრცელ რეგიონებს უწოდებდა, სხვა მეცნიერები შემდგომში ამ ცნებას უფრო ვიწრო, ლოკალური მნიშვნელობით იყენებენ (როგორც მაგალითად, ამერიკელი ფილიპ კელი). მოცემულ ნაშრომში ამ ცნებას მეც უფრო მცირე ზომის, ლოკალური გეოგრაფიული არეალის აღსანიშნავად გამოვიყენებ. *ფეთქებადსაშიშო ზონების მასშტაბურობის განსხვავებული ინტერპრეტაციების შესახებ* იხილეთ: Saul Cohen, *Geography and Politics in a World Divided* (New York: Oxford University Press, Second Edition, 1973) და Philip Kelly, “Escalation of Regional Conflict: Testing the Shatterbelt Concept,” *Political Geography Quarterly*, Vol. 5, No. 2 (1986): 161-180, ასევე მისი *Checkerboards and Shatterbelts: The Geopolitics of South*

დატოვებენ და არც მათი საერთაშორისო სამშვიდობო მისიით ჩანაცვლება მოხდება, ხოლო საქართველო ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრი გახდება ან აშშ-სთან ორმხრივ სამოკავშირეო ხელშეკრულებას გააფორმებს, რასაც საქართველოს ტერიტორიაზე აშშ-ის ან ნატო-ს წევრი სხვა რომელიმე ქვეყნის სამხედრო ძალების განლაგება შეიძლება მოჰყვეს. ეს კი, ფაქტობრივად, საქართველოს გავლენის სფეროებად დაყოფა იქნება ერთი მხრივ რუსეთის, მეორე მხრივ კი აშშ/ნატო-ს მიერ.

5. *ეკონომიკური და პოლიტიკური ხილის* – იმ შემთხვევაში, თუ რუსეთსა და აშშ/ნატო-ს შორის სამხედრო-პოლიტიკური მეტოქეობა ჭეშმარიტი თანამშრომლობითა და მეგობრობით შეიცვლება, საქართველო თავის ტერიტორიულ მთლიანობას აღადგენს, რუსეთიდან საფრთხეს აღარ იგრძნობს და ძალის პოლიტიკაზე ორიენტირების საჭიროებას აღარ დაინახავს (როგორც, მაგალითად, ეს პრობლემა მოეხსნათ ბელგიას, ნიდერლანდებსა და ლუქსემბურგს მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, საფრანგეთს, გერმანიასა და დიდ ბრიტანეთს შორის ხანგრძლივი დაპირისპირების შეწყვეტის შედეგად).

ეს უკანასკნელი ანუ მეხუთე სცენარი, რომელიც ძირითადად პირველი ან მეორე სცენარის გაგრძელებაც შეიძლება იყოს, უდაოდ, ყველაზე სასურველია საქართველოსათვის, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან უტოპიას წარმოადგენს, ვინაიდან მიუხედავად საქართველოს დაინტერესებისა და ძალისხმევისა, განავითაროს ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობა როგორც დასავლეთთან, ისე რუსეთთან, კრემლის დამოკიდებულება პოსტსაბჭოთა სივრცისადმი, ნაკლებად სავარაუდოა, კიდევ მრავალი წლის მანძილზე *რეალპოლიტიკის* ჩარჩოებს გასცდეს.

რუსეთის პოსტ-საბჭოთა სივრცეზე ერთპიროვნული ბატონობის იმპერიალისტური მისწრაფებებიდან გამომდინარე, საქართველო ამ ეტაპზე მეორე სცენარს ანუ აშშ/ნატო-ს კვაზიბუფერად გახდომას ანიჭებს უპირატესობას იმ გარემოების გათვალისწინებითაც, რომ მართალია, რუსეთი აშშ-სთან შედარებით სუსტია, მაგრამ აშშ საკმაოდ შორსაა სამხრეთ კავკასიის

America (Austin: University of Texas Press, 1997). „ფოტოქებადსაშიშ ზონებს“ მეორენაირად „შეჯახების ზონებსაც“ (crush zones) უწოდებენ.

რეგიონიდან იმისათვის, რომ აქ რუსეთის ძლიერება და გავლენა ადვილად გააწონასწოროს.

საბედნიეროდ, საქართველოს როგორც ამჟამინდელი, ისე წინამორბედი ხელისუფლება დასაწყისიდანვე მიხვდა, რომ პირველი სცენარი ანუ ქვეყნის ნეიტრალურ, ბუფერულ სახელმწიფოდ გადაქცევის არჩევანი, რომლის გარეგნულ მიმზიდველობას რუსული პროპაგანდა მთელი ამ ხნის მანძილზე აქტიურად ასაზრდოებს (არა მარტო საქართველოში, არამედ, მაგალითად, უკრაინაშიც), პოსტ-საბჭოთა სივრცეში რუსეთის რევიზიონისტული პოლიტიკის გათვალისწინებით, მხოლოდ დროებითი, მოსამზადებელი ეტაპი იქნება მოვლენების მესამე სცენარით დასრულებისათვის. 2008 წლის აგვისტოში რუსეთის არმიის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციის შემდეგ კი ამ სცენარის სრულად განხორციელება შეუძლებელიც კი გახდა. თუმცა, მოსკოვი მის დანარჩენ საქართველოზე თავს მოხვევას მაინც ცდილობს, რათა მესამე სცენარით გათვალისწინებულ მოცემულ მიზანს ანუ საქართველოს საკუთარ კვაზიბუფერად გადაქცევას უფრო ადვილად მიაღწიოს.

დასანანია, მაგრამ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად საგრძნობლად გაიზარდა მოვლენების მეოთხე სცენარით განვითარების ალბათობა, რაც საქართველოსთვის ხელსაყრელი არ არის, რადგანაც, ერთი მხრივ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსები ამით მცირდება, მეორე მხრივ კი, ფეთქებადსაშიში ზონა ვითარების ნებისმიერ მომენტში ესკალაციისა და რეგიონით დაინტერესებულ მეტოქე ძალებს შორის ომის გაჩაღების საფრთხეს შეიცავს. როგორც ამერიკელი მეცნიერი ფილიპ კელი აღნიშნავს, ფეთქებადსაშიში ზონებისათვის დამახასიათებელია მუდმივი სამხედრო და დიპლომატიური დაძაბულობა, გამოწვეული დიდი სახელმწიფოების მიერ მოცემულ რეგიონში ფეხის მოკიდებით, რაც როგორც ადგილობრივი, ისე რეგიონში შემოჭრილი დიდი სახელმწიფოების მონაწილეობით მასშტაბურ ომში შეიძლება გადაიზარდოს.⁵⁷

თუმცა, ფეთქებადსაშიში ზონის პერსპექტივა, ჩემი აზრით, ცუდ სცენარებს შორის ყველაზე უარესი არ არის, რადგანაც ის რუსეთის მორიგი აგრესიის შეკავებისა და მისგან ქართული სახელმწიფოებრიობისა და საქართველოს დანარჩენი ტერიტორიის უსაფრთხოების დაცვის მეტ გარანტიებს

⁵⁷ Philip Kelly and Luisa Pérez, ““Shatterbelts” of the Americas,” *Historical Text Archive*, 2003, <http://www.historicaltextarchive.com/sections.php?op=viewarticle&artid=415> (accessed 30.06.2009).

გულისხმობს. ამ მიმართულებით გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს 2009 წლის იანვარში აშშ-სა და საქართველოს შორის გაფორმებული სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია.⁵⁸ როგორც ფილიპ კელი ამბობს, ფეთქებადსაშიში ზონები ადგილობრივ დონეზე ძალთა ხისტი ბიპოლარული ბალანსის ფორმირებას უწყობს ხელს,⁵⁹ ხოლო თუ კენეთ უოლცს დაეუჯერებთ და მის მოსაზრებებს ბიპოლარულობის მასტაბილიზებელი ეფექტის შესახებ,⁶⁰ სისტემური დონის მიღმა, რეგიონულ და ლოკალურ დონეებზეც გავავრცელებთ, მივიღებთ დასკვნას, რომ ძალთა ბიპოლარულ ბალანსს ადგილობრივი მასშტაბით ფეთქებადსაშიშ ზონაშიც კი სტაბილურობის საკმაოდ მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა შეუძლია. ამდენად, საქართველოს ტერიტორია, როგორც „ფეთქებადსაშიში ზონა“ ადგილობრივ დონეზე ძალთა წონასწორობის/ეკვილიბრიუმის პირობებში „სტაბილურობის ზონა“ შეიძლება გახდეს, რამაც გრძელვადიან პერსპექტივაში, შესაძლოა, მეხუთე (ან, სულაც, მეორე) სცენარის განხორციელებას შეუწყოს ხელი. თუმცა, იმის გამო, რომ ფეთქებადსაშიშ ზონაში ძალთა წონასწორობის ნებისმიერი მერყეობისას კონფლიქტის გაჩაღების ალბათობა მაღალია, რომელიმე – როგორც წესი, ნაკლებად დაინტერესებულმა – მეტოქე ძალამ ამ რეგიონზე ხელის აღება და მისგან თავის შორს დაჭერა შეიძლება გადაწყვიტოს. რუსეთსა და აშშ/ნატო-ს შორის კი ასეთ ნაკლებად რისკიან და მოტივირებულ ძალად, შესაძლოა, ეს უკანასკნელი მოგვევლინოს (ყოველ შემთხვევაში, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ამის საშიშროება უფრო ცხადად შეიგრძნობა), რაც საქართველოს რუსეთის „პრივილეგირებული ინტერესების სფეროში“⁶¹ დაბრუნებას უქადის.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ შემთხვევაში თუ დღეს აშშ, არც ცალმხრივად და არც ნატო-სთან ერთად, რუსეთის მიერ საქართველოს

⁵⁸ იხილეთ: *აშშ-საქართველოს ქარტია სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ*, http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=461&info_id=8713 (accessed 30.06.2009).

⁵⁹ Philip Kelly and Luisa Pérez, ““Shatterbelts” of the Americas,” *Historical Text Archive*, 2003, <http://www.historicaltextarchive.com/sections.php?op=viewarticle&artid=415> (accessed 30.06.2009).

⁶⁰ იხილეთ: Kenneth Waltz, “The Stability of a Bipolar World,” *Daedalus*, Vol. 93, No. 3 (1964): 881-909, და მისივე “The Spread of Nuclear Weapons: More May Better,” *Adelphi Papers*, No. 171 (London: International Institute for Strategic Studies, 1981).

⁶¹ იხილეთ რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის გამონათქვამები: <http://news.kremlin.ru/transcripts/1294>, <http://news.kremlin.ru/transcripts/2092> (accessed 02.07.2009).

ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციის მიუხედავად, ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ეროვნული უსაფრთხოების გარანტად არ დადგება და როგორც საქართველოში, ისე მთლიანად სამხრეთ კავკასიაში ძალის ვაკუუმის შექმნას გამოიწვევს, გეოპოლიტიკური ტრანზიციის ეს პერიოდი საქართველოსთვის (ისევე, როგორც მოგვიანებით აზერბაიჯანისათვის) მესამე სცენარით ანუ რუსეთის სატელიტად/კვაზიბუფერად გადაქცევით შეიძლება დასრულდეს, რაც საქართველოს ისტორიაში 1921 წელს მომხდარი ტრაგედიის – რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დიდი ხნით დასამარების – ერთგვარი გამეორება იქნება და, საბოლოო ჯამში, კატასტროფულ შედეგებს მოუტანს მთლიანად ევროპას, რომლის სტრატეგიული ენერგეტიკული რესურსებით მომარაგების რუსეთისაგან ალტერნატიული გზა სწორედ ამ რეგიონზე გადის.

ამრიგად, დღეისათვის საქართველო არ არის ბუფერული სახელმწიფო და იქნება თუ არა მომავალში, რთული სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, მისი ამჟამინდელი საგარეო პოლიტიკა ამ გეოპოლიტიკური როლის მოპოვებას მიზნად არ ისახავს, რაც სწორად მიმაჩნია, რადგან ბუფერად ყოფნა სახარბიელო სულაც არ არის და ეს შემდგომი მსჯელობის დროს უფრო ნათლად გამოჩნდება.

თავი მეოთხე. ბუფერული სახელმწიფოების ძალა და სისუსტე

როგორც უკვე აღინიშნა, ბუფერული სახელმწიფო, დაბუფერებულ მხარეებთან შედარებით, ნაკლებ ძალას/ძლიერებას ფლობს. ბუფერების ძალის განზომილებასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო ჰიპოთეზა აქვს შემოთავაზებული მაიკლ პარტემს. მისი ვარაუდით, თითოეული დაბუფერებული ძალა ბუფერულ სახელმწიფოსთან ორმხრივი სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში მასზე გამარჯვების ალბათობას 50%-ზე მეტად აფასებს. მსგავსად ამისა, ბუფერული სახელმწიფოც მიიჩნევს, რომ მის მიერ რომელიმე დაბუფერებულ ძალასთან დამოუკიდებლად გამკლავების შანსი 50%-ზე ნაკლებია. როგორც ბუფერი, ისე დაბუფერებული მხარეები ამ გამოთვლებს ერთმანეთის დემოგრაფიული, ეკონომიკური და სამხედრო შესაძლებლობების/მონაცემების შედარების საფუძველზე აკეთებენ. ამდენად, პარტემის აზრით, ბუფერის დასადგენად, აუცილებელი არაა „პატარა [სუსტი] სახელმწიფოს განსაზღვრების ძიება. ბუფერი, უბრალოდ, უფრო „პატარა“ [სუსტია], ვიდრე მისი, სულ მცირე, ორი მეზობელი.“⁶²

სამხედრო ძლიერების კრიტერიუმზე დაყრდნობით პოტენციური ბუფერული პოლიტიკური ერთეულების გამოსავლენად, სტეფან დე სპიგელეირი სახელმწიფოებს შემდეგი მახასიათებლებით ადარებს:

- მოსახლეობის რაოდენობა;
- მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულება;
- თავდაცვის ბიუჯეტის სიდიდე;
- შეიარაღებული ძალების რიცხოვნობა;
- საბრძოლო ტანკებისა და სამხედრო საჰაერო ხომალდების რიცხვი.

ამ მონაცემების გამოყენებით, დე სპიგელეირმა 1994 წელს დასავლეთ ევროპის, რუსეთისა და მათი პოტენციური ბუფერის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის შესაძლებლობები გამოთვალა.

პირველი პოლუსის (დასავლეთ ევროპის – გერმანია, საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი,

⁶² Michael Partem, “The Buffer System in International Relations,” *Journal of Conflict Resolution*, Vol. 27, No. 1 (1983): 7-9.

ნორვეგია, პორტუგალია, ესპანეთი, საბერძნეთი, თურქეთი, დანია, ავსტრია, ფინეთი, შვედეთი, შვეიცარია) სამხედრო პოტენციალი ასე გამოიყურებოდა:

- 2,694,500 სამხედრო მოსამსახურე,
- 22,383 საბრძოლო ტანკი,
- 6,127 სამხედრო საჰაერო ხომალდი.

მეორე პოლუსის (რუსეთის) სამხედრო პოტენციალს შეადგენდა:

- 2,030,000 სამხედრო მოსამსახურე,
- 42,240 საბრძოლო ტანკი,
- 4,513 სამხედრო საჰაერო ხომალდი.

ხოლო პოტენციურ ბუფერს (ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას – პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ხორვატია, სლოვენია, მაკედონია, ალბანეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, უკრაინა, მოლდოვა, ბელორუსია) შემდეგი სამხედრო პოტენციალი ჰქონდა:

- 1,679,487 სამხედრო მოსამსახურე,
- 2,3203 საბრძოლო ტანკი,
- 4,233 სამხედრო საჰაერო ხომალდი.

ამრიგად, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, როგორც პოტენციური ბუფერის, სამხედრო ძალა აშკარად ჩამოუვარდებოდა როგორც დასავლეთ ევროპული, ისე რუსული პოლუსისას.⁶³

ამ მაგალითის სიცხადის მიუხედავად, ბუფერის ობიექტურად გამოვლენა, მისი აბსოლუტური თუ შედარებითი სისუსტიდან გამომდინარე, ხშირად ასე ადვილი არ არის. სახელმწიფოს ძლიერება, საბოლოო ჯამში, ზუსტი მათემატიკური ფორმულით არ განისაზღვრება. ბუნებრივია, სახელმწიფოები

⁶³ Stephan De Spiegeleire, "Of Buffers and Bridges. Some Geodetic Thoughts on European Stability in the Post-Cold War Era," 13 January 1994, <http://ourworld.comuserve.com/homepages/sdspieg/buffer.htm> (accessed 08.07.2009).

გამარჯვების იმედით იწყებენ ომს, მაგრამ მოწინააღმდეგის შესაძლებლობების მცდარად შეფასებისაგან დაზღვეულნი არ არიან. ზოგჯერ შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ მოცემული ორი სახელმწიფოდან რომელი უფრო ძლიერია მანამ, სანამ მათ შორის ომი არ მოხდება. ამდენად, სახელმწიფოს ბუფერული სტატუსი არსებითად აღქმითი, სუბიექტური ფენომენია, რომელიც ხშირად მკვლევარის პირადი „გემოვნებით“ დგინდება.

თუმცა, დე სპიგელიერის, პარტემისა და სხვა მეცნიერთა მიერ არჩეულ ბიჰევიორისტულ მიდგომას ამ საკითხისადმი მაინც დიდი პრაქტიკული ღირებულება აქვს, რადგან მისი მეშვეობით ძალიან ბევრ სახელმწიფოს სამხედრო პოტენციალს შორის არსებული განსხვავების ნათლად დანახვა შეიძლება. ბუფერის ძალის განზომილების ასპექტში ხაზგასასმელია ის, რომ ბუფერულ სახელმწიფოს, ნებისმიერ მის მიერ დაბუფერებულ დიდ სახელმწიფოსთან სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში, საკუთარი სუვერენიტეტის დამოუკიდებლად დაცვა არ შეუძლია.

მართალია, ბუფერის შედარებითი სისუსტე ხშირად თვალშისაცემია, მაგრამ ბუფერის აბსოლუტურ სისუსტესთან მიმართებაშიც შეიძლება გარკვეული კანონზომიერებების მიგნება. ბუფერული სახელმწიფოები ძირითადად *პატარა სახელმწიფოები* (Small Powers) არიან, რომლებსაც საერთაშორისო სისტემის ელემენტთა იერარქიაში ყველაზე დაბალი საფეხური უკავიათ. თუმცა, ბუფერებად ზოგჯერ *საშუალო სახელმწიფოებიც* (Middle Powers) შეიძლება მოგვევლინოს.

მეცნიერთა არაერთი მცდელობის მიუხედავად, ფართობის, მოსახლეობის, მთლიანი შიდა პროდუქტის, სამხედრო ძლიერებისა და სხვა ფაქტორთა შეჯამების საფუძველზე განემარტათ ცნება „პატარა სახელმწიფო/პატარა ქვეყანა“, საერთაშორისო ურთიერთობების ლიტერატურაში ამ ტერმინის ზუსტი განსაზღვრება არ მოიპოვება და ეს, ალბათ, შეუძლებელიც არის. ბუფერული სახელმწიფოს იდეის უკეთ გასაგებად, ვფიქრობ, აქ სასარგებლო იქნება როგორც პატარა, ისე საშუალო სახელმწიფოს რამდენიმე განსაზღვრების მოყვანა.

რობერტ როთსტაინის აზრით: „პატარა ქვეყანა არის ისეთი სახელმწიფო, რომელსაც შეგნებული აქვს, რომ მას არ ძალუძს საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა მხოლოდ მის ხელთ არსებული შესაძლებლობებით და საამისოდ მეტწილად სხვა სახელმწიფოთა დახმარებაზე, ინსტიტუტებზე,

პროცესებსა და მოვლენებზე დაყრდნობა ესაჭიროება.“ პატარა სახელმწიფოებისათვის „უსაფრთხოების დილემის“ მოგვარება, როგორც წესი, გარეშე ძალის წყაროს მოშველიებით არის შესაძლებელი.⁶⁴

ცნობილი ამერიკელი მეცნიერი, საერთაშორისო ურთიერთობების კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიის ერთ-ერთი ავტორი რობერტ კიოჰენი ქვეყნებს, საერთაშორისო სისტემაში მათი როლების მიხედვით, ოთხ ძირითად კატეგორიად აჯგუფებს. მისი განმარტებით: „საშუალო ქვეყანა არის ისეთი სახელმწიფო, რომლის ხელისუფლებასაც მიაჩნია, რომ მარტო ეფექტიანად მოქმედება არ ძალუძს, მაგრამ საერთაშორისო სისტემაზე გავლენის მოხდენა სახელმწიფოთა მცირე ჯგუფის ან საერთაშორისო ინსტიტუტის მეშვეობით შეუძლია, ხოლო პატარა ქვეყანა არის სახელმწიფო, რომლის ხელისუფლებასაც მიაჩნია, რომ არც ერთ შემთხვევაში, არც მარტო და არც სახელმწიფოთა მცირე ჯგუფში მონაწილეობით, საერთაშორისო სისტემაზე გავლენის მოხდენის უნარი არ აქვს.“ შესაბამისად, რობერტ კიოჰენი საშუალო სახელმწიფოებს „სისტემაზე მოქმედ“ (system-affecting), ხოლო პატარა სახელმწიფოებს „სისტემაზე ვერ მოქმედ“ (system-ineffectual) ერთეულებს უწოდებს, მაშინ როდესაც პირველი და მეორე კატეგორიის ძლიერ ქვეყნებს [უფრო ფართოდ მიღებული ტერმინებით, სუპერსახელმწიფოებს და დიდ სახელმწიფოებს (Superpowers, Great Powers)] იგი „სისტემის განმსაზღვრელ“ (system-determining) და „სისტემაზე გავლენის მქონე“ (system-influencing) ერთეულებად მოიხსენიებს.⁶⁵

მაიკლ ჰანდელი, უპირატესობას ანიჭებს ტერმინს „სუსტი სახელმწიფო“ (weak state) და მასში პატარა და მინი/მიკრო/ჯუჯა სახელმწიფოების გარდა, ზოგიერთ საშუალო ქვეყანასაც მოიაზრებს. მისი შეფასებით, სუსტი სახელმწიფოების დღის წესრიგში მუდმივად დგას გადარჩენის საკითხი. სუსტ სახელმწიფოებს უძნელდებათ თავის დაცვა არა მხოლოდ დიდი სახელმწიფოების, არამედ ზოგჯერ ერთი მეორისგანაც. სუსტი სახელმწიფოები ნაკლებს „იწონიან“ ძალთა საერთაშორისო სასწორზე და, ამის გამო, მათი ამა თუ იმ დაპირისპირებულ მხარეს გადასვლა სისტემის წონასწორობის შეცვლას არ იწვევს, თუმცა, გარკვეულ მცირე ან ფსიქოლოგიურ ეფექტს შეიძლება

⁶⁴ Robert Rothstein, *Alliances and Small Powers* (New York: Columbia University Press, 1968), 29, 24.

⁶⁵ Robert Keohane, “Lilliputians’ Dilemmas: Small States in International Politics,” *International Organization*, Vol. 23, No. 2 (1969): 295, 296.

ახდენდეს. სუსტ სახელმწიფოებს ხშირად კიცხავენ ძალის ვაკუუმის შექმნის გამო, რომელიც ძლიერ სახელმწიფოთა აგრესიას იზიდავს. ჰანდელის მიერ შემუშავებულ სუსტი სახელმწიფოს იდეალურ თეორიულ მოდელში, ამ ტიპის ქვეყნის მთავარი მახასიათებლებია:

- მცირე ფართობი;
- მცირე მოსახლეობა;
- *ეკონომიკაში*: მცირე მთლიანი შიდა პროდუქტი; მცირე შიდა ბაზარი; სუსტად განვითარებული მძიმე მრეწველობა ან მისი არარსებობა; მაღალი დონის სპეციალიზაცია მხოლოდ რამდენიმე სახის პროდუქციაზე; დიდი დამოკიდებულება უცხოურ კაპიტალსა და უცხოურ ბაზრებზე იმპორტ-ექსპორტის თვალსაზრისით;
- *სამხედრო სფეროში*: გარეშე საფრთხეებისაგან სუვერენიტეტის დამოუკიდებლად დაცვის უუნარობა; დიდი დამოკიდებულება უცხოურ სამხედრო დახმარებასა და შეიარაღების იმპორტზე; დაბალი გრძელვადიანი საომარი პოტენციალი;
- *საერთაშორისო პოლიტიკაში*: შეზღუდული – მხოლოდ ადგილობრივი ან რეგიონული მასშტაბის – საგარეო-პოლიტიკური ინტერესები; სუსტი ან საერთოდ არავითარი გავლენა ძალთა ბალანსსა და საერთაშორისო სისტემის ბუნებაზე; პასიური საგარეო პოლიტიკა – ძირითადად რეაქცია/პასუხი დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკაზე; ადვილი „შეღწევადობა“; ხშირი აპელირება საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი; და სხვა.⁶⁶

პატარა ქვეყნების ცნობილი ამერიკელი ექსპერტის ანეტ ბეიკერ ფოქსის თანახმად, ასეთი სახელმწიფოების რიგს შეიძლება მივაკუთვნოთ „ისინი, რომელთა ხელისუფლებაც საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური წონის შეზღუდულ, მხოლოდ ადგილობრივ და არა გლობალურ ასპარეზზე მოქმედებას, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ძირითადად გარეშე პოლიტიკურ ძალებზე

⁶⁶ Michael Handel, *Weak States in the International System* (London: Frank Cass, Second Edition, 1990), 9-60.

დამოკიდებულებასა და ეროვნული ინტერესების დიდი სახელმწიფოების მხრიდან უგულვებელყოფის შესაძლებლობას აღიარებს.⁶⁷

ამერიკელი მეცნიერი ამრი ვანდენბოში სუსტ სახელმწიფოებს უსაფრთხოების „მომხმარებლებად“ განიხილავს და მსოფლიო პოლიტიკაში მათ უმნიშვნელო როლსა და დიდი სახელმწიფოების მხრიდან მათ უფრო მეტად ვასალებად, ვიდრე თანასწორებად აღქმას ამ ქვეყნების სამხედრო და დიპლომატიურ სისუსტეს აბრალებს.⁶⁸

ალექსანდრე რონდელის შეფასებით, პატარა ქვეყნების პრობლემატიკით დაინტერესებული ყველა მეცნიერი, ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ: „პატარა ქვეყანა სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით სუსტი ქვეყანაა, რომელსაც თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში დამოუკიდებლად არ ძალუძს საკუთარი ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფა.“⁶⁹

ამერიკელი მკვლევარის ჰერბერტ გოლდჰამერის მოსაზრებით: „ტერმინი *პატარა ქვეყანა* მიესადაგება ქვეყნებს დიდი ფართობითა და მცირე მოსახლეობით, ქვეყნებს მცირე ფართობითა და დიდი მოსახლეობით, ქვეყნებს მცირე ფართობითა და მცირე მოსახლეობით და ზოგიერთ შემთხვევაში ნებისმიერი სიდიდის ქვეყანას, რომელიც უბრალოდ მსოფლიო საქმეებში ნაკლებად ერევა.“⁷⁰

ჰოლანდიელი მეცნიერის ლ. ჟაკეს სიტყვებით: „პატარა სახელმწიფო არის ისეთი სახელმწიფო, რომელსაც არც მსოფლიო და არც რეგიონის მასშტაბით

⁶⁷ Annette Baker Fox, “The Small States in the International System, 1919-1969,” *International Journal*, No. 24 (1969): 751. n. 3, ციტირებულია ნაშრომში: Michael Handel, *Weak States in the International System* (London: Frank Cass, Second Edition, 1990), 42. n. 92.

⁶⁸ Amry Vandenbosch, “The Small States in International Politics and Organization,” *The Journal of Politics*, Vol. 26, No. 2 (1964): 294, 301.

⁶⁹ ალექსანდრე რონდელი, *პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში* (თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, „ნეკერი“, მეორე გამოცემა, 2009), 27.

⁷⁰ Herbert Goldhamer, *The Foreign Powers in Latin America* (Princeton: Princeton University Press, 1972), 237, n. 29, ციტირებულია ნაშრომებში: Michael Handel, *Weak States in the International System* (London: Frank Cass, Second Edition, 1990), 9; ალექსანდრე რონდელი, *პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში* (თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, „ნეკერი“, მეორე გამოცემა, 2009), 26.

არ ძალუძს საკუთარი პოლიტიკური ნების ცხოვრებაში გატარება და საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვა ძალის პოლიტიკის მეშვეობით.⁷¹

ბარი ბუზანის დაკვირვებით, პატარა სახელმწიფოები მცირე გავლენას ახდენენ რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსების სტრუქტურაზე, რადგან მათი ეროვნული უსაფრთხოება დიდ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების ხასიათზეა დამოკიდებული. თუმცა, პატარა ქვეყანა საფრთხედ შეიძლება გადაიქცეს ამა თუ იმ დიდი სახელმწიფოსათვის, თუ მისთვის არასასურველ პოზიციას დაიკავებს დიდ ძალთა მეტოქეობაში. ამიტომაც, პატარა ქვეყნები რეგიონულ უსაფრთხოების კომპლექსებში ბუფერის როლს შეიძლება ასრულებდნენ.⁷²

ვინაიდან ბუფერები ძირითადად პატარა/სუსტი სახელმწიფოები არიან, მათ შესახებ ძალიან ბევრი ისეთი რამის თქმა შეიძლება, რაც ზოგადად ამ ტიპის სახელმწიფოებს ახასიათებს, მაგრამ მე აქ პატარა/სუსტი ქვეყნების მხოლოდ იმ თვისებებზე შევჩერდები, რომლებიც მათ ბუფერის როლის შესრულებაში ეხმარება ან, პირიქით, ხელს უშლის.

სუსტი სახელმწიფოების დაბალი თავდაცვისუნარიანობა მათ ბუფერებად ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას მნიშვნელოვნად აბრკოლებს, რადგან ძლიერ მეტოქე სახელმწიფოებს მათ შორის ძალის ვაკუუმის არსებობა ყოველთვის აშინებს: თოთოეულ მათგანს დღენიადაგ იმის ეჭვი აქვს, რომ მეტოქე სახელმწიფო ბუფერის დაკავებასა და მისი ტერიტორიის სამხედრო ბაზების განსათავსებლად, ე.ი. მასზე შეტევის პლაცდარმად გამოყენებას გეგმავს. ამდენად, იმისათვის, რომ სუსტმა სახელმწიფომ ბუფერის ფუნქცია წარმატებით შეასრულოს, მას რაც შეიძლება კარგად გაწვრთნილი და ძლიერი შეიარაღებული ძალები უნდა ჰყავდეს. ამან შეიძლება დაარწმუნოს ეჭვიანი მეზობელი იმაში, რომ ბუფერულ სახელმწიფოს საკუთარი ნეიტრალიტეტისა და ბუფერული სტატუსის მცირე საფრთხეებისაგან დაცვა მაინც შეუძლია.

⁷¹ L. G. M. Jaquet. "The Role of Small States within Alliance Systems," in *Small States in International Relations*, ed. A. Schou and A. Brutland (Stockholm: Almqvist and Wiksell, 1971), 58, ციტირებულია ნაშრომებში: Michael Handel, *Weak States in the International System* (London: Frank Cass, Second Edition, 1990), 61; ალექსანდრე რონდელი, *პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში* (თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, „ნეკერი“, მეორე გამოცემა, 2009), 26.

⁷² Barry Buzan, *People, States and Fear: An Agenda for International Security Studies in the Post-Cold War Era* (Boulder: Lynne Rienner Publishers, Second Edition, 1991), 190, 195-196.

შეიარაღებული ნეიტრალიტეტის პოლიტიკა ძალიან მძიმე ტვირთია სუსტი სახელმწიფოებისათვის, რომელთა უმრავლესობასაც, შეზღუდული ეკონომიკური პოტენციალის გამო, დიდი რაოდენობით თანამედროვე შეიარაღების წარმოების ან შექმნისა და მრავალრიცხოვანი არმიების შენახვის უნარი არ გააჩნია. ამასთან, დიდ სახელმწიფოებთან შესაძლო ომში მარცხის გარდაუვალობა სუსტ სახელმწიფოებში ხშირად „თავდაცვის ნიჰილიზმს,“ ანუ მათ მიერ შეიარაღებული ძალების ფორმირებაზე საერთოდ უარის თქმას იწვევს. ეს მაშინ ხდება, როდესაც სუსტი სახელმწიფოს ხელისუფლებას სჯერა, რომ რაც არ უნდა მოიმოქმედოს საკუთარი სამხედრო პოტენციალის გასაზრდელად, დიდი სახელმწიფოს თავდასხმას მაინც ვერ მოიგერიებს და, ამდენად, თავდაცვის სფეროში ინვესტირებას რესურსების ფუჭ ხარჯვად ჩათვლის. თუმცა, ისიც აშკარაა, რომ თუნდაც მცირერიცხოვანი, მაგრამ ბრძოლისუნარიანი არმიის ყოლა აგრესიის შემაკავებელი ფაქტორი შეიძლება გახდეს. სუსტ სახელმწიფოს ძალუძს, ხელი ააღებინოს ძლიერს მასზე თავდასხმისაგან, თუ ამ ნაბიჯს არამომგებიანად წარმოაჩენს, ანუ თუ აგრესორს აგრძნობინებს, რომ გამარჯვების მოპოვებამდე მას ამ ბრძოლაში დაეკარგება დიდი რაოდენობით ცოცხალი ძალა, სამხედრო ტექნიკა, დრო და დაკავებულ ტერიტორიაზე მრავალრიცხოვანი საოკუპაციო ჯარის დატოვება მოუხდება, ე.ი. სტრატეგიული მონაპოვარი დიდი დანახარჯებით გაუქარწყლდება. მაგალითისათვის, „ჰოლანდიას რომ [1914 წელს] 450 000-იანი არმიის მობილიზების უნარი ჰქონოდა, მას პირველ მსოფლიო ომში საკუთარი ნეიტრალიტეტი შეიძლება დაეცვა,“⁷³ ან, მსგავსად ამისა, „კარგად შეიარაღებულ ბელგიასა და ჰოლანდიას, შესაძლოა, პირველი და მეორე მსოფლიო ომების მიმდინარეობაზე სერიოზული გავლენა მოეხდინა.“⁷⁴

პოტენციური ბუფერული სახელმწიფო, რომელიც თავს არამიმზიდველ სამიზნედ წარმოაჩენს, მართლაც, წარმატებული ბუფერი შეიძლება გახდეს. ყოველ შემთხვევაში, მისი გადარჩენისა და მის მიერ დაბუფერებულ მხარეებს შორის სამხედრო დაპირისპირების თავიდან აცილების ალბათობა გაიზრდება. როგორც მაიკლ ჰანდელი ვარაუდობს, რაც უფრო მეტ ხანს შეუძლია სუსტ

⁷³ Michael Handel, *Weak States in the International System* (London: Frank Cass, Second Edition, 1990), 76-104.

⁷⁴ Robert Rothstein, *Alliances and Small Powers* (New York: Columbia University Press, 1968), 172.

სახელმწიფოს, დიდი სახელმწიფოს თავდასხმას გაუძლოს, მით უფრო იზრდება იმის შანსი, რომ მას სხვა დიდი სახელმწიფო დაეხმარება.⁷⁵

თუმცა, თუ მეტოქე დიდმა სახელმწიფოებმა იმის დაწყება მაინც გადაწყვიტეს, ბუფერი მათ ვერ შეაჩერებს, მისი ტერიტორია ბრძოლის ველად გადაიქცევა, ხოლო იმის დასრულების შემდეგ მის ბედს გამარჯვებული გადაწყვეტს. ასეთი რამ არაერთხელ მომხდარა პოლონეთის, ბელგიის, ავღანეთის, საქართველოსა და სხვა ქვეყნების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.*

სუსტი სახელმწიფოების დაუცველობის ხარისხს დიდ სახელმწიფოთა წინაშე განსაკუთრებით აძლიერებს ისეთი გეოგრაფიული ფაქტორები, როგორცაა მათი ტერიტორიის მცირე ფართობი, ვაკე რელიეფი, ხელსაყრელი კლიმატური პირობები, მცირერიცხოვანი და მეჩხერად დასახლებული მოსახლეობა, და სხვა. თუ სახელმწიფო ფართობით პატარაა, მის არმიას *სტრატეგიული სიღრმე* ანუ უკან დასახვეი ტერიტორია არ გააჩნია და ხშირად ასეთი ქვეყნისათვის პირველი ბრძოლის წაგება იმში საბოლოო დამარცხებას ნიშნავს. ბუნებრივი სტრატეგიული ბარიერების (მაგალითად, მთების) არარსებობა სუსტი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მანევრირებას აძნელებს, მოსახლეობის მცირერიცხოვნობა და მეჩხერად დასახლებულობა კი არმიის სიმცირესა და არაეფექტიანობას განაპირობებს, მაგრამ თუ სახელმწიფოს დიდი ტერიტორია, ძნელად გადასალახი რელიეფი და არახელსაყრელი კლიმატური პირობები აქვს (როგორც მაგალითად, ავღანეთს, შვეიცარიას, ფინეთსა და სხვებს), მისი თავდაცვისუნარიანობა შედარებით მაღალია და მტრულად განწყობილი სახელმწიფო მის წინააღმდეგ იმის დაწყებას ადვილად ვერ გადაწყვეტს,⁷⁶ ანუ ასეთი სახელმწიფო ბუფერად უფრო გამოსადეგი შეიძლება იყოს.⁷⁷ ცნობილი ამერიკელი მეცნიერის რობერტ ჯერვისის შეფასებითაც, ოკეანეები, დიდი მდინარეები და მთაგრეხილები

⁷⁵ Michael Handel, *Weak States in the International System* (London: Frank Cass, Second Edition, 1990), 92.

* ამ მხრივ საქართველოს მწარე ისტორიული გამოცდილება შესანიშნავად აქვს წარმოადგენილი დიდ ქართველ პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს თავის ცნობილ სტროფში: „ორ ზღვას შუა ძველისძველად საომარი იყო ლელო – ის გადარჩა და სახელად ეწოდება საქართველო.“ გალაკტიონ ტაბიძე, „მშობლიურო ჩემო მიწავ“, *გალაკტიონ ტაბიძე: რჩეული* (თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1973), 442.

⁷⁶ Michael Handel, *Weak States in the International System* (London: Frank Cass, Second Edition, 1990), 67-90.

⁷⁷ Nicholas Spykman, “Geography and Foreign Policy, II,” *The American Political Science Review*, Vol. 32. No. 2 (1938): 227.

ბუფერულ ფუნქციას ასრულებს: ვინაიდან მათი გადალახვა ძნელია, ისინი თავდაცვის კარგი საშუალებაა უპირატესი რიცხოვნობის არმიების წინააღმდეგ.⁷⁸

სტევან დე სპიგელეირის აზრით, ბუფერის ეფექტს – ბუფერის უნარს შეაკავოს მეტოქე ძალებს შორის საომარი კონფლიქტი – გეოგრაფიული ფაქტორის გარდა (მაგალითად, დიდი ტერიტორია, ბუნებრივი ფიზიკურ-გეოგრაფიული ზღუდეები, და ა.შ.), დამატებით აძლიერებს ისეთი ეკონომიკური და შიდაპოლიტიკური ფაქტორები, როგორცაა სიცოცხლისუნარიანი ეკონომიკა, დაბუფერებულ ძალთათვის სასურველი სტრატეგიული რესურსების არქონა, შიდაპოლიტიკური ერთიანობა და სტაბილურობა, და სხვა. იმისათვის, რომ ბუფერი შენარჩუნდეს, დიდ სახელმწიფოებს მის საშინაო საქმეებში ჩარევის საბაბი არ უნდა გაუჩნდეთ.⁷⁹

სუსტი სახელმწიფოს დაუცველობასა და ბუფერული სტატუსის არამდგრადობას ზოგჯერ თუნდაც ერთ-ერთი მეტოქე ძალისათვის მისი ტერიტორიის უზარმაზარი სტრატეგიული მნიშვნელობა განაპირობებს. ასეთ შემთხვევაში, უფრო მეტად დაინტერესებული ძლიერი სახელმწიფო ყოველმხრივ შეეცდება თავისი სუსტი მეზობლის დაპყრობას ან მის მოკავშირედ გადაქცევას, რაოდენ დიდ წინააღმდეგობასაც არ უნდა ელოდეს მისგან. მაგალითად, 1939 წელს საბჭოთა კავშირმა, ფინეთის ტერიტორიის დასაკავებლად ზამთრის ომის წამოიწყო, რადგანაც გერმანიის მიერ ამ ქვეყნის ხელსაყრელ საომარ პლაცდარმად გამოყენების შესაძლებლობა დაინახა (ფინეთის სამხრეთი საზღვარი ქალაქ ლინინგრადიდან მხოლოდ 32 კილომეტრით იყო დაშორებული).⁸⁰ ბუფერული სახელმწიფოს არასახარბიელო ვითარება ზოგჯერ იმ გარემოებითაც რთულდება, რომ ძლიერ მეზობლებს მისი საზღვრები სადაოდ მიაჩნიათ.⁸¹

⁷⁸ Robert Jervis, "Cooperation Under the Security Dilemma," *World Politics*, Vol. 30, No. 2 (1978): 194.

⁷⁹ Stephan De Spiegeleire, "Of Buffers and Bridges. Some Geodetic Thoughts on European Stability in the Post-Cold War Era," 13 January 1994, <http://ourworld.compuserve.com/homepages/sdspieg/buffer.htm> (accessed 17.07.2009).

⁸⁰ Michael Handel, *Weak States in the International System* (London: Frank Cass, Second Edition, 1990), 72.

⁸¹ ალექსანდრე რონდელი, *პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში* (თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, „ნეკერი“, მეორე გამოცემა, 2009), 171.

ოღაც კნუდსენის შეხედულებით, ბუფერის ეფექტზე დადებით გავლენას ახდენს ბუფერული სახელმწიფოებს დამოუკიდებლობისა და დიდი სახელმწიფოების გავლენისაგან თავისუფლების შენარჩუნების ძლიერი სურვილი, გატარებული მათ როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში.⁸² ბუფერულ ქვეყნებს ხშირად, მათი არმიისა და მოსახლეობის მიერ გამოჩენილი თავდადების წყალობით, საკუთარი სუვერენიტეტისა და ბუფერული სტატუსის დაცვა შეუძლიათ. მაგალითად: XIII საუკუნეში საღვთო რომის იმპერია ცდილობდა ძალაუფლების განმტკიცებას სენ-გოტარდის უღელტეხილზე, რომელზეც იტალია-გერმანიის დამაკავშირებელი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზა გადიოდა, მაგრამ ურის, შვიცისა და უნტერვალდენის ადგილობრივმა თემებმა 1291 წელს კავშირი შეკრეს და 1315 წელს მარგარტენთან ბრძოლაში ჰაბსბურგთა დიდი არმია დაამარცხეს, რასაც მოგვიანებით ქალაქების ლუცერნის, ციურიხის, ბერნისა და სხვათა მონაწილეობით შვეიცარიის კონფედერაციის დაარსება მოჰყვა; 1839-1842 წლების პირველ ავღანურ ომში ინგლისელებმა ვერაფრით ვერ ჩაახშვეს ავღანელების წინააღმდეგობა, თორემ, რუსეთის ცენტრალურ აზიაში გააქტიურებამდე, ეს ტერიტორია ბრიტანეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი გახდებოდა; ფინელი ხალხის გააფთრებულმა ბრძოლამ საბჭოთა არმიის წინააღმდეგ 1939-1940 და 1944 წლებში ამ ქვეყნის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და ცივი ომის პერიოდში ბუფერად შენარჩუნება განაპირობა. 1943 წლის თეირანის კონფერენციაზე ფინეთზე საუბრისას სტალინს რუზველტისა და ჩერჩილისათვის უთქვამს: „ქვეყანა, რომელიც ასეთი სიმამაცით იბრძოდა საკუთარი დამოუკიდებლობისათვის, ყურადღების ღირსია.“⁸³

თუმცა, მხოლოდ ეფექტიანი სამხედრო ძალა სახელმწიფოს ბუფერული სტატუსის დამცველი ვერ იქნება. ზოგიერთი მეცნიერი პირველ და მეორე მსოფლიო ომებში შვეიცარიისა და შვედეთის უვნებლად გადარჩენის, ისევე როგორც ცივ ომში *ფინლანდიზაციის* ფენომენის მიზეზთა შორის, ამ ქვეყნების

⁸² Olav Knudsen, "Eastern Europe: The Buffer Effect of a Cordon Sanitaire," in *Buffer States in World Politics*, ed. John Chay and Thomas Ross (Boulder: Westview Press, 1986), 91.

⁸³ Max Jakobson, "Finland: A Nation that Dwells Alone," *The Washington Quarterly*, Vol. 19, No. 4 (1996): 41, ციტირებულია ნაშრომში: ალექსანდრე რონდელი, *პატარა ქვეყანა საერთაშორისო ხსტემაში* (თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, „ნეკერი“, მეორე გამოცემა, 2009), 173.

შედარებით კარგად განვითარებული სამხედრო პოტენციალის, შეიარაღების სფეროში ავტონომიურობისა და საერთო მოსახლეობასთან სამხედრო მოსამსახურეთა მაღალი პროცენტული შეფარდების გარდა, პირველ რიგში მოცემული ისტორიული მომენტისათვის მათი გეოსტრატეგიული მდებარეობის მეორეხარისხოვნობას ასახელებს. მაგალითად, მაიკლ ჰანდელი მიიჩნევს, რომ შვედეთიც და შვეიცარიაც პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს კონფრონტაციის პერიფერიაზე ყოფნამ გადაარჩინა – ანტანტისა და ცენტრალური სახელმწიფოების ძალები პირველ მსოფლიო ომში, ისევე როგორც მოკავშირეები და ღერძის სახელმწიფოები მეორე მსოფლიო ომში, ამ ორი ქვეყნის ტერიტორიების გამოუყენებლადაც ახერხებდნენ ერთმანეთთან შეხმას, მაშინ როდესაც ნეიტრალურმა ბელგიამ და პოლონეთმა, რომლებსაც დაახლოებით ასეთივე სიძლიერის შეიარაღებული ძალები ჰყავდათ, აგრესიის შეკავება და ომისაგან განზე დგომა ვერ შეძლეს.⁸⁴ ტრიგვე მატისენიც იმ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს შვეიცარია გერმანიისა და მისი მოკავშირეების კონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორიებით იყო გარემოცული, რის გამოც ჰიტლერს ამ „ნეიტრალური კუნძულის“ დაკავება აღარ დასჭირდა, მით უმეტეს რომ ამ ნაბიჯს გერმანია-იტალიის ურთიერთობები შეიძლება დაეძაბა. ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა შვედეთიც.⁸⁵ მოგვიანებით, ცივი ომის დროს საბჭოთა კავშირი მიესალმებოდა შვედეთის ნეიტრალიტეტს იმდენად, რამდენადაც ამ ქვეყანასთან უშუალო სახმელეთო საზღვარი არ ჰქონდა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ რამდენიმე გარემოებამ ერთდროულად დადებითად იმოქმედა ფინეთის ბედზე. ალექსანდრე რონდელის აზრით, ამ ქვეყნის ევროპის ჩრდილოეთ პერიფერიაზე მდებარეობამ და მის სრულ კონტროლთან დაკავშირებულმა მოსალოდნელმა პრობლემებმა აფიქრებინა სტალინს, რომ საბჭოთა კავშირისათვის ფინეთის, როგორც ბუფერის როლი მისაღები იყო.⁸⁶

⁸⁴ Michael Handel, *Weak States in the International System* (London: Frank Cass, Second Edition, 1990), 102.

⁸⁵ Trygve Mathisen, *The Functions of Small States in the Strategies of the Great Powers* (Oslo: Universitetsforlaget, 1971), 259.

⁸⁶ ალექსანდრე რონდელი, *პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში* (თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, „ნეკერი“, მეორე გამოცემა, 2009), 173.

ამდენად, ბუფერული სახელმწიფოები უმეტესად შეზღუდული სამხედრო შესაძლებლობებისა და საერთაშორისო სისტემაზე მცირე გავლენის მქონე პატარა/სუსტი სახელმწიფოები არიან, რომლებსაც საკუთარი სუვერენიტეტისა თუ ბუფერული როლის შესანარჩუნებლად მათ ხელთ არსებული შიდა რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება ესაჭიროებათ. თუმცა, ამის გაკეთების შემთხვევაშიც კი მათი ბედი მნიშვნელოვანწილად დიდი/ძლიერი სახელმწიფოების ნება-სურვილზეა დამოკიდებული, რაც შემდგომ თავში უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

თავი მეხუთე. ძალის პოლიტიკა და ბუფერული სახელმწიფოები

ბუფერის ფენომენი, ალბათ, ისეთივე ძველია, როგორც კაცობრიობა. ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილების დროს ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი ტომები მათი განსახლების არეალებს შორის მოქცეულ გარკვეულ მიწის ფართობს დაუსახლებლად ტოვებდნენ ხოლმე, რათა ერთმანეთთან ხშირი კონტაქტი არ დაეშვათ და ამით სისხლისმღვრელი ურთიერთშეტაკებების ალბათობა შეემცირებინათ. ამგვარი, „ცარიელი“ ანუ „გაუკაცრიელებული“ ტერიტორიების პრაქტიკა ადრეული ცივილიზაციების ჩამოყალიბებასთან ერთად არ გამქრალა. სახელმწიფოების შექმნისა და მათი ძლიერებად და სუსტებად დაყოფის შემდგომ, ძლიერმა მეტოქე სახელმწიფოებმა, უშუალო „შეხების“ თავიდან ასაცილებლად, ერთმანეთს შორის ან ასეთი „უკაცრიელი სასაზღვრო ზონების“ შენარჩუნება ან სუსტი – ბუფერული და კვაზიბუფერული – სახელმწიფოების დაარსება დაიწყეს.

ვითარებას, როდესაც ორ ძალის პოლუსს შორის სისუსტის არეალი – სუსტი პოლიტიკური ერთეულებისაგან შემდგარი პოტენციური ბუფერული ზონა – ჩნდება [როგორც, მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპაში I-II მსოფლიო და ცივი ომების შემდგომ, სამხრეთ კავკასიაში რუსეთის 1917 წლების რევოლუციებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, ასევე ცენტრალურ აზიაში 1991 წლიდან, და სხვა], თეორიულად, ორგვარი განვითარება შეიძლება მოჰყვეს:

1. შუა არეალი, შესაძლებელია, მიჩნეულ იქნეს არასტაბილურ ვაკუუმად, რომლის სტაბილიზაციაც უნდა განხორციელდეს ძალის ერთ-ერთი პოლუსის თავდაცვის პერიმეტრის ცალმხრივი გაფართოებით (მაგალითისათვის, საბჭოთა კავშირის მიერ აღმოსავლეთ ევროპის დაქვემდებარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოება ცივი ომის შემდეგ, და სხვა) ან ამ ტერიტორიის გავლენის სფეროებად დანაწილებით, ანუ ორივე პოლუსის თავდაცვის პერიმეტრის „ჯენტლმენური შეთანხმების“ საფუძველზე ერთდროული გაფართოებით (მაგალითად, ნაცისტური გერმანიისა და საბჭოთა კავშირის მიერ 1939 წლის მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტით აღმოსავლეთ ევროპის ორად გაყოფა, და სხვა);

2. შუა არეალი, შესაძლებელია, აღიარებულ იქნეს ჭეშმარიტ, მასტაბილიზებელ ბუფერულ ზონად (როგორც, მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპა 1918-1939 წლებში, და სხვა).⁸⁷

ისტორიის მანძილზე დიდი/ძლიერი სახელმწიფოები, ერთი მხრივ, ძალის ვაკუუმის შიშისა და, მეორე მხრივ, საკუთარი საზღვრებისა თუ გავლენის სფეროების გაფართოების დაუცხრომელი სურვილის გამო, პირველ გამოსავალს უფრო ხშირად მიმართავდნენ, ვიდრე მეორეს. კაცობრიობის ისტორიაში ცნობილი პირველი სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის 1258 წელს ეგვიპტის ფარაონ რამზეს II-სა და ხეთების მეფე ხათუსილი III-ს შორის დაიდო, ამ ორ სახელმწიფოს შორის მდებარე პოტენციურად ბუფერული სირია-პალესტინის ტერიტორიის (სამეფოები: ხალაფი, ალაღახი, კადეში, ნუხაშე, ამურუ, ქარხემიში, და სხვ.) გავლენის სფეროებად დანაწილებას ითვალისწინებდა. აღნიშნული ტერიტორიის ჩრდილოეთი ნაწილი ხეთების სამეფოს ერგო, სამხრეთი და შუა ნაწილები კი – ეგვიპტეს; რომისა და პართიის იმპერიები მათ შორეულ საზღვრებს შორის მოქცეულ სომხეთს (არმენიას) ჭეშმარიტ ბუფერად არ იყენებდნენ და მასზე ბატონობას ეცილებოდნენ ერთმანეთს. ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნეში სომხეთი (იბერია-კოლხეთისა და ალბანეთის მსგავსად) რომის ვასალად გადაიქცა, მაგრამ ახალი წელთაღრიცხვის 66 წელს რომის იმპერატორი ნერონი იძულებული გახდა, ეს ქვეყანა პართიისათვის დაეთმო;⁸⁸ 843 წლის ვერდენის შეთანხმებით სამად გაყოფილი კარლოს დიდის იმპერიის შუა ტერიტორია (მდინარე რაინის შესართავიდან მდინარე რონის შესართავამდე გადაჭიმული მიწები) შემდგომ საუკუნეებში ფრანგულ და გერმანულ სახელმწიფოებს შორის ბუნებრივ ბარიერს წარმოადგენდა, მაგრამ როგორც ფრანგი, ისე გერმანელი მონარქები მუდმივად ცდილობდნენ ამ სივრცის დაპყრობას (რომელიც დღევანდელი ბელგიას, ნიდერლანდებს, ლუქსემბურგს, ალზას-ლორანსა და

⁸⁷ Stephan De Spiegeleire, "Of Buffers and Bridges. Some Geodetic Thoughts on European Stability in the Post-Cold War Era," 13 January, 1994, <http://ourworld.compuserve.com/homepages/sdspieg/buffer.htm> (accessed 20.07.2009); Michael Partem, "The Buffer System in International Relations," *Journal of Conflict Resolution*, Vol. 27, No. 1 (1983): 19.

⁸⁸ *История Дипломатий*, I, ред. Владимир Потемкин (Москва: ГСЭИ, 1941), 20-22, 77-80.

შევიცარიას მოიცავს);⁸⁹ 1555 წლის ამასიის ზავით სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიებმა სამხრეთ კავკასია გაინაწილეს: დასავლეთ საქართველო ოსმალეთს ხვდა წილად, აღმოსავლეთ საქართველო – სპარსეთს, ხოლო სამხრეთ საქართველო (სამცხე), რომელიც, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ამ ორ ძალას შორის ეგვიპტიან ბუფერად შეიძლებოდა გადაქცეულიყო, ასევე ორად იქნა გაყოფილი; 1907 წლის ანტანტის ხელშეკრულებით რუსეთმა და დიდმა ბრიტანეთმა ირანი გავლენის სფეროებად დაინაწილეს: ქვეყნის ჩრდილოეთი რუსულ ზონად გადაიქცა, სამხრეთი კი – ბრიტანულ ზონად (თუმცა, მათ შორის ვრცელი ნეიტრალური ზონა მაინც შენარჩუნდა); იმავე წელს საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა მსგავსი გადაწყვეტილება ტაილანდის თაობაზე მიიღეს, რომელიც მანამდე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მათ ინტერესთა სფეროებს აცალკევებდა: ამ ქვეყნის დასავლეთი ნაწილი ბრიტანეთის კონტროლის ქვეშ მოექცა, აღმოსავლეთი ნაწილი კი – საფრანგეთის; მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-მა და საბჭოთა კავშირმა უარი თქვეს კორეის ბუფერად გამოყენებაზე და კორეის ნახევარკუნძულზე თავიანთი თავდაცვის პერიმეტრები მაქსიმალურად გააფართოვეს, რის შედეგადაც ეს ქვეყანა, 38-ე პარალელის გასწვრივ, ორად გაიხლიჩა; ევროპის წამყვანი სახელმწიფოები თითქმის არ ანიჭებდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს საკმარის დამოუკიდებლობას იმისათვის, რომ ამ უკანასკნელებს ბუფერის როლი შეესრულებინათ. პოლონეთი ყოველთვის სლავური და გერმანული ცივილიზაციების ბუნებრივი გამყოფი იყო, მაგრამ XVIII საუკუნეში პრუსიამ, რუსეთმა და ავსტრიამ ის სამჯერ დაინაწილეს (1772, 1793, 1795 წლებში), 1939 წელს ნაცისტურმა გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა ორად გაიყვეს, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირმა თავის გავლენის სფეროში მოაქცია; 1990-იანი წლების დასაწყისისათვის აღმოსავლეთ ევროპა აშკარად აკმაყოფილებდა კრიტერიუმებს ბუფერად გადაქცევისათვის, როგორც ორ პოლუსს, დასავლეთსა და რუსეთს, შორის მოქცეული სუსტი და

⁸⁹ Samuel van Valkenburg and Carl Stotz, *Elements of Political Geography* (Englewood Cliffs: Prentice Hall, Second Edition, 1954), 41, ციტირებულია ნაშრომში: Thomas Ross, "Buffer States: A Geographer's Perspective," in *Buffer States in World Politics*, ed. John Chay and Thomas Ross (Boulder: Westview Press, 1986), 18.

დამოუკიდებელი სახელმწიფოებისაგან შემდგარი არეალი,⁹⁰ მაგრამ აშშ-მა და მისმა დასავლეთ ევროპელმა მოკავშირეებმა უარი თქვეს ამ რეგიონის ბუფერად გამოყენებაზე და ცივი ომის დასრულების შემდეგ აქ წარმოქმნილი გეოპოლიტიკური ვაკუუმის ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის აღმოსავლეთისაკენ გაფართოების მეშვეობით შეესება გადაწყვიტეს, რაც აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობის (მათ შორის ბალტიისპირეთის რესპუბლიკების) დიდი სურვილიც იყო, ვინაიდან „[ამ ქვეყნების] ისტორიულ მეხსიერებაში ბუფერული ფუნქცია (1918-1940 წწ.) უაღრესად მძიმე, ტრაგიკული გამოცდილების სიმბოლოდ რჩება.“⁹¹

პოტენციური ბუფერული არეალის დაპყრობის ან უკვე არსებული ბუფერის დარღვევისაკენ დიდ სახელმწიფოებს ერთმანეთისადმი უნდობლობა უბიძგებს, ანუ თითოეული მათგანის შიში, რომ მეტოქემ, შესაძლოა, გავლენა დაამყაროს ბუფერზე, თავის კვაზიბუფერად გადააქციოს ის და შემდგომი შეტევისათვის პლაცდარმად გამოიყენოს. მაგალითად, XIX საუკუნის ბოლოდან იაპონელები გამუდმებით გაიძახოდნენ, რომ კორეა იმდენად სუსტი იყო, რომ დამოუკიდებლობას ვერ შეინარჩუნებდა და ამიტომ მისი შემოერთება იყო საჭირო;⁹² 1970 წელს აშშ-ის პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა კამბოჯაში [რომელიც მაშინ ბუფერულ სახელმწიფო იყო] ამერიკული ჯარის შეყვანა იმ გარემოებით ახსნა, რომ ჩრდილოეთ ვიეტნამელები ლაოსისა და კამბოჯის ტერიტორიის ოკუპაციასა და ამ მიმართულებიდან სამხრეთ ვიეტნამში დისლოცირებულ ამერიკულ სამხედრო დანაყოფებზე დარტყმის მიტანას გეგმავდნენ. პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ჰენრი კისინჯერმა კი განაცხადა: „ჩვენ არ ვართ დაინტერესებულნი კამბოჯით,

⁹⁰ Stephan De Spiegeleire, “Of Buffers and Bridges. Some Geodetic Thoughts on European Stability in the Post-Cold War Era,” 13 January, 1994, <http://ourworld.compuserve.com/homepages/sdspieg/buffer.htm> (accessed 20.07.2009).

⁹¹ ალექსანდრე რონდელი, *პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში* (თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, „ნეკერი“, მეორე გამოცემა, 2009), 169.

⁹² John Chay, “Korea, a Buffer State,” in *Buffer States in World Politics*, ed. John Chay and Thomas Ross (Boulder: Westview Press, 1986), 195.

ჩვენ უბრალოდ არ გვსურს, ის ვინმემ სამხედრო ბაზად გამოიყენოს;⁹³ იგივე შიში ედო საფუძვლად 1976 წელს სირიელთა ლიბანში შეჭრას და, ამის საპასუხოდ, 1982 წელს ისრაელის არმიის მიერ ლიბანის სამხრეთი ნაწილის ოკუპაციას. ამგვარი საფრთხის მოლოდინი გამართლდა ასევე 2006 წლის ზაფხულში, როცა ჰეზბოლამ ლიბანის ტერიტორიიდან ისრაელის სამხედრო პოზიციები დაბომბა და რამდენიმე ებრაელი ჯარისკაცი მოკლა, რასაც ისრაელის მიერ სამხრეთ ლიბანში კვლავ მასშტაბური სამხედრო კამპანიის ჩატარება მოჰყვა; 1914 წლის 2 აგვისტოს ულტიმატუმში, რომლითაც გერმანიამ ბელგიის ტერიტორიაზე ჯარების გატარება მოითხოვა, საფრანგეთის გარდა, დიდმა ბრიტანეთმაც საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯად მიიჩნია. 3 აგვისტოს ბრიტანეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სერ ედვარდ გრეიმ პარლამენტს განუცხადა, რომ დიდი ბრიტანეთი ომს თავს ვერ აარიდებდა, თუ ბელგიის ნეიტრალიტეტი უცხო ძალის სამხედრო აგრესიის მსხვერპლი გახდებოდა, რაც 4 აგვისტოს ინგლისის პირველ მსოფლიო ომში ჩართვით დასრულდა.⁹⁴

ამრიგად, დიდი/ძლიერი სახელმწიფოები, როგორც წესი, თავიანთი პატარა/სუსტი მეზობლებისაგან საფრთხეს გრძნობენ, რომელიც ზოგჯერ წარმოსახვითია, ზოგჯერ კი – რეალური. მაგალითად, იაპონელები და ჩინელები კორეას, მეტაფორულად, „იაპონიის გულისაკენ დამიზნებულ მახვილსა“ და „ჩინეთის თავზე მოდერებული ხმალს“ უწოდებდნენ.⁹⁵ ის გარემოება, რომ ბუფერულ სახელმწიფოს ერთი ძლიერი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალებისათვის საკუთარი ტერიტორიის კორიდორად დათმობა შეუძლია (საკუთარი ნებით ან ძალდატანებით) მეორე ძლიერი სახელმწიფოს თანხმობას თავის მეზობლად სუსტი, ნეიტრალური ქვეყნის არსებობაზე სარისკოს ხდის. ამიტომაც, დიდი/ძლიერი სახელმწიფოები, როცა კი ამის საშუალება აქვთ, მათ შორის ნეიტრალური ბუფერის დაარსებაზე უარს ამბობენ და მეზობელ პატარა სახელმწიფოებზე გავლენას ამყარებენ. ტრიგვე მატისენის თქმით: „დიდი

⁹³ Henry Kissinger, *White House Years*, Vol. I (Boston: Little, Brown, 1979), ციტირებულია ნაშრომში: Michael Partem, “The Buffer System in International Relations,” *Journal of Conflict Resolution*, Vol. 27, No. 1 (1983): 10-11.

⁹⁴ *История Дипломатий*, II, ред. Владимир Потемкин (Москва: ГИПЛ, 1945), 265.

⁹⁵ John Chay, “Korea, a Buffer State,” in *Buffer States in World Politics*, ed. John Chay and Thomas Ross (Boulder: Westview Press, 1986), 192.

სახელმწიფოები მათი საზღვრების გასწვრივ არსებული პატარა ქვეყნების თავიანთ თავდაცვის სისტემებში ჩართვას ცდილობენ. [დიდი სახელმწიფოების მიერ არჩეული] ამგვარი ტაქტიკის მიზანია თავდაცვითი პოზიციის აღნიშნული პატარა სახელმწიფოების საზღვრებთან დაკავება და ამით საკუთარი თავდაცვის სიღრმის გაზრდა. თვით საბჭოთა კავშირის ხელისუფლებაც ამ შესვლას თანახმად მოქმედებს [ავტორი ამას 1971 წელს წერდა] და მიიჩნევს, რომ წითელმა არმიამ მტრის შესაძლო თავდასხმების მოგერიება მეზობელ პატარა სახელმწიფოთა საზღვრებთან უნდა შეძლოს, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირს მსოფლიოს ნებისმიერ სხვა სახელმწიფოზე უფრო დიდი თავდაცვის სიღრმე გააჩნია. ამ სტრატეგიის უპირატესობა აშკარაა. ის არა მარტო ზრდის აგრესორის უკუგდების ალბათობას, არამედ, თავდაცვის პირველ ეტაპზევე წარმატების შემთხვევაში, მხოლოდ განაპირა პატარა სახელმწიფოებს აქცევს ბრძოლის ველად, დიდი სახელმწიფოების ტერიტორიას კი, ძირითადად, ომისაგან უვნებელს ტოვებს. ასეთი პატარა ქვეყნები „ბუფერული სახელმწიფოების“ კატეგორიაში შეჰყავთ ხოლმე.“⁹⁶

ამერიკელი მეცნიერის ტანიშა ფაზალის მიერ სახელმწიფოთა სიცოცხლისუნარიანობის შესახებ ჩატარებული კვლევის შედეგებიც ცხადყოფს, რომ საერთაშორისო სისტემაში ბუფერული სახელმწიფოების „დაღუპვის“ ალბათობა უფრო დიდია, ვიდრე არაბუფერულის, ამასთან მიუმხრობელი ბუფერული სახელმწიფოები უფრო ადვილად კარგავენ სუვერენიტეტს და ქრებიან, ვიდრე ერთ-ერთი ძალისაკენ გადახრილნი.⁹⁷

ძლიერი სახელმწიფოები ხშირად ანიჭებენ სუსტ მეზობლებს მტრის ექსპანსიის შესაჩერებელი ბარიერისა და/ან მოწინააღმდეგეზე შეტევის პლაცდარმის ფუნქციას. ზღვაზე გასასვლელის მქონე სახელმწიფოები ცდილობენ ბუფერული სახელმწიფოების დაარსებას მოპირდაპირე ნაპირებზე, რათა ან დამცავი ზღუდე ან ამ ნაპირზე შეჭრისათვის საყრდენი წერტილი იქონიონ. მაგალითად, ბრიტანეთი, ტრადიციულად, პორტუგალიასა და ბელგიას იყენებდა ესპანეთისა და საფრანგეთ-გერმანიის აგრესიის შესაკავებლად და კონტინენტზე სამხედრო ოპერაციების განსახორციელებლად. ინგლის-

⁹⁶ Trygve Mathisen, *The Functions of Small States in the Strategies of the Great Powers* (Oslo: Universitetsforlaget, 1971), 84-85.

⁹⁷ Tanisha Fazal, “State Death in the International System,” *International Organization*, Vol. 58, No. 2 (2004): 314, 316.

პორტუგალიის მეგობრობას „ევროპის უძველესი ალიანსი“ ეწოდებოდა: პორტუგალიის დამოუკიდებლობა ბრიტანეთის საზღვაო და საოკეანო მარშრუტების უსაფრთხოებას ნიშნავდა. კონტინენტზე ინგლისის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა დიდი ხნის განმავლობაში საფრანგეთის მიერ ბელგიის დაპყრობისათვის ხელის შეშლა იყო. ინგლის-საფრანგეთის ასწლიანი ომის (1337-1453) ძირითად მიზეზებს შორის ერთ-ერთი სწორედ საფრანგეთის ფლანდრიაზე გაბატონების სურვილი იყო. XVII საუკუნის მეორე ნახევარში კი ლუი XIV-მ სამი ომი აწარმოა ბელგია-ნიდერლანდების ტერიტორიის დასაპყრობად, კერძოდ 1667-1668, 1672-1678 და 1688-1697 წლებში, მაგრამ თითოეულ ჯერზე დიდი ბრიტანეთის თაოსნობით ან მონაწილეობით შექმნილი კოალიციების წინააღმდეგობას წააწყდა. ე.წ. „დიდი ჩანაფიქრის“ მიხედვით, რომელიც საფრანგეთის მეფეს ანრი IV-ს მიეწერება, საფრანგეთი უნდა გარემოცულიყო საკუთარი მფარველობის ქვეშ მყოფი სუსტი სახელმწიფოებით; იმავე ლოგიკით, VI საუკუნის 30-იან წლებში ბიზანტიის იმპერიამ, სასანიდური ირანისათვის შავი ზღვისკენ გზის მოსაჭრელად, ეგრისის სამეფოს ტერიტორია საგანგებოდ გაამაგრა; XIII საუკუნის დასაწყისისათვის, თამარ მეფის ზეობისას ძლიერების ზენიტში მყოფმა საქართველოს სამეფომ მუსლიმი მეტოქეებისაგან (რუმის სასულთნო, ორთუკიდები, ეიუბიდები, მოსულის ზენგიდები, ილდეგიზიდები) სტრატეგიული დისტანციის დაცვის მიზნით, თავის გარშემო ბუფერული და კვაზიბუფერული ტერიტორიების წრე შეკრა – ჩრდილოეთით: ოსეთი (აღანია), ძურძუკეთი (დღევანდელი ჩეჩნეთი და ინგუშეთი), დიდოეთი (დღევანდელი დასავლეთ დაღესტანი), ხუნძეთი (ავარიის სახანო), ლეკეთი (დღევანდელი აღმოსავლეთ დაღესტანი), სამხრეთ-აღმოსავლეთით: შარვანი, ადარბადაგანი, რანი, ნახჭევანი, სამხრეთ-დასავლეთით კი: ერზინკა, არზრუმი და ტრაპიზონის იმპერია. თუმცა, 1210 წელს იძულებული გახდა, შაჰ-არმენტა სახელმწიფოზე (ხლათი) ეიუბიდების გავლენა ეცნო; XIX საუკუნეში ბრიტანეთის იმპერია თავისი დომინიონი ინდოეთის ჩრდილოეთი საზღვრის გასწვრივ რამდენიმე სატელიტ სახელმწიფოს ინარჩუნებდა: ნეპალს, ბუტანსა და სიკიმს; 1910 წელს კორეის ანექსიის შემდეგ, იაპონიამ 1931-1932 წლებში მანჯურია დაიპყრო და მის ტერიტორიაზე მარიონეტული სახელმწიფო მანჯოუ-გო შექმნა; 1921 წელს რუსეთმა ჩინეთს გარე მონღოლეთი ჩამოაშორა და ბუფერულ სახელმწიფოდ აქცია, ხოლო მისი ჩრდილოეთი ნაწილი (ტუვა) სულაც მიიერთა; 1950-იანი წლებიდან აშშ-მა სერიოზულად გაამაგრა კანადა

საჰაერო თავდაცვის რადარებითა და სხვა სამხედრო ობიექტებით, რათა ჰქონოდა „ფარი“ ჩრდილოეთიდან საბჭოთა კავშირის შესაძლო საჰაერო თავდასხმის მოსაგერიებლად; 1939 წელს საბჭოთა კავშირმა ფინეთს გარკვეული ტერიტორიული დათმობები მოსთხოვა, რაც გერმანიასთან ომის შემთხვევაში სამხედრო-სტრატეგიული აუცილებლობით გაამართლა (სამხრეთ ფინეთში ჯარის გადასხმის შემთხვევაში გერმანელებს ქალაქ ლენინგრადის ადვილად დაკავება შეეძლო), ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1939-1940 წლების ზამთრის ომში წარუმატებლობით გაცხარებულმა, ამ ქვეყანას კარელია წაართვა და ბარენცის ზღვაზე გასასვლელი მოუსპო; ცივი ომის დასაწყისში აშშ-მა აზიაში თავის ძირითად საყრდენ პუნქტებად თურქეთი და პაკისტანი აირჩია. როდესაც საბჭოთა კავშირმა 1947 წელს, შავი ზღვის სრუტეებზე კონტროლის დამყარება მოინდომა, აშშ-მა მას „ტრუმენის დოქტრინით“ უპასუხა, რომელშიც თურქეთის დამოუკიდებლობა საკუთარ საციცოცხლო ინტერესად გამოაცხადა. მომდევნო ათწლეულებში, აშშ-ის სამხედრო დახმარების წყალობით, თურქეთი იმდენად გაძლიერდა, რომ კვაზიბუფერიდან აშშ-ის მოკავშირე რეგიონულ ძალამდე აღზევდა. ცივი ომის დროს აშშ-ის მიერ პაკისტანის მხარდაჭერა კი არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ ჩინეთის გავლენის სფეროს გაფართოების შეჩერებას ისახავდა მიზნად; და ა.შ.⁹⁸

რობერტ ჯერვისის დაკვირვებითაც, თავდაცვის მიზნით სახელმწიფოები საკუთარი საზღვრების მიმდებარე არეალის გაკონტროლებას ან, სულ მცირე, ნეიტრალიზაციას ცდილობენ. თუმცა, ბუფერული ზონების შექმნამ სხვა სახელმწიფოების აღშფოთება შეიძლება გამოიწვიოს, რომლებსაც იქ საკუთარი ინტერესები აქვთ ან შიშობენ, რომ ამით მათი დაუცველობის ხარისხი გაიზრდება. როდესაც ბუფერები დიდი სახელმწიფოების გავლენისაგან თავისუფალ არეალებში იქმნება, ექსპანსია თავისთავად გრძელდება და უკვე მოპოვებულის დაცვას ემსახურება. ასე იყო კოლონიური ექსპანსიის შემთხვევაშიც. მაგალითად, 1918 წელს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ართურ ბალფურმა [რომელიც გენერალური შტაბისა და ლორდ ჯორჯ კერზონის იდეას, ინდოეთში სტრატეგიული პოზიციების უკეთ დაცვის მიზნით,

⁹⁸ *История Дипломатий*, ред. Владимир Потемкин, I (Москва: ГСЭИ, 1941), 97, 204-207, 213-215; Martin Wight, *Power Politics*, ed. Hedley Bull and Carsten Holbraad (London: Leicester University Press, Royal Institute of International Affairs, 1995), 161-164; Trygve Mathisen, *The Functions of Small States in the Strategies of the Great Powers* (Oslo: Universitetsforlaget, 1971), 62-66.

კავკასიაში ბრიტანული ჯარების განლაგების შესახებ ეწინააღმდეგებოდა] განაცხადა: „ყოველთვის, როდესაც დისკუსიაში ვერთვები – ვთქვათ, ხუთწლიანი ინტერვალებით – აღმოვაჩენ ხოლმე, რომ არსებობს კიდევ ერთი ახალი [ტერიტორიული] სფერო, რომელიც უნდა დავიცვათ, რათა ინდოეთის კარიბჭეთა უსაფრთხოება უზრუნველვყოთ. ეს კარიბჭენი კი სულ უფრო შორდება ინდოეთს და არ ვიცი, გენერალური შტაბი სადამდე გადასწევს მათ დასავლეთით.“⁹⁹

ამრიგად, სახელმწიფოები ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული გარეშე საფრთხეების საკუთარი ტერიტორიიდან/საზღვრებიდან რაც შეიძლება მოშორებით შეკავებას ცდილობენ. ნაპოლეონ ბონაპარტს ხშირად უყვარდა თურმე ფრანგული სამხედრო სტრატეგიის ამ ძველი პრინციპის გამეორება: „თუ გსურს მდინარე რაინის მარცხენა ნაპირის დაცვა, მის მარჯვენა ნაპირზე უნდა გამაგრდე.“¹⁰⁰ ძლიერი მეტოქე სახელმწიფოების პოლიტიკა, როგორც ერთმანეთის, ისე პოტენციური ბუფერული ტერიტორიების მიმართ პირდაპირი მნიშვნელობით გაგებულ ამ ქართულ ანდაზაზე დაფუძნებული ჩანს: „გალმით გაედავე, გამოღმა შენ დაგრჩებაო.“

მაშასადამე, დიდი სახელმწიფოები ბუფერულ ტერიტორიებზე გავლენის მოპოვებისათვის იბრძვიან და მათ შორის მოქცეული გეოპოლიტიკური ვაკუუმის უფრო მეტად საკუთარ კვაზიბუფერად, ვიდრე ნეიტრალურ ბუფერად გამოყენებით არიან დაინტერესებულნი. როგორც მარტინ უაითი ამბობს: „ყოველი ძლიერი სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესშია, თავიდან აიცილოს მეტოქის მიერ ბუფერული ზონის გაკონტროლება, რის მისაღწევადაც ის ამ ორიდან ერთ-ერთ გზას აირჩევს, საკუთარი სიძლიერიდან გამომდინარე: ან ხელს შეუწყობს ბუფერული ზონის ნეიტრალურად და დამოუკიდებლად შენარჩუნებას, ან მასზე საკუთარი კონტროლის დასამყარებლად ძალას გამოიყენებს, რასაც, საბოლოო ჯამში, მის მიერ ბუფერული ზონის ანექსია და სასაზღვრო პროვინციად გადაქცევა შეიძლება მოჰყვეს. [...] ცვლილებები ძალის გადანაწილებაში ბუფერული ზონების უმრავლესობას არასტაბილურსა და

⁹⁹ Robert Jervis, “Cooperation Under the Security Dilemma,” *World Politics*, Vol. 30, No. 2 (1978): 169; Minutes of the Eastern Conference, EC 42, 9 December 1918, secret, 12, ციტირებულია ასევე ნაშრომში: John Fisher, *Curzon and British Imperialism in the Middle East, 1916-19* (London: Frank Cass, 1999), 276.

¹⁰⁰ Martin Wight, *Power Politics*, ed. Hedley Bull and Carsten Holbraad (London: Leicester University Press, Royal Institute of International Affairs, 1995), 150.

ბუნდოვანს ხდის. ძლიერი სახელმწიფოს პოლიტიკა, მიმართული ბუფერული სახელმწიფოს ნეიტრალიტეტის შენარჩუნებისაკენ მისმა მეტოქემ, შესაძლოა, ბუფერული სახელმწიფოს სატელიტად გადაქცევის მცდელობად აღიქვას. ერთმა და იმავე სახელმწიფო მოღვაწემ ბუფერული სახელმწიფო, სხვადასხვა გარემოებაში, დამცავ ბარიერად ან შემდგომი ექსპანსიისათვის პლაცდარმად შეიძლება მიიჩნიოს.¹⁰¹

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დიდია იმის ალბათობა, რომ ძალის ვაკუუმში ბუფერული სახელმწიფო ან საერთოდ არ შეიქმნას ან შექმნის შემთხვევაში მისი დამოუკიდებლობა, ადრე თუ გვიან, დაბუფერებული ძალების პრევენტიულმა სამხედრო ღონისძიებებმა შეიწიროს. თუმცა, ამის მიუხედავად, ბუფერული სახელმწიფოები არსებობდნენ, და, როგორც ჩანს, მომავალშიც არ გაქრებიან.

პირველი მსოფლიო ომის მიწურულს, გეოპოლიტიკის ინგლისური სკოლის ფუძემდებელმა სერ ჰალფორდ მაკინდერმა სლავურ და გერმანულ ცივილიზაციებს შორის ბუფერული სახელმწიფოების სარტყლის ჩამოყალიბების იდეა წამოაყენა, რათა გერმანია-რუსეთის შესაძლო ალიანსის შედეგად „პართლენდი“ და „მსოფლიო კუნძული“ ერთი დიდი სახმელეთო იმპერიის კონტროლს არ დაქვემდებარებოდა და ამით საზღვაო სახელმწიფოთა (პირველ რიგში, დიდი ბრიტანეთის) ძლიერება არ შერყეულიყო.¹⁰² აღმოსავლეთ ევროპის გერმანია-რუსეთის დასაშორიშორებელ ბუფერად გამოყენების აზრი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე შეკრებილმა საფრანგეთისა და ბრიტანეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმაც მოიწონეს. შედეგად, აღმოსავლეთ ევროპის ცხრა ახალმა სახელმწიფომ (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, რუმინეთი, იუგოსლავია, ბულგარეთი) დამარცხებულ გერმანიასა და რევოლუციურ რუსეთს შორის ბუფერული ზონა, ე.წ. „სანიტარული კორდონი“ შეადგინა, რომელსაც, ერთი მხრივ, ევროპაში კომუნიზმის საფრთხე უნდა შეეჩერებინა, ხოლო, მეორე მხრივ, გერმანიის ყურადღება აღმოსავლეთისკენ გადაეტანა, მაგრამ 1939 წელს მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ ცხადყო, რომ აღმოსავლეთ ევროპულმა ბუფერმა, საბოლოო ჯამში, არ გაამართლა: მან ევროპაში ვერც ომის თავიდან აცილება და ვერც

¹⁰¹ Martin Wight, *Power Politics*, ed. Hedley Bull and Carsten Holbraad (London: Leicester University Press, Royal Institute of International Affairs, 1995), 160-161.

¹⁰² იხილეთ: Halford Mackinder. *Democratic Ideals and Reality* (New York: Henry Holt and Co, 1919).

წითელი საფრთხის შეკავება შეძლო, პირიქით – ახალგაზრდა კომუნისტურ იმპერიას ერთგვარი სამსახურიც კი გაუწია.¹⁰³ როგორც გამოჩენილმა ბრიტანელმა ისტორიკოსმა ალან ჯონ პერსივალ ტეილორმა აღნიშნა: „სანიტარულმა კორდონმა მეორე მიმართულებითაც იმუშავა, თუმცა ეს მრავალი წლის მანძილზე ნაკლებად შესამჩნევი იყო. მან არა მარტო რუსეთი განაცალკევა ევროპისაგან, არამედ ევროპაც განაცალკევა რუსეთისაგან. სრულიად თვითნებურად, რუსეთის საწინააღმდეგოდ აგებული ბარიერი, მისსავე დამცველად გადაიქცა.“¹⁰⁴

ისტორიის მანძილზე არაერთი წარუმატებლობის მიუხედავად, ბუფერის ფენომენის კეთილისმყოფელი გავლენა საერთაშორისო სისტემის სტაბილურობაზე მაინც ფართოდ არის აღიარებული. მაგალითად, მიჩნეულია, რომ ცივი ომის დროს ლაოსის, როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში კომუნისტური და დასავლური გავლენის სფეროების გამყოფი ბუფერის, სარგებლიანობა გაცილებით უფრო დიდი იყო, ვიდრე ორად დანაწილებული ვიეტნამისა, სადაც ორი იდეოლოგიის უშუალო კონტაქტმა ომი წარმოშვა.¹⁰⁵ 1956 წელს გამოჩენილი ამერიკელი დიპლომატი, *შეჩერების* დოქტრინის ავტორი ჯორჯ ქენანი წერდა: „დადებით მოვლენად მიმაჩნია [...], რომ შვედეთი ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში არ გაწევრიანდა, რომ შვეიცარიამ თავისი ტრადიციული ნეიტრალიტეტი ყოველმხრივ შეინარჩუნა, რომ ავსტრია ეფექტიანად იქნა ნეიტრალიზებული და რომ იუგოსლავია ცალსახად არც დასავლეთისკენ და არც აღმოსავლეთისკენ არ არის გადახრილი. უმჯობესია, ეს ნეიტრალური ზონა უფრო გაფართოვდეს, ვიდრე შევიწროვდეს. რასაკვირველია, მე კარგად მესმის, რომ ნეიტრალიტეტის კონცეფცია შეიძლება

¹⁰³ Stephan De Spiegeleire, “Of Buffers and Bridges. Some Geodetic Thoughts on European Stability in the Post-Cold War Era,” 13 January, 1994, <http://ourworld.compuserve.com/homepages/sdspieg/buffer.htm> (accessed 27.07.2009);

¹⁰⁴ A. J. P. Taylor. *The Origins of the Second World War* (New York: Althenium, 1961), 37, ციტირებულია ნაშრომებში: Olav Knudsen, “Eastern Europe: The Buffer Effect of a Cordon Sanitaire,” in *Buffer States in World Politics*, ed. John Chay and Thomas Ross (Boulder: Westview Press, 1986), 87; Stephan De Spiegeleire, “Of Buffers and Bridges. Some Geodetic Thoughts on European Stability in the Post-Cold War Era,” 13 January, 1994, <http://ourworld.compuserve.com/homepages/sdspieg/buffer.htm> (accessed 27.07.2009).

¹⁰⁵ Stephan De Spiegeleire, “Of Buffers and Bridges. Some Geodetic Thoughts on European Stability in the Post-Cold War Era,” 13 January, 1994, <http://ourworld.compuserve.com/homepages/sdspieg/buffer.htm> (accessed 27.07.2009).

იყოს (და არის კიდევაც) გამოყენებული კომუნისტური ბლოკის მიერ თავისი ინტერესების სასარგებლოდ, მაგრამ არ მგონია, რომ ამის გამო მისი უპირატესობის უგულვებელყოფაა დასაშვები.“¹⁰⁶

რეალიზმის თვალთ დანახულ მსოფლიოში ტერიტორიული სიახლოვის ფაქტორი სახელმწიფოთა შორის შეიარაღებული კონფლიქტების გაჩაღების ალბათობას ზრდის იმდენად, რამდენადაც ყოველი სახელმწიფო, პირველ რიგში, მუქარას გრძნობს თავისი უშუალო მეზობლისაგან, რომელსაც მასზე თავდასხმის განხორციელება უფრო ადვილად შეუძლია. „ზოგადი წესია, რომ მეზობელი სახელმწიფოები ერთმანეთის მტრები არიან,“ – ამბობდა მარტინ უაითი,¹⁰⁷ ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი მამა-დამფუძნებელი ალექსანდრე ჰამილტონი კი ასე მსჯელობდა: „პოლიტიკის ერთგვარ აქსიომად იქცა ის, რომ მეზობლობა ან მდებარეობის სიახლოვე ერებს ბუნებრივ მტრებად აყალიბებს.“¹⁰⁸ მოსაზღვრე ქვეყნებს ინტენსიურად უწევთ ურთიერთობა და კონფლიქტის დასაწყებად მეტი საბაბი უჩნდებათ, მაშინ როდესაც დიდი მანძილით დაშორებულ სახელმწიფოებს ერთმანეთის წინააღმდეგ ძალის გამოყენების სურვილი და შესაძლებლობები ნაკლებად გააჩნიათ (ვინაიდან, სხვა თუ არაფერი, შორ მანძილზე არმიებისა და სამხედრო ტექნიკის ტრანსპორტირება დიდი ხარჯების გაღებას საჭიროებს). ამდენად, მეტოქე დიდი/ძლიერი სახელმწიფოების ტერიტორიული შეხება საერთაშორისო სისტემის სტაბილურობაზე უარყოფითად მოქმედებს. სახელმწიფოები ხშირად „ფორვარდულ“ თავდაცვით სტრატეგიას ირჩევენ – საზღვრებთან რაც შეიძლება ახლოს ათავსებენ შეიარაღებულ ძალებს, პირისპირ მდგარ არმიებს შორის კი ყოველთვის სასაზღვრო ინციდენტებია მოსალოდნელი, რამაც, თავის მხრივ,

¹⁰⁶ George Kennan, “The Future of Soviet Communism,” *The New Leader* (18 June, 1956): 6, ციტირებულია ნაშრომში: Edward Chaszar, “The Possibility of a Neutralized Zone in Central Europe,” in *Toward a New Central Europe, A Symposium on the Problems of the Danubian Nations*, ed. Francis Wagner (Astor Park: Danubian Press, 1970), <http://www.hungarian-history.hu/lib/wagner/wagner04.htm> (accessed 28.07.2009).

¹⁰⁷ Alexander Hamilton, *The Federalist*, No. 5, 33, ციტირებულია ნაშრომში: Martin Wight, *Power Politics*, ed. Hedley Bull and Carsten Holbraad (London: Leicester University Press, Royal Institute of International Affairs, 1995), 157-158.

¹⁰⁸ Alexander Hamilton. *The Federalist*, No. 5, 33, ციტირებულია ნაშრომში: Martin Wight, *Power Politics*, ed. Hedley Bull and Carsten Holbraad (London: Leicester University Press, Royal Institute of International Affairs, 1995), 157, 158.

სრულმასშტაბიანი ომის დაწყება შეიძლება გამოიწვიოს.¹⁰⁹ ბრიტანელი მათემატიკოსის ლუის რიჩარდსონის მიერ ჩატარებულმა საინტერესო კვლევამ ცხადყო, რომ 1820-1945 წლებში მომხდარ 180-მდე ომში დაპირისპირებულ მხარეებს უმთავრესად ერთმანეთის მოსაზღვრე ქვეყნები წარმოადგენდნენ და მხოლოდ 12 შემთხვევაში (დაახლოებით 6,7%) მეომარ სახელმწიფოებს საერთო საზღვარი არ ჰქონდათ.¹¹⁰ რამდენიმე სხვა კვლევამ ისიც გამოავლინა, რომ რაც უფრო მეტი მეზობელი ჰყავს ამა თუ იმ ქვეყანას, მით უფრო დიდი რაოდენობით ომებში აქვს მას მონაწილეობა მიღებული.

აქედან გამომდინარე, სტეფან დე სპიგელეირს მიაჩნია, რომ საერთაშორისო სისტემა უფრო სტაბილურია, როდესაც მოწინააღმდეგე სახელმწიფოებს ბუფერი აცალკევებს, ვინაიდან ამ დროს პოტენციური თავდასხმელი (როგორც რაციონალური და უნიტარული მოქმედი პირი), ომის სარგებლიანობის გამოთვლისას, ბუფერის არსებობის ფაქტს ომის ბიუჯეტის სახარჯო ნაწილს მიათვლის და არა საშემოსავლოს. ამდენად, ბუფერი – ბუფერული სახელმწიფო ან ბუფერული ზონა – მოწინააღმდეგეთა ურთიერთობის სტაბილურობას ორი ძირითადი მიზეზის გამო ზრდის:

- პოტენციური აგრესორი ბუფერის სამხედრო შესაძლებლობებს ითვალისწინებს. მართალია, ბუფერს, საბოლოო ჯამში, თავდასხმის მოგერიების უნარი არ აქვს, მაგრამ ომის დამწყებმა იცის, რომ მეტოქის ტერიტორიაზე გადასვლამდე მას გზად ბუფერის შეიარაღებულ ძალებთან მოუწევს შეტაკება;
- პოტენციური აგრესორი ბუფერის მეტოქე ძალებთან გაერთიანების შესაძლებლობას განიხილავს, რაც ბუფერმა აგრესორის დაბალანსებისა და შეკავების მიზნით შეიძლება მოიმოქმედოს. თუმცა, აქვე ხაზგასასმელია, რომ ბუფერს დაბუფერებული სახელმწიფოების

¹⁰⁹ Stephan De Spiegeleire, “Of Buffers and Bridges. Some Geodetic Thoughts on European Stability in the Post-Cold War Era,” 13 January, 1994, <http://ourworld.compuserve.com/homepages/sdspieg/buffer.htm> (accessed 30.07.2009).

¹¹⁰ Lewis Richardson, *Arms and Insecurity. A Mathematical Study of the Causes and Origins of War, and Statistics of Deadly Quarrels* (Pittsburgh: Boxwood Press, 1960) ციტირებულია ნაშრომში: Stephan De Spiegeleire, “Of Buffers and Bridges. Some Geodetic Thoughts on European Stability in the Post-Cold War Era,” 13 January, 1994, <http://ourworld.compuserve.com/homepages/sdspieg/buffer.htm> (accessed 30.07.2009).

ძალთა ბალანსზე ზემოქმედება მხოლოდ მაშინ შეუძლია, როდესაც ამ სახელმწიფოების სამხედრო პოტენციალი მეტ-ნაკლებად იდენტურია.¹¹¹

მართალია, ბუფერულ სახელმწიფოს ძლიერი მეზობლის დამარცხება არ ძალუძს, მაგრამ მისი შეტევის დროებით შეჩერება და ამით მეორე დაბუფერებული ძალისათვის ძალის მოსაკრებად და სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად მეტი დროის მიცემა შეუძლია.¹¹² ნებისმიერ შემთხვევაში პოტენციური აგრესორი იძულებული ხდება, ანგარიში გაუწიოს ბუფერის ფაქტორს. დე სპიგელეირის აზრით, რაციონალური დაბუფერებული ძალების ინტერესშია ბუფერის შენარჩუნება, რადგან თითოეულ მათგანს მის დასამარცხებლად მეორის მიერ ბუფერის ტერიტორიის გადალახვის აუცილებლობა დროის მოგებისა და საომარი მოქმედებების ბუფერულ ზონაში გადატანის, შესაბამისად, საკუთარი ტერიტორიის უვნებლად შენარჩუნების შანსს აძლევს. დაბუფერებული ძალები ბუფერის ხარჯზე ტერიტორიული ექსპანსიის შემთხვევაში საკმაოდ ეფექტიან დამცავ ბარიერს ანადგურებენ და საკუთარ უსაფრთხოებას ვნებენ. ამრიგად, ბუფერს ორმაგი დადებითი ეფექტი აქვს საერთაშორისო სისტემის მაკრო სტაბილურობაზე: ჯერ ერთი, ის დაპირისპირებულ მხარეთა უშუალო შეხებით გამოწვეულ საფრთხეებს ამცირებს და, მეორე, სტაბილურობის საკუთარ მუხტს ანიჭებს სისტემას.¹¹³

¹¹¹ Stephan De Spiegeleire, "Of Buffers and Bridges. Some Geodetic Thoughts on European Stability in the Post-Cold War Era," 13 January, 1994, <http://ourworld.compuserve.com/homepages/sdspieg/buffer.htm> (accessed 30.07.2009).

¹¹² Nicholas Spykman, "Frontiers, Security and International Organization," *Geographical Review*, Vol. 32, No. 3 (1942): 440.

¹¹³ Stephan De Spiegeleire, "Of Buffers and Bridges. Some Geodetic Thoughts on European Stability in the Post-Cold War Era," 13 January, 1994, <http://ourworld.compuserve.com/homepages/sdspieg/buffer.htm> (accessed 30.07.2009). სპიგელეირი ერთმანეთისაგან განასხვავებს საერთაშორისო სისტემის მაკრო და მიკრო სტაბილურობას. მაკრო სტაბილურობა გლობალური ან რეგიონული გეოსტრატეგიული კონფიგურაციის ძირითადი კონტურების მდგრადობას გულისხმობს, მიკრო სტაბილურობა კი – სისტემის გარკვეული შეზღუდული არეალებისა და მისი ელემენტებისას. მაგალითად, ცივი ომის დროს საერთაშორისო სისტემას ახასიათებდა არასტაბილურობა მაკრო დონეზე და შედარებით სტაბილურობა მიკრო დონეზე (სტაბილურობა პოლუსებს შიგნით), დღეს კი საპირისპირო სურათია: მიკრო დონეზე სხვადასხვა რეგიონში მრავალი ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტია, ხოლო მაკრო დონეზე საერთაშორისო სისტემა ჯერჯერობით სტაბილური რჩება.

რობერტ ჯერვისის დაკვირვებით, როდესაც სახელმწიფოები ბარიერებით არიან განცალკევებულნი, მათ შორის უსაფრთხოების დილემა მცირდება. ბუფერული ზონები თავდამსხმელის წინსვლას აფერხებს და თავდამცველს მოსამზადებელ დროს აძლევს, თავდასხმელის შეიარაღებულ ძალებს მომარაგების პრობლემებს უქმნის და იმ ჯარისკაცთა რაოდენობას ამცირებს, რომელთა გამოყენებაც მას საბოლოო შეტევის განხორციელებისას შეუძლია. ყველაფერი, რაც ზრდის იმ ფართობის მოცულობას, რომელიც თავდასხმელმა უნდა გადალახოს, აფერხებს მის წინსვლას ან ასუსტებს მას ამ ტერიტორიის გადალახვისას, თავდაცვის თავდასხმაზე უპირატესობას განაპირობებს.¹¹⁴

ბუფერული ზონები ასევე ხელს უწყობს მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა შორის სასაზღვრო ინციდენტების თავიდან აცილებას. მაგალითად, თომას როსის შეხედულებით, ირანსა და ერაყს შორის ამგვარი ზონა რომ არსებულებოდა, ამ სახელმწიფოებს, შესაძლოა, 1980 წელს ომი არ დაეწყოთ.¹¹⁵ რობერტ ჯერვისიც მიიჩნევს, რომ სახელმწიფო საზღვრები, რომლებზეც თავდასხმა იოლია, როგორც წესი, არასტაბილურია. ამგვარ საზღვრებში მოქცეული სახელმწიფოები ან გაფართოვებიან ან მათ სხვები ჩაყლაპავენ. ასეთ პირობებში ხშირი ომები თითქმის გარდაუვალია, რადგან თავდასხმა, პრაქტიკულად, ყოველთვის თავდაცვის საუკეთესო საშუალებად განიხილება. ეს პროცესი მხოლოდ მაშინ შეჩერდება ან, სულ მცირე, შენედება მაინც, როდესაც სახელმწიფოს საზღვრები – ექსპანსიის ან გარიგების შედეგად – ბუნებრივ ბარიერებს დაემთხვევა. ადამიანები, გეოგრაფიის იმიტირებით, ბარიერების შექმნას ცდილობენ: ხელშეკრულებათა საფუძველზე სახელმწიფოთა საზღვრის ორივე მხარეს დემილიტარიზებული ზონები ყალიბდება ხოლმე. თუმცა, ჯერვისი იმასაც აღნიშნავს, რომ ამგვარი ზონები იშვიათად არის იმდენად ღრმა, რომ მხარეებისთვის გაფრთხილებაზე მეტს წარმოადგენდეს.¹¹⁶

თანამედროვე მსოფლიოში ბუფერულ სახელმწიფოებს დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ ისტორიულად დაპირისპირებული ქვეყნების შერიგება-დაახლოებაში მათ შორის ეკონომიკური და პოლიტიკური ხიდის ფუნქციის

¹¹⁴ Robert Jervis, "Cooperation Under the Security Dilemma," *World Politics*, Vol. 30, No. 2 (1978): 194.

¹¹⁵ Thomas Ross, "Buffer States: A Geographer's Perspective," in *Buffer States in World Politics*, ed. John Chay and Thomas Ross (Boulder: Westview Press, 1986), 25.

¹¹⁶ Robert Jervis, "Cooperation Under the Security Dilemma," *World Politics*, Vol. 30, No. 2 (1978): 195.

შესრულებით. ამის საუკეთესო მაგალითია ურუგვაი, რომელმაც 1828 წლიდან ბრაზილიასა და არგენტინას ბუფერად ჩამოყალიბების შემდგომ, არა მარტო სტაბილურობის შენარჩუნებას შეუწყო ხელი ლათინური ამერიკის სამხრეთში, არამედ ამ ორი ქვეყნის დამაკავშირებელი ნამდვილი ხიდის როლი შეიძინა (როგორც სავაჭრო და სატრანზიტო დერეფანმა, საერთაშორისო ტურისტულმა ზონამ, და ა.შ.).¹¹⁷ ასეთივე ფუნქციის შესრულების შესაძლებლობა აქვთ XXI საუკუნეში ბალტიისპირეთისა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს. თუმცა, საამისოდ, ალექსანდრე რონდელის თქმით, გეოეკონომიკამ მთლიანად უნდა შეცვალოს გეოპოლიტიკა (თუ კი ამგვარი რამ საერთოდ შესაძლებელია).¹¹⁸

ერთი შეხედვით ჩანს, თითქოს ისტორიის მანძილზე დიდი სახელმწიფოები ბუფერის/ვაკუუმის ეფექტის დადებით ძალას ცნობდნენ. მაგალითად, ზოგიერთი ბერძნული ქალაქ-სახელმწიფო ხელოვნურად ქმნიდა თავის გარშემო „უკაცრიელ“ ზონებს, ხოლო რომაელებმა ამავე მიზნით ერთხელ ლაციუმის ოლქის 23 ქალაქი საგანგებოდ მიწასთან გაასწორეს;¹¹⁹ XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც რუსეთის საზღვრები ცენტრალურ აზიაში ბრიტანეთის კუთვნილ ინდოეთს მიუახლოვდა, ამ ორმა იმპერიამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკუთარი სამფლობელოების გასამიჯნად ბუფერულ სახელმწიფოთა სარტყლის გამოყენება (ტიბეტი, ავღანეთი, სპარსეთი), რომლებიც დიდი ხნის მანძილზე ხელშეუხებელი და დამოუკიდებელი დატოვა, 1895 წელს კი ტერიტორიული ურთიერთშეხების არდასაშვებად, საგანგებოდ, ვახანის კორიდორი შექმნა (ავღანეთის ჩინეთთან შემაერთებელი ვიწრო მონაკვეთი); 1815 წელს ევროპის წამყვანი სახელმწიფოები შვეიცარიისა და ნიდერლანდების, 1831 და 1839 წლებში ბელგიის, ხოლო 1867 წელს ლუქსემბურგის ბუფერულ როლზე შეთანხმდნენ, და ა.შ. თუმცა, დიდ სახელმწიფოთა ამგვარი გადაწყვეტილებების უკან, ბუფერის ეფექტის „მაგიური ძალის“ აღიარების გარდა, ისევ და ისევ სხვა ფაქტორების დანახვა შეიძლება.

¹¹⁷ Joseph Tulchin, “Uruguay: The Quintessential Buffer State,” in *Buffer States in World Politics*, ed. John Chay and Thomas Ross (Boulder: Westview Press, 1986), 213-229.

¹¹⁸ ალექსანდრე რონდელი, *პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში* (თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, „ნეკერი“, მეორე გამოცემა, 2009), 174.

¹¹⁹ Nicholas Spykman and Abbie Rollins, “Geographic Objectives in Foreign Policy, I,” *The American Political Science Review*, Vol. 33, No. 3 (1939): 397.

ნიკოლას სპაიკმენის აზრით: „ბუფერული სახელმწიფოები ახერხებდნენ გადარჩენას არა მხოლოდ იმის გამო, რომ [დიდი სახელმწიფოები] მათ დამცავ ეფექტს აღიარებდნენ, არამედ იმიტომაც, რომ ძლიერ სახელმწიფოებს ყოველთვის ურჩევნოდათ, მათ საზღვრებს გარეთ დარჩენილი ტერიტორია პატარა ქვეყნის ხელში მოხვედრილიყო, ვიდრე სხვა ძლიერი სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი გამხდარიყო.“¹²⁰ რობერტ როთსტაინის თქმით: „პატარა ქვეყნები ხშირად იღებდნენ დამოუკიდებლობას, რადგან მათი ძლიერი მეზობლები უბრალოდ სხვა გამოსავალს ვერ პოულობდნენ,“¹²¹ ანუ მათი ტერიტორიის ვერც დანაწილებაზე და ვერც ერთიმეორისადმი დათმობაზე თანხმდებოდნენ. ამ ვითარების საილუსტრაციოდ როთსტაინს ბელგიის მაგალითი მოჰყავს 1831 და 1839 წლებში. ფაქტობრივად, იგივე შეიძლება ითქვას 1815 წელს შვეიცარიისა და ნიდერლანდების, 1866 წელს ლუქსემბურგის და 1870-იან წლებში ავღანეთის საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. მაგალითად, 1866 წელს საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ მესამე ნიდერლანდების მეფის ვილიამ მესამისაგან ლუქსემბურგის შესყიდვას ცდილობდა, მაგრამ პრუსიის კანცლერის ოტო ფონ ბისმარკის მძლავრ წინააღმდეგობას წააწყდა. საბოლოოდ, 1867 წლის ლონდონის ხელშეკრულებით ლუქსემბურგს ნეიტრალური სახელმწიფოს სტატუსი მიენიჭა; 1839 წელს ინგლისელებმა პირველი ავღანური ომი საკუთარი იმპერიის საზღვრების გაფართოების მიზნით დაიწყეს და რომ არა რუსეთის ექსპანსია ცენტრალურ აზიაში, ავღანეთი, შესაძლოა, ინდოეთის მსგავსად, დიდი ბრიტანეთის სამფლობელო გახდარიყო და არა ბუფერი ორ იმპერიას შორის (ასეთ შემთხვევაში რუსეთსა და დიდი ბრიტანეთს შორის ბუფერად ცენტრალური აზიის სხვა რომელიმე სახანო, მაგალითად, ბუხარა, ხივა, ან კოკანდი შეიძლება გადაქცეულიყო).¹²²

ნიშანდობლივია, რომ ორ ან მეტ დიდ სახელმწიფოს შორის არსებული ტერიტორიული სივრცის რომელიმე მათგანის საკუთრებაში გადასვლა ან გავლენის სფეროებად გაყოფა ძნელდება მაშინ, როდესაც აღნიშნული ქვეყნების

¹²⁰ Nicholas Spykman, “Frontiers, Security and International Organization,” *Geographical Review*, Vol. 32, No. 3 (1942): 441-442.

¹²¹ Robert Rothstein, *Alliances and Small Powers* (New York: Columbia University Press, 1968), 193.

¹²² David Jenkins, “The History of Afghanistan as a Buffer State,” in *Buffer States in World Politics*, ed. John Chay and Thomas Ross (Boulder: Westview Press, 1986), 186.

ძლიერება მეტ-ნაკლებად თანაბარია. დიდი სახელმწიფოები მათ საზღვრებს შორის მოქცეული ტერიტორიის ბუფერად გამოყენების შესახებ შეთანხმებას სწორედ მათ შორის არსებული რეგიონული ძალთა ბალანსის პირობებში აღწევენ. ტეილორმა სამართლიანად შენიშნა: „პატარა სახელმწიფოებს, რომელთაც თავის დაცვა არ შეეძლოთ, ტრადიციულად, დიდ სახელმწიფოთა ურთიერთდაპირისპირება იცავდა.“¹²³ იმავე აზრს შესანიშნავად გამოხატავს ნიკოლას სპაიკმენი: „პატარა სახელმწიფო არის ვაკუუმი დიდი წნევის არეში. ის არსებობს არა საკუთარი ძალის, არამედ იმ გარემოების წყალობით, რომ მისი ტერიტორია არავის სჭირდება, ან მისი ბუფერულ სახელმწიფოდ ან ძალთა ბალანსისათვის საჭირო ელემენტად შენარჩუნება რომელიმე უფრო ძლიერი სახელმწიფოს ინტერესში შედის. თუ ბალანსი დაირღვევა, მასთან ერთად პატარა სახელმწიფოც გაქრება.“ ამავე ასპექტში საყურადღებოა ცნობილი გერმანელი პოლიტიკური მეცნიერის მაქს ვებერის შეფასებაც: „...შვეიცარია სხვებისათვის შემოერთების სასურველ ობიექტს არ წარმოადგენს. მას ამგვარი ბედისაგან ერთნაირი სიძლიერის მეზობელ სახელმწიფოთა დაპირისპირება იცავს.“¹²⁴

მაიკლ პარტემი მიიჩნევს, რომ მეტოქე ძალების მიერ ამა თუ იმ ტერიტორიის ნეიტრალიტეტზე, ანუ ბუფერულ სტატუსზე, შეთანხმება მათი ურთიერთობების ჩიხში შესვლას გულისხმობს. საკმარისია, პირობები შეიცვალოს, რომ რომელიმე მათგანი ბუფერის ნეიტრალიტეტს დაადგევს. თუ ერთ-ერთი მოწინააღმდეგე ძალა პოტენციურ ან უკვე არსებულ ბუფერზე საკუთარ გავლენას დაამყარებს, ეს იმის ნიშანია, რომ სისტემაში ძალთა ბალანსი დაირღვა ანუ მოცემული ძალა მეტოქეზე უფრო ძლიერი გახდა.¹²⁵ ამდენად, ექსპანსიის სამიზნედ ბუფერული სახელმწიფო ბუფერული სისტემის დასუსტების ან მოშლის შედეგად იქცევა. მაგალითად, როდესაც საბჭოთა კავშირის არმია 1979 წელს ავღანეთში შეიჭრა, ამ ქვეყნის ბუფერული ფუნქცია

¹²³ A. J. P. Taylor, *The Struggle for Mastery in Europe, 1848-1918* (Oxford: Clarendon Press, 1965), xix, ციტირებულია ნაშრომში: Michael Handel, *Weak States in the International System* (London: Frank Cass, Second Edition, 1990), 175.

¹²⁴ Max Weber, *Economy and Society*, Vol. 2, ed. Guenther Roth and Claus Wittich (New York: Bedminster Press, 1968), 910, ციტირებულია ნაშრომში: Michael Handel, *Weak States in the International System* (London: Frank Cass, Second Edition, 1990), 176.

¹²⁵ Michael Partem, “The Buffer System in International Relations,” *Journal of Conflict Resolution*, Vol. 27, No. 1 (1983): 19.

უმნიშვნელო იყო ამ რამდენიმე მიზეზის გამო: 1947 წელს ინდოეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შემდგომ, დიდმა ბრიტანეთმა ცენტრალური აზიის რეგიონი დატოვა და ავღანეთს მეორე დაბუფებულ ძალად, პაკისტანისა და ირანის სახით, აშშ-ის გავლენის სფერო ჩაენაცვლა, მაგრამ პაკისტანსა და ირანს დამოუკიდებლად არ გააჩნდათ საკმირისი ძალა საბჭოთა კავშირის დასაბალანსებლად, აშშ კი რეგიონიდან საკმაოდ შორს იყო და იმ მომენტში არ სურდა, სრულად წინ აღდგომოდა საბჭოთა გავლენას ამ რეგიონში. ამას დაემატა 1979 წელს, ისლამური რევოლუციის შედეგად, ირანის აშშ-ის მოკავშირეთა რიგიდან გამოთიშვა. ამრიგად, ის, რაც ავღანეთის შემთხვევაში მოხდა, ამერიკელი მეცნიერის დევიდ ჯენკინსის სიტყვებით, შეიძლება შევადაროთ სიტუაციას, როდესაც „ერთნაირი სიძლიერით ჩართულ ორ მტვერსასრუტს შორის პინგ-პონგის ბურთია მოხვედრილი. ერთ-ერთი მათგანის გამორთვისას, ბურთს მეორე მტვერსასრუტი შეიწოვს.“¹²⁶ შეიძლება ითქვას, რომ ანალოგიური ფაქტორი მოქმედებს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის პოტენციურ ბუფერულ სახელმწიფოთა უმრავლესობაზე, რომლებსაც 1991 წლიდან აშშ-ის გავლენის სფერო „იზიდავს.“ თუმცა, უკანასკნელ წლებში „მიზიდულობის“ ძალა რუსულ პოლუსსაც დაუბრუნდა.

მართალია, ბუფერულ სახელმწიფოთა არსებობას მეტწილად დიდ/ძლიერ სახელმწიფოთა ნება და რეგიონული ძალთა ბალანსი განაპირობებს, მაგრამ ბუფერული სახელმწიფოები ასევე შესაძლებელია რომელიმე იმპერიის დროებითი დასუსტების, დაცემის შედეგად ან *სისუსტის ბალანსის* პირობებში წარმოიქმნას.¹²⁷ მარტინ უაითის დაკვირვებით, დიდი სახელმწიფოები ძლიერების ზენიტში თითქმის ყოველთვის შთანთქავენ მეზობელ ბუფერულ სახელმწიფოებს, მაგრამ როდესაც მარცხს განიცდიან, ყოფილი ბუფერული ქვეყნები საკუთარი დამოუკიდებლობის აღდგენას ახერხებენ.¹²⁸ თუმცა, ამგვარად შექმნილ „შემთხვევით“, „სეზონურ“ ბუფერებს, როგორც წესი, დიდი

¹²⁶ David Jenkins, “The History of Afghanistan as a Buffer State,” in *Buffer States in World Politics*, ed. John Chay and Thomas Ross (Boulder: Westview Press, 1986), 187.

¹²⁷ Michael Handel, *Weak States in the International System* (London: Frank Cass, Second Edition, 1990), 180; Robert Rothstein, *Alliances and Small Powers* (New York: Columbia University Press, 1968), 194.

¹²⁸ Martin Wight, *Power Politics*, ed. Hedley Bull and Carsten Holbraad (London: Leicester University Press, Royal Institute of International Affairs, 1995), 161.

ხნის სიცოცხლე არ უწერია: ისინი ან მეორე ძალის მსხვერპლნი ხდებიან ან ისევ ძველი „ბატონის“ ხელში ბრუნდებიან. მაგალითად, თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე კორეა მხოლოდ იმ პერიოდებში ახერხებდა დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, როდესაც ჩინეთი და იაპონია დასუსტებულები და შიდა პრობლემებით გართულები იყვნენ, ხოლო რომელიმე მათგანის გაძლიერების კვალდაკვალ ის ექსპანსიის პირველივე სამიზნე ხდებოდა; მსგავსად ამისა, ქართული სამეფოები მეტწილად მხოლოდ მაშინ იკრფოდნენ ძალას და ქმნიდნენ ერთიან ქართულ სახელმწიფოს, როდესაც მძლავრი გარეშე მტრის წინაშე არ იდგნენ. 1917 წელს რუსეთის იმპერიის გაუქმების შემდეგ საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, მაგრამ 1918-1921 წლებში ამ სამმა რესპუბლიკამ ვერ შეასრულა ეფექტიანი ბუფერის როლი გასაბჭოებულ რუსეთსა და ქემალისტურ თურქეთს შორის, ისევე როგორც პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდის მიწურულისთვის (1918-1939 წლები) ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, პოლონეთი და ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაშლის შედეგად წარმოქმნილი ჩეხოსლოვაკია წინ ვერ აღუდგნენ საბჭოთა კავშირისა და ნაცისტური გერმანიის აგრესიულ ზრახვებს, რადგანაც დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად არც საკმარისი სამხედრო ძალა და არც დიდ სახელმწიფოთა თანხმობა გააჩნდათ. თუმცა, მეორე მხრივ, არსებობს გამონაკლისებიც. მაგალითად, 1939-1940 და 1944 წლებში გამოვლენილი სიმამაცის, შიდა ერთიანობისა და სიმტკიცის წყალობით, ფინეთმა სუვერენიტეტის დაცვა და შემდგომ პერიოდშიც ბუფერული სტატუსის შენარჩუნება შეძლო.

დიდი/ძლიერი სახელმწიფო ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ მეტოქის მიერ ბუფერული სახელმწიფოს ანექსია ან სატელიტად გადაქცევა არ დაუშვას. ძალთა ბალანსის პირობებში (ზოგჯერ კი მისი დარღვევის დროსაც) რომელიმე დაბუფერებული ძალის მიერ ბუფერის ტერიტორიაზე შეჭრა სხვა დაბუფერებული ძალის (ძალების) მხრიდან ანალოგიურ რეაქციას იწვევს. ამ გარემოების წყალობით, ბუფერი ხელშეუხებელი შეიძლება დარჩეს (მაგალითად, 1870 წელს გერმანიამ და საფრანგეთმა ბელგიის ნეიტრალიტეტი, უმთავრესად, იმიტომ არ დაარღვიეს, რომ ბრიტანეთის ომში ჩათრევა არ სურდათ), მაგრამ ის აგრეთვე შესაძლებელია, ფეთქებადსაშიშ ზონად ან ბრძოლის ველად გადაიქცეს, რასაც, ლოგიკურად, მისი აოხრება და შემდგომ გავლენის სფეროებად დაყოფა მოჰყვება. ამგვარი ტრაგიკული მაგალითებით ძალიან

მდიდარია კორეის, პოლონეთის, კამბოჯის, ლიბანის, საქართველოსა და სხვა ქვეყნების ისტორია.

ამრიგად, ბუფერული სახელმწიფოების სიცოცხლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ერთი მხრივ, მათ შინაგან ძალაზე – უნარზე, ხელი შეუწყონ მშვიდობის შენარჩუნებას ძლიერ მეზობლებს შორის და მეორე მხრივ, დიდი სახელმწიფოების სურვილზე, შეინარჩუნონ ისინი, როგორც ბუფერები.¹²⁹ ვინაიდან დიდი/ძლიერი სახელმწიფოები უმეტესწილად ვერ უძლებენ საერთაშორისო სისტემაში არსებული ძალის ვაკუუმის ხარჯზე თავიანთი ტერიტორიებისა თუ გავლენის სფეროების გაფართოების ცდუნებას და ამგვარი ქმედებისაგან თავს მხოლოდ რეგიონული ძალთა წონასწორობის/ეკვილიბრიუმის პირობებში იკავებენ, რაც შედარებით იშვიათი მოვლენაა, პოტენციური ბუფერული არეალებისა და ნეიტრალური ბუფერული სახელმწიფოების დანაწილების, ანექსიისა და კვაზიბუფერულ სახელმწიფოებად გარდაქმნის ტენდენციები უფრო ფართოდ არის გავრცელებული, ვიდრე ბუფერული სახელმწიფოების ძალის პოლიტიკის მასტაბილიზებელ მექანიზმად დიდი ხნის განმავლობაში გამოყენების პრაქტიკა.

¹²⁹ ალექსანდრე რონდელი, *პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში* (თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, „ნეკერი“, მეორე გამოცემა, 2009), 170.

თავი მეექვსე. ბუფერული სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა

ავღანეთის ამირმა აბდურ რაჰმან ხანმა* თავისი ქვეყანა ერთხელ შეადარა ისეთ ტბაზე მცურავ გედს, რომლის ერთ ნაპირზე დათვები, ხოლო მეორე ნაპირზე მგლები იმყოფებოდნენ. საკმარისია, გედს რომელიმე ნაპირთან ახლოს მიეცურა, რომ სიცოცხლეს გამოესაღებოდა. ბუფერული სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა სწორედ ასეთ ტბაში უვნებლად ცურვაა. როგორც აქ მოყვანილი მეტაფორიდან, ისე რეალობიდანაც აშკარად ჩანს, რომ ეს ადვილი ამოცანა არ არის, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბუფერი პატარა/სუსტი სახელმწიფოა და მის ბედს დიდი/ძლიერი სახელმწიფოები წყვეტენ: ხან ნეიტრალურად აცხადებენ, ხან მის ტერიტორიას ინაწილებენ და ხანაც საომარ ასპარეზად იყენებენ.¹³⁰

ბუფერული სახელმწიფოების ბედი შესაშური ნამდვილად არ არის. საერთაშორისო სისტემის პერიფერიაზე მდებარე პატარა/სუსტი სახელმწიფოები გაცილებით უსაფრთხოდ გრძნობენ თავს, ვიდრე დიდი/ძლიერი სახელმწიფოების პოლიტიკური თამაშების შუაგულში მოხვედრილნი.¹³¹ ბუფერული სახელმწიფოებისათვის სუვერენიტეტის დაცვის საკითხი მუდმივად აქტუალურია. ბუფერი ნებისმიერ დროს თავის ძლიერ მეზობლებს შორის ატეხილი ომის პირველი მსხვერპლი შეიძლება გახდეს და, აქედან გამომდინარე, ის, პირველ რიგში, უფრო კეთილმეზობლურ გარემოზე ოცნებობს და, ძირითადად, ფრთხილი, ნაკლებად პროვოკაციული საგარეო პოლიტიკის გატარებას ცდილობს.

ბუფერული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის წარმატება ორი ძირითადი კრიტერიუმით შეიძლება შემოწმდეს: 1) მისი ბუფერული სტატუსის დროში გამძლეობით და 2) მის მიერ დაბუფერებულ ძალებს შორის კონფლიქტის საბოლოო ჯამში შესუსტებით.¹³²

* ავღანეთის მმართველი 1880-1901 წლებში.

¹³⁰ Michael Partem, "The Buffer System in International Relations," *Journal of Conflict Resolution*, Vol. 27, No. 1 (1983): 19.

¹³¹ Michael Handel, *Weak States in the International System* (London: Frank Cass, Second Edition, 1990), 180; Robert Rothstein, *Alliances and Small Powers* (New York: Columbia University Press, 1968), 72.

¹³² Olav Knudsen, "Eastern Europe: The Buffer Effect of a Cordon Sanitaire," in *Buffer States in World Politics*, ed. John Chay and Thomas Ross (Boulder: Westview Press, 1986), 90.

მაიკლ პარტემის ხედვით, ბუფერულ სახელმწიფოს სამი ტიპის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია შეიძლება ჰქონდეს:

1. ნეიტრალიტეტი;
2. ალიანსი ერთ ან მეორე დაბუფერებულ ძალასთან; და
3. მესამე ძალაზე დაყრდნობა.¹³³

აქვე დავამატებ, რომ პირველი და მესამე არჩევანი სახელმწიფოს ბუფერის სტატუსს უნარჩუნებს, მეორე კი მას კვაზიბუფერად აქცევს.

ნეიტრალურობა, უპირველეს ყოვლისა, ბუფერული სახელმწიფოს მიერ მეზობელი დიდი სახელმწიფოების კონფლიქტში მიუმხრობელი პოზიციის დაკავებასა და საკუთარ ტერიტორიაზე მათი შეიარაღებული ძალების არდაშვებას გულისხმობს. უმრავლეს შემთხვევებში დიდი/ძლიერი სახელმწიფოები ძალით თავს ახვევენ ნეიტრალიტეტს პატარა/სუსტ სახელმწიფოებს. მაგალითად, 1815 წელს ვენის კონგრესზე შვეიცარიის ნეიტრალიზაცია მოხდა, 1839 წელს ლონდონის პირველ კონფერენციაზე – ბელგიის, 1867 წელს ლონდონის მეორე კონფერენციაზე – ლუქსემბურგის, 1954 წელს ჟენევის კონფერენციაზე – კამბოჯის, 1962 წელს ჟენევის კონფერენციაზე – ლაოსის, და ა.შ. აუცილებელი არაა, რომ ბუფერულ სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით ნეიტრალური სახელმწიფოს სტატუსი გააჩნდეს, ანუ შესაძლებელია, რომ მისი ნეიტრალიტეტი რომელიმე საერთაშორისო ხელშეკრულებით ან ცალმხრივი სამართლებრივი აქტით განცხადებული არ იყოს (მაგალითისათვის, შვედეთის ტრადიციული ნეიტრალიტეტი არც ერთ დოკუმენტს არ ეფუძნება). თუმცა, უფრო ხშირად ბუფერულ სახელმწიფოს იურიდიულად აქვს გაფორმებული მუდმივად ნეიტრალური ქვეყნის სტატუსი (როგორც მაგალითად, შვეიცარიას 1815 წლიდან, ბელგიას 1839-1919 წლებში, ავსტრიას 1955 წლიდან, კამბოჯას 1954-1965 წლებში, საქართველოს 1918-1921 წლებში, და სხვა).

რობერტ როთსტაინის მოსაზრებით, ნეიტრალიტეტისა და მიუმხრობლობის პოლიტიკა ყოველთვის მიმზიდველი იყო პატარა ქვეყნებისათვის, მაგრამ დიდ სახელმწიფოთა დაგებიდან განზე დგომა და

¹³³ Michael Partem, "The Buffer System in International Relations," *Journal of Conflict Resolution*, Vol. 27, No. 1, (1983): 20.

მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობა მათ აუხდენელ ოცნებად რჩებოდა იმდენად, რამდენადაც პატარა ქვეყნების ნეიტრალიტეტი მხოლოდ საერთაშორისო სისტემის მეტ-ნაკლები წონასწორობის პირობებშია სიცოცხლისუნარიანი.¹³⁴ როდესაც ბალანსი ირღვევა, ბუფერული სახელმწიფო საკუთარ ნეიტრალიტეტს აღარ ან ვეღარ იცავს, მისი აღდგენის შემთხვევაში კი ცდილობს ან იძულებული ხდება, ისევ მიუმხრობელ პოზიციაზე დაბრუნდეს. მაგალითად, 1920 წელს ბელგიამ პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულ საფრანგეთთან სამხედრო კავშირი გააფორმა, რითაც თავის მრავალწლოვან ნეიტრალიტეტზე უარი თქვა, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1925 წლის ლოკარნოს შეთანხმებებით მისი საზღვრების ხელშეუხებლობის გარანტირები, საფრანგეთის გარდა, დიდი ბრიტანეთი, იტალია და გერმანია გახდნენ და ამ უკანასკნელის გაძლიერების კვალდაკვალ ევროპაში ძალთა ბალანსი მეტ-ნაკლებად აღდგა, ბელგიამ საფრანგეთთან ალიანსის გაუქმების საჭიროება დაინახა და 1936 წელს მიაღწია კიდევ ამას, თუმცა, იმავე წელს მსოფლიოსადმი მიცემული დაპირება იმის თაობაზე, რომ არ დაუშვებდა თავისი ტერიტორიის უცხო სახელმწიფოს მიერ მეზობელზე თავდასხმისათვის კორიდორად ან სამხედრო ბაზად გამოყენებას, 1940 წელს, ნაცისტური გერმანიის წინაშე უმწეობის გამო, ვეღარ შეასრულა.¹³⁵ ამის მსგავსად, 1956 წლის სუეცის კრიზისის შემდეგ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის გავლენის შესუსტებამ ახლო აღმოსავლეთში ლიბანის ნეიტრალიტეტს საფუძველი გამოაცადა,¹³⁶ და ა.შ.

ბუფერის სტატუსის შესანარჩუნებლად სუსტმა სახელმწიფომ ძლიერი სახელმწიფოების იმაში დარწმუნება უნდა შეძლოს, რომ მისი ნეიტრალიტეტი მათ ინტერესებს ემსახურება. ლიბანელი მეცნიერის ჯოზეფ მაილას აზრით, ბუფერული სახელმწიფოს ხელისუფლება მუდმივად საკუთარ ნეიტრალიტეტსა და მიუმხრობლობაზე საუბრობს, მაგრამ მაინც ვერ ახერხებს ხოლმე თავისი ძლიერი მეზობლების ეჭვების გაფანტვას, რომლებიც მას პრობლემების მუდმივ

¹³⁴ Robert Rothstein, *Alliances and Small Powers* (New York: Columbia University Press, 1968), 30-31.

¹³⁵ Robert Rothstein, *Alliances and Small Powers* (New York: Columbia University Press, 1968), 82-115.

¹³⁶ Robert McColl, "The Geopolitical Demise of Lebanon: Consequences of a Political and Military Buffer," in *Buffer States in World Politics*, ed. John Chay and Thomas Ross (Boulder: Westview Press, 1986), 140.

წყაროდ აღიქვამენ.¹³⁷ ანეტ ბეიკერ ფოქსის თქმით, პატარა ქვეყნების ნეიტრალიტეტმა, შესაძლოა, „ნეიტრალური მოკავშირეობის“ ან „არანეიტრალური ნეიტრალიტეტის“ ფორმები მიიღოს,¹³⁸ რაც დიდ სახელმწიფოებს მათზე თავდასხმის განსახორციელებლად დამატებით საბაბს აძლევს. მაგალითად, 1967 წლის ექვსდღიანი და 1973 წლის ოქტომბრის ომების შემდგომ ლიბანს პალესტინელი ლტოლვილების დიდი ნაკადი მიაწვდა, რასაც, დროთა განმავლობაში, ამ ქვეყნის ტერიტორიაზე „პალესტინის გამათავისუფლებელი ორგანიზაციის“ მიერ სამხედრო ბაზების დაარსება, ხოლო 1976 წელს სირიის არმიის ნაწილების განლაგება მოჰყვა. შედეგად, ლიბანის ნეიტრალიტეტი ფიქციად გადაიქცა და ისრაელმაც 1982 წელს, სირიის სამხედრო მანევრების საპასუხოდ, სამხრეთ ლიბანის ოკუპაცია მოახდინა.¹³⁹

რობერტ როთსტაინი მიიჩნევს, რომ ნეიტრალიტეტის პოლიტიკა საშიშია პატარა ქვეყნებისათვის, რომლებიც დიდი სახელმწიფოების ინტერესებისა და საგარეო-პოლიტიკური აქტიუობის არეალში იმყოფებიან.¹⁴⁰ დიდი/ძლიერი სახელმწიფოები თავიანთი პატარა/სუსტი მეზობლების ნეიტრალიტეტში ხშირად საფრთხეს ხედავენ. მაგალითისათვის, 1939 წელს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ვიახესლავ მოლოტოვმა განაცხადა: „ჩვენ ვერ დავეუშვებთ იმას, რომ პატარა სახელმწიფოები სსრკ-ს წინააღმდეგ იქნენ გამოყენებულნი. ნეიტრალური ბალტიის ქვეყნები – ეს ძალიან დიდი საფრთხეა.“¹⁴¹ 1956 წელს საბჭოთა კავშირმა სისხლში ჩაახშო უნგრეთის ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციიდან გამოსვლისა და ნეიტრალურ სახელმწიფოდ გარდაქმნის მცდელობა, რაც უნგრეთის ახლად აღდგენილი კომუნისტური რეჟიმის საგარეო საქმეთა მინისტრმა იმრე ჰოვათმა შემდგომ ასე დაასაბუთა: „ჩვენ მხარს ვუჭერთ ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყნის

¹³⁷ Joseph Maïla, “Buffer States: The Issue of Sovereignty,” in *Buffer States in World Politics*, ed. John Chay and Thomas Ross (Boulder: Westview Press, 1986), 38-39.

¹³⁸ იხილეთ: Annette Baker Fox, *The Power of Small States: Diplomacy in World War II* (Chicago: University of Chicago Press, 1959).

¹³⁹ Robert McColl, “The Geopolitical Demise of Lebanon: Consequences of a Political and Military Buffer,” in *Buffer States in World Politics*, ed. John Chay and Thomas Ross (Boulder: Westview Press, 1986), 143-152.

¹⁴⁰ Robert Rothstein, *Alliances and Small Powers* (New York: Columbia University Press, 1968), 34.

¹⁴¹ Alber Tarulis, *Soviet Policy Towards the Baltic States, 1918-1940* (South Bend: University of Notre Dame Press, 1959), 154-155, ციტირებულია ნაშრომში: Michael Handel, *Weak States in the International System* (London: Frank Cass, Second Edition, 1990), 72.

ნეიტრალიტეტს, რადგან [...] ეს დამყრობელთა და ომის მოსურნეთა ბანაკიდან მათ განზე დგომას ნიშნავს, მაშინ როდესაც სოციალისტური ქვეყნის ნეიტრალიტეტი სოციალიზმისა და მშვიდობის მშენებლობის ფარულად ხელყოფა და დალატია.“¹⁴²

ამდენად, ნეიტრალიტეტის პოლიტიკა ბუფერული სახელმწიფოების ყველა პრობლემის მოგვარებისა და მათი გადარჩენის გარანტია არ არის. ალიანსი ერთ-ერთ დიდ სახელმწიფოსთან ზოგჯერ გაცილებით უფრო მიზანშეწონილია პატარა ქვეყნისათვის, ვიდრე ნეიტრალიტეტის დაცვა. მაგალითად, როგორც რობერტ როთსტაინი აღნიშნავს, ბელგიამ სწორედ მაშინ გააუქმა საფრანგეთთან სამხედრო ხელშეკრულება, როდესაც ამ ალიანსის უპირატესობა აშკარა გახდა და საფრთხე, რომელსაც ის უნდა გამკლავებოდა, მართლაც, გამოჩნდა.¹⁴³

დიდი ფლორენციელი მოაზროვნის ნიკოლო მაკიაველის მიერ მთავრისთვის (ხელმწიფისთვის) მიცემული რჩევის თანახმად, მან ორი ძლიერი მეზობლის ურთიერთდაპირისპირებაში აუცილებლად ერთ-ერთს უნდა დაუჭიროს მხარი, რაც გაცილებით უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ნეიტრალიტეტის დაცვა, ვინაიდან ომის დამთავრებისთანავე იგი მაინც გამარჯვებულის მსხვერპლი გახდება. მაშინ როდესაც ერთ-ერთ მხარეზე გადასვლა, მას, მოკავშირის გამარჯვების შემთხვევაში, გადარჩენისა და გამდიდრების მეტ შანსს აძლევს, რადგან გამარჯვებული მასთან ვალშია, ხოლო მოკავშირის დამარცხების შემთხვევაში, ამ უკანასკნელისაგან გარკვეული დახმარების მიღების იმედს უტოვებს. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ დამარცხებული ძალა, შესაძლებელია, ახლო მომავალში კვლავ აღზევდეს. მართალია, მაკიაველი აქვე იმასაც ამბობს, რომ მთავარმა არ უნდა ეძიოს კავშირი მასზე უფრო ძლიერ სახელმწიფოსთან მესამე ძალის საწინააღმდეგოდ, რადგან ომის შემდგომ მაინც გამარჯვებულის

¹⁴² Edward Chaszar, “The Possibility of a Neutralized Zone in Central Europe,” in *Toward a New Central Europe, A Symposium on the Problems of the Danubian Nations*, ed. Francis Wagner (Astor Park: Danubian Press, 1970), <http://www.hungarian-history.hu/lib/wagner/wagner04.htm> (accessed 10.08.2009).

¹⁴³ Robert Rothstein, *Alliances and Small Powers* (New York: Columbia University Press, 1968), 115.

დაქვემდებარებაში აღმოჩნდება, მაგრამ დასძენს, რომ ამგვარი ტაქტიკა გამართლებულია მაშინ, როდესაც გადარჩენის სხვა გზა აღარ არსებობს.¹⁴⁴

ბუფერული სახელმწიფოს მიერ რომელიმე დაბუფერებულ ძალასთან სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსში შესვლა მისი ბუფერული სტატუსის კვაზიბუფერულით შეცვლას ნიშნავს. კვაზიბუფერის ტერიტორიაზე კი მის მიერ დაბუფერებული ძალის სამხედრო კონტინგენტი შეიძლება განთავსდეს. ასეთი რამ შედარებით იშვიათად ხდება თავად ბუფერის ინიციატივით. უფრო ხშირად, რომელიმე დაბუფერებული მხარე (მოცემულ მომენტში უფრო ძლიერი) თავს ახვევს ბუფერს არათანასწორუფლებიან – ე.წ. „მგელისა და კრავის“,¹⁴⁵ „კატისა და თაგვის“¹⁴⁶ ან „აღ კაპონეს“¹⁴⁷ ტიპის – ალიანსს.

მაიკლ პარტემის დაკვირვებით, ერთ-ერთი ან ერთდროულად ორივე დაბუფერებული ძალის მხრიდან ბუფერზე ზეწოლა მის ალიანსში გასაწევრიანებლად განსაკუთრებით ძლიერდება იმ დროს:

1. როდესაც მეტოქეობა დაბუფერებულ ძალებს შორის უფრო ინტენსიური ხდება;
2. როდესაც ერთი-ერთი დაბუფერებული ძალის შესაძლებლობები მეორისას მნიშვნელოვნად გადააჭარბებს; და
3. როდესაც ბუფერულ სახელმწიფოში შიდა არეულობაა (სამოქალაქო ომი, სეპარატიზმი, ტერორიზმი, და სხვა).¹⁴⁸

როდესაც ერთი სუვერენული სახელმწიფო მეორე სახელმწიფოს მხრიდან საფრთხეს გრძნობს, მას სამი არჩევანი აქვს: 1) საკუთარი ძალებით დაიცვას თავი, 2) დაუკავშირდეს სხვა ძალას, ანუ დააბალანსოს აგრესორი, ან 3)

¹⁴⁴ Nicolo Machiavelli, *The Prince*, trans. W. K. Marriott (The Project Gutenberg E-Book no. 1232, 11.02.2006), <http://www.gutenberg.org/files/1232/1232.txt> (accessed 16.08.2009).

¹⁴⁵ Robert Rothstein, *Alliances and Small Powers* (New York: Columbia University Press, 1968), 117.

¹⁴⁶ Michael Handel, *Weak States in the International System* (London: Frank Cass, Second Edition, 1990), 72.

¹⁴⁷ Robert Keohane, “Lilliputians’ Dilemmas: Small States in International Politics,” *International Organization*, Vol. 23, No. 2 (1969): 302. XX საუკუნის 20-იან წლებში ჩიკაგოელი ბიზნესმენები აღ კაპონესადმი ფულის გადახდით არა მარტო სხვა მაფიოზური დაჯგუფებებისაგან, არამედ, პირველ რიგში, თავად აღ კაპონეს ბანდისაგან იცავდნენ თავს.

¹⁴⁸ Michael Partem, “The Buffer System in International Relations,” *Journal of Conflict Resolution*, Vol. 27, No. 1 (1983): 21.

გადავიდეს იმ ძალის მხარეზე, რომლისგანაც საფრთხეს მოეღოს, ანუ მიეტმასნოს აგრესორს.¹⁴⁹ მაიკლ ჰანდელი ფიქრობს, რომ საერთაშორისო სისტემაში ძალთა ბალანსის დარღვევისას სუსტი ქვეყნების უმრავლესობა გაძლიერებული და უფრო საშიში სახელმწიფოსადმი მიმხრობას [ანუ მიტმასნებას] არჩევს, ძალთა ბალანსის კვლავ შეცვლის მომენტში კი – როცა თავდაპირველი მოკავშირე დასუსტებულია, ხოლო მის მოწინააღმდეგეს დახმარება ესაჭირობა – ამ უკანასკნელის მხარეს გადასვლას ცდილობს.¹⁵⁰ ანეტ ბეიკერ ფოქსმა ამას „ძალთა ბალანსის საწინააღმდეგო“ ქცევა უწოდა.¹⁵¹ ისტორიულად, ბუფერულ სახელმწიფოებს, თვითგადარჩენის მიზნით, არაერთხელ მიუმართავთ ამგვარი ტაქტიკისათვის. მაგალითად, 1940 წელს უნგრეთმა, რუმინეთმა და ბულგარეთმა ბერლინი-რომი-ტოკიოს ღერძს ღია მხარდაჭერა გამოუცხადეს; და ა.შ.

ჯოზეფ მაილა ამტკიცებს, რომ ბუფერული სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია მნიშვნელოვანწილად მისი სუვერენიტეტის ხარისხზეა დამოკიდებული. მაგალითად, როდესაც ბუფერული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია, ის უფრო ძლიერ სახელმწიფოსთან სამხედრო ალიანსის გაფორმებასა და, მისი დახმარებით, საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას შეეცდება, ხოლო როდესაც ბუფერის ტერიტორიული მთლიანობა დიდი სახელმწიფოების მიერ არის გარანტირებული, ის საკუთარი ნეიტრალიტეტისა და, შესაბამისად, ბუფერული სტატუსის შენარჩუნებას მიანიჭებს უპირატესობას. თუ შელახული სუვერენიტეტის მქონე ბუფერული სახელმწიფო ვერც ალიანსის გაფორმებას და ვერც ტერიტორიული მთლიანობის სხვა გზებით აღდგენას მოახერხებს, შეიძლება ითქვას, რომ მისმა საგარეო პოლიტიკამ სრული კრახი განიცადა, რაც, ძირითადად, ძალიან სუსტ, სამოქალაქო ომისა ან სხვა დამანგრეველი შიდაპოლიტიკური პროცესების შედეგად დაშლის პირამდე მისულ ბუფერულ სახელმწიფოებს ემართებათ (ამის

¹⁴⁹ ალექსანდრე რონდელი, *საერთაშორისო ურთიერთობები* (თბილისი: „ნეკერი“, მესამე გამოცემა, 2006), 156. იხილეთ აგრეთვე: Stephen Walt, *The Origins of Alliances* (Ithaca: Cornell University Press, 1990).

¹⁵⁰ Michael Handel, *Weak States in the International System* (London: Frank Cass, Second Edition, 1990), 186.

¹⁵¹ Annette Baker Fox, *The Power of Small States: Diplomacy in World War II* (Chicago: University of Chicago Press, 1959), 187.

მაგალითებია ლიბანი 1970-80-იან წლებში, კამბოჯა 1970-იან წლებში, და სხვა).¹⁵²

საერთაშორისო სისტემაში სტაბილურობის დარღვევისას მეტოქე ძლიერი სახელმწიფოებისათვის გაცილებით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს მოკავშირეთა წრის გაფართოება, ვიდრე ბუფერული სახელმწიფოების შენარჩუნება. ასეთ ვითარებაში ბუფერის დამოუკიდებლობისადმი მისწრაფება მისი ძლიერი მეზობლების ინტერესებთან წინააღმდეგობაში მოდის, რაც, საბოლოო ჯამში, მისთვის ან გამანადგურებელი ომით ან რომელიმე ძალასთან ალიანსში იძულებით შესვლით სრულდება (საქართველოს, ბელგიის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების ისტორია მდიდარია ამგვარი მომენტებით).

ბუფერული სახელმწიფოს ხელისუფლებამ იცის, რომ ერთ-ერთი დაპირისპირებული მხარისაკენ გადახრასა და მასთან ალიანსს მეორის მწვავე რეაქცია მოჰყვება, რის გამოც ის ერთადერთ გამოსავალს ხშირად მათ შორის დიპლომატიურ მანევრირებაში ანუ მარტინ უაითის მიერ ტრიმერულ საგარეო პოლიტიკად წოდებულ ქცევაში ხედავს. მაგალითად, 1950-იან წლებში ავღანეთმა ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (CENTO) გაწევრიანებაზე უარი განაცხადა, რადგან იცოდა, რომ ამით საბჭოთა კავშირს განარისხებდა. თუმცა, ამის შემდგომ გარკვეული ხნის მანძილზე, ერთდროულად როგორც სსრკ-ს, ისე აშშ-ის სამხედრო დახმარებას იღებდა; 1948 წელს ფინეთმა თავის დაუძინებელ მტერთან საბჭოთა კავშირთან „მშვიდობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას“ მოაწერა ხელი, რომლითაც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ ნებისმიერ ალიანსსა თუ კოალიციაში გაწევრიანებისაგან თავის შეკავების ვალდებულება იკისრა.¹⁵³ ტრიმერული საგარეო პოლიტიკის არაერთი მაგალითი მოიძებნება საქართველოს ისტორიაშიც. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის მიერ წამყვან რეგიონულ ძალებს შორის დიპლომატიური მანევრირების მცდელობას ხატოვნად აღწერს დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი:

¹⁵² Joseph Maila, "Buffer States: The Issue of Sovereignty," in *Buffer States in World Politics*, ed. John Chay and Thomas Ross (Boulder: Westview Press, 1986), 36-37.

¹⁵³ Timo Vihavainen, "After the War: Finland's Relations with the Soviet Union, 1944-1991," November 2001, <http://virtual.finland.fi/finfo/english/after.html> (accessed 23.08.2009).

მეფეს სძრახევდნენ, იტყოდნენ ეგევითარსა გმობასა:
სამს დიდ ხელმწიფეს პირს აძლევს, სამგან იკეთებს ემობასა!
ყენის სპასალარია, თავს ირჭვამს მის რაყმობასა!
რუსთ ხელმწიფესთან მამაობს, ხვანთქართან ჩემობს ძმობასა!¹⁵⁴

როდესაც ბუფერულ სახელმწიფოს, დაბუფერებული ძალების დიდი ზეწოლის გამო, ნეიტრალიტეტის დაცვა უძნელდება, ხოლო ერთ-ერთ მათგანთან კავშირში შესვლით მეორესთან ომი და დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხე ემუქრება, მას კიდევ ერთი გამოსავალი რჩება – ალიანსი მესამე ძლიერ სახელმწიფოსთან, რომელიც მას უშუალოდ არ ესაზღვრება, სავარაუდოდ, ნაკლებადაა დაინტერესებული მასზე ბატონობით და თავისი ორი მეტოქის ბუფერის ხარჯზე ექსპანსიის შეჩერებას ცდილობს. მესამე ძალაზე დაყრდნობის სტრატეგია ზოგჯერ ყველაზე ეფექტიანია ბუფერული სახელმწიფოსათვის. მაგალითად, 1828 წელს ურუგვაიმ, დიდი ბრიტანეთის დიპლომატიური ჩარევის შედეგად, ბრაზილიასა და არგენტინას შორის მიმდინარე ომში არჩევნის გაკეთების დილემას დააღწია თავი, ვინაიდან ორივე მხარემ მისი დამოუკიდებლობა ცნო. ამ პერიოდიდან მოყოლებული ურუგვაიმ კიდევ არაერთგზის წარმატებით მიმართა პოლიტიკური მხარდაჭერისათვის როგორც დიდ ბრიტანეთს, ისე აშშ-ს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მესამე ძალის იმედად ყოფნას უმეტესწილად მხოლოდ მოკლევადიანი დადებითი შედეგები მოაქვს. მაგალითად, 1958 წელს ლიბანმა, სირია-ეგვიპტის აგრესიის შესაკავებლად, აშშ-ს სთხოვა დახმარება და მის ტერიტორიაზე გადმოსროლილი ამერიკული სამხედრო კონტინგენტის მეშვეობით სუვერენიტეტის დაცვა შეძლო. მოგვიანებით კი, 1970-იან წლებში, ველარ გაიმეორა ეს წარმატებული ნაბიჯი და აშშ-საგან ისეთივე მხარდაჭერა ველარ მიიღო; 1918 წლის მაისში საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, თურქეთიდან მომდინარე საფრთხის გასანეიტრალებლად, საკუთარ ტერიტორიაზე გერმანიის ჯარები მოიწვია, ხოლო 1918 წლის ნოემბერში, მას შემდეგ, რაც გერმანიამ პირველ მსოფლიო ომში კაპიტულაცია გამოაცხადა, მათ ნაცვლად ბრიტანეთის სამხედრო ძალები შემოიყვანა. თუმცა, უკვე როდესაც 1920 წლის მაისში ამ უკანასკნელებმა საქართველო დატოვეს, სახელმწიფო ფაქტობრივად დაუცველი დარჩა თურქეთისა და რუსეთის

¹⁵⁴ დავით გურამიშვილი, „ქართლის ჭირი“, *დავითიანი* (თბილისი: „ნაკადული“, 1990), 469.

ექსპანსიების პირისპირ და 1921 წლის თებერვალში, წითელი არმიის შემოჭრის შედეგად, არსებობა შეწყვიტა; და ა.შ.

მაიკლ ჰანდელი და რობერტ როთსტაინი მიიჩნევენ, რომ პატარა/სუსტი სახელმწიფოსათვის დიდი/ძლიერი, მაგრამ შორს მდებარე მოკავშირის ყოლა სასარგებლო სტრატეგია არ არის, ვინაიდან ალბათობა იმისა, რომ შორეული მოკავშირე აიღებს ვალდებულებას, პატარა ქვეყანა მისი დიდი მეზობლის თავდასხმისაგან დაიცვას, საკმაოდ დაბალია. მაგალითად, ცივი ომის დროს საბჭოთა კავშირს, ცენტრალური ამერიკიდან შორს ყოფნის გამო, კუბისთვის დახმარების გაწევა უძნელდებოდა.¹⁵⁵ ამ მოსაზრების გამყარება საქართველოს ისტორიიდან რამდენიმე მაგალითის მოყვანითაც შეიძლება. 1587 წელს კახეთის მეფემ ალექსანდრე II-მ, სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიებისაგან თავის დაცვის მიზნით, მესამე და იმ დროისთვის შორს მდებარე ძალასთან – რუსეთთან „ვიცის წიგნი“ გააფორმა, მაგრამ 1605 წელს ამან ვერ გადაარჩინა ვერც თავად იგი და ვერც მისი სამეფო სპარსეთის შაჰის აბას I-ის რისხვისაგან; ქართლის მეფემ ვახტანგ VI-მაც, სპარსულ და ოსმალურ საფრთხეებთან გასამკლავებლად, რუსეთთან კავშირი დაამყარა, თუმცა, 1722 წელს განჯაში ჯარით მეოფი სამ თვეს ამაოდ ელოდა სამხედრო დახმარებას რუსეთის იმპერატორ პეტრე I-საგან, რაც, საბოლოო ჯამში, მის მიერ სამშობლოს დატოვებითა და მტრების მიერ ქართლის აოხრებით დასრულდა; და ა.შ.

ბუფერულ ზონაში შემავალი სახელმწიფოები, თეორიულად დასაშვებია, რომ ალიანსში გაერთიანდნენ ანუ ბუფერთა კოალიცია ჩამოაყალიბონ. მაგალითად, 1919 წელს ბევრ დასავლელ სახელმწიფო მოღვაწეს სჯეროდა, რომ აღმოსავლეთ ევროპის პატარა ქვეყნები ერთგვარ ფედერაციას შექმნიდნენ, რომელიც ამ რეგიონის ბუფერის ეფექტს გააძლიერებდა, მაგრამ, რამდენიმე მინიშნების მიუხედავად, ეს სცენარი არ განხორციელდა.¹⁵⁶ მართალია, 1921 წელს ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და რუმინეთის შემადგენლობით მცირე ანტანტა შეიქმნა, რომელმაც უნგრეთის მოსალოდნელი რევანშისტული

¹⁵⁵ Michael Handel, *Weak States in the International System* (London: Frank Cass, Second Edition, 1990), 128; Robert Rothstein, *Alliances and Small Powers* (New York: Columbia University Press, 1968), 118.

¹⁵⁶ Stephan De Spiegeleire, “Of Buffers and Bridges. Some Geodetic Thoughts on European Stability in the Post-Cold War Era,” 13 January, 1994: 8, 18, <http://ourworld.compuserve.com/homepages/sdspieg/buffer.htm> (accessed 27.08.2009).

პოლიტიკის შეჩერება და რეგიონში დიდი სახელმწიფოების გავლენის შესუსტება დაისახა მიზნად, მაგრამ 1938 წელს, მას შემდეგ, რაც იუგოსლავიამ და რუმინეთმა ჩეხოსლოვაკია ნაცისტური გერმანიის საფრთხის პირისპირ მარტო დატოვეს, ეს ალიანსი ფაქტობრივად დაიშალა.¹⁵⁷ როგორც რობერტ როთსტაინი აღნიშნავს, მხოლოდ პატარა სახელმწიფოებისაგან შემდგარი სამხედრო კავშირები უსარგებლოა, ვინაიდან მათი წევრების ჯამური სიძლიერე დიდი სახელმწიფოებისას ვერ შეედრება და ამ უკანასკნელთაგან მომდინარე საფრთხეებს ვერ გაუმკლავდება.¹⁵⁸ ანეტ ბეიკერ ფოქსის მოსწრებული თქმით კი, პატარა ქვეყნების ალიანსები არაეფექტიანია იმიტომ, რომ სუსტი სახელმწიფოების ძალების ჯამი ისევ სისუსტეა.¹⁵⁹ მაგალითისათვის, როგორც ჩანს, სწორედ ესაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რატომაც საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვას მიერ 1997 წლიდან დაწყებული თანამშრომლობა სუამ-ის ჯგუფის ფორმატში დღემდე მხოლოდ დემოკრატიისა და ეკონომიკის სფეროებით შემოიფარგლება და სამხედრო ალიანსში არ გადაზრდილა.

ამრიგად, იმას, თუ როგორ საგარეო პოლიტიკას აირჩევს ბუფერული სახელმწიფო, საბოლოო ჯამში, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან მისი ბედი ძირითადად საერთაშორისო სისტემაში ან რეგიონში არსებულ ძალთა ბალანსსა და დაბუფერებულ სახელმწიფოთა ნებაზეა დამოკიდებული. როდესაც სისტემაში ან რეგიონში ძალთა წონასწორობა/ეკვილიბრიუმი ირღვევა, ბუფერული სახელმწიფო უკეთეს შემთხვევაში თავის ბუფერულ სტატუსს კარგავს, უარეს შემთხვევაში კი საერთოდ არსებობას წყვეტს. ამიტომაც, ორ ან მეტ ძალის პოლუსს შორის მოქცეულ პატარა/სუსტ სახელმწიფოს, უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ბუფერული სტატუსის მოპოვების ნაცვლად, რომელიმე მათგანთან ალიანსში შესვლა ანუ კვაზიბუფერად გახდომა შეიძლება ერჩივნოს და, შესაბამისად, თავისი საგარეო პოლიტიკაც ამ მიზნის განხორციელებისაკენ ჰქონდეს მიმართული. ასეთ დროს კი მისთვის სწორი არჩევნის გაკეთება ანუ საბოლოო ჯამში გამარჯვებულის მხარეს აღმოჩენა სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს.

¹⁵⁷ Robert Rothstein, *Alliances and Small Powers* (New York: Columbia University Press, 1968), 128-177.

¹⁵⁸ *Ibid.*, 117.

¹⁵⁹ Annette Baker Fox, *The Power of Small States: Diplomacy in World War II* (Chicago: University of Chicago Press, 1959), 185.

თავი მეშვიდე. ბუფერული სისტემა

ბუფერი და დაბუფერებული ძალები ბუფერულ სისტემას ქმნიან, რომელიც, სულ მცირე, სამი ელემენტისაგან შედგება: ერთი ბუფერული სახელმწიფო და ორი დიდი/ძლიერი მეტოქე სახელმწიფო (იხილეთ *ნახაზი 1* დანართში 1). რასაკვირველია, დაბუფერებული ძალების რიცხვი ორზე მეტიც შეიძლება იყოს. მაგალითად, პოლონეთი XVIII საუკუნეში მის სამად დანაწილებამდე, იყო ბუფერი რუსეთს, პრუსიასა და ავსტრიას შორის. ბუფერულ სისტემაში ერთი ან მეტი დაბუფერებული ძალის სახით წარმოდგენილი შეიძლება იყოს ასევე რამდენიმე ძლიერი სახელმწიფოსაგან შემდგარი სამხედრო ალიანსი ან დიდი/ძლიერი სახელმწიფოს გავლენის სფერო: ძლიერი სახელმწიფო თავის ერთ ან მეტ სუსტ მოკავშირესთან ერთად, ისევე როგორც ბუფერად პატარა/სუსტ სახელმწიფოთა ჯგუფი ანუ ბუფერული ზონა შეიძლება მოგვევლინოს. მაგალითად, ცივი ომის დროს ევროპის ნეიტრალური სახელმწიფოები [შვეიცარია, ავსტრია, შვედეთი, ფინეთი] წარმოადგენდნენ ბუფერებს ვარშავის პაქტსა და ჩრდილო ატლანტიკურ ბლოკს შორის.¹⁶⁰

ოღაც კნუდსენის თანახმად, ბუფერული სისტემის არსებობის აუცილებელი პირობებია:

1. ბუფერის გეოგრაფიული მდებარეობა მასზე უფრო ძლიერ მეტოქე ძალებს შორის;
2. მეტოქე ძალების შესაძლებლობათა მეტ-ნაკლები თანასწორობა;
3. მეტოქე ძალებისა და ბუფერის შესაძლებლობათა საგრძნობი უთანასწორობა.¹⁶¹

მაიკლ პარტემი კი ბუფერული სისტემის შემდეგ მახასიათებლებს გამოყოფს:

¹⁶⁰ Stephan De Spiegeleire, "Of Buffers and Bridges. Some Geodetic Thoughts on European Stability in the Post-Cold War Era," 13 January, 1994: 8, <http://ourworld.compuserve.com/homepages/sdspieg/buffer.htm> (accessed 05.09.2009).

¹⁶¹ Olav Knudsen, "Eastern Europe: The Buffer Effect of a Cordon Sanitaire," in *Buffer States in World Politics*, ed. John Chay and Thomas Ross (Boulder: Westview Press, 1986), 90.

- B (ბუფერი) A და C (დაბუფერებულ) ძალებს შორის მდებარეობს – მათ ესაზღვრება;
- A და C ორივენი მიიჩნევენ, რომ მათ მიერ B-ს ორმხრივ კონფლიქტში დამარცხების ალბათობა 50%-ზე მეტია;
- A-ს და C-ს მეტ-ნაკლებად ერთნაირი სამხედრო შესაძლებლობები აქვთ;
- B-ს [საკუთარი სამხედრო პოტენციალის მეშვეობით] A და C ძალებს შორის შესაძლო კონფლიქტის შედეგებზე გავლენის მოხდენა არ ძალუძს;
- B ცდილობს, თავი აარიდოს სამხედრო ალიანსს როგორც A-სთან, ისე C-სთან.

ბუფერული სისტემის არსს დაბუფერებული ძალების კონფლიქტი (მეტოქეობა და პირველობისათვის ბრძოლა) განაპირობებს. ამასთან, ამ ძალების შეჯიბრი ძალაუფლებისა და გავლენისათვის საკმაოდ მაღალი ინტენსივობის უნდა იყოს. მაგალითად, დღეისათვის ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი ველარ ჩაითვლებიან ბუფერულ სახელმწიფოებად, რადგანაც გერმანია, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი 1945 წლის შემდეგ მოწინააღმდეგე ძალები აღარ არიან.¹⁶²

საკმარისია, ბუფერული სისტემის სამი ელემენტიდან ერთ-ერთი მაინც გაქრეს ან თვისებრივად შეიცვალოს, რომ სისტემა ფუნქციონირებას შეწყვეტს. ეს კი შეიძლება იმ შემთხვევაში მოხდეს, თუ:

1. ერთი დაბუფერებული ძალა მეორეს გაანადგურებს;
2. დაბუფერებული ძალები მეგობრებად/მოკავშირეებად გადაიქცევიან;
3. ერთი დაბუფერებული ძალა ბუფერს იძულებით ალიანსში გააწევრიანებს ან დაიქვემდებარებს;
4. ბუფერის [სამხედრო] შესაძლებლობები ერთ-ერთი დაბუფერებული ძალისას გაუთანაბრდება.

¹⁶² Michael Partem, “The Buffer System in International Relations,” *Journal of Conflict Resolution*, Vol. 27, No. 1 (1983): 13, 16.

პირველ შემთხვევაში, ბუფერული სისტემა გარდაიქმნება ერთპოლუსიან/იერარქიულ რეგიონულ სისტემად, მეორე შემთხვევაში – ალიანსის სისტემად, მესამე შემთხვევაში – კვაზიბუფერულ სისტემად, მეოთხე შემთხვევაში კი – მრავალპოლუსიან/სამპოლუსიან რეგიონულ სისტემად.

ზოგიერთი ბუფერული სახელმწიფო, ბუფერული სისტემის მონაწილეთა მრავალგზის შეცვლის მიუხედავად, მაინც ბუფერად დარჩენილა. მაგალითად, კამბოჯა XV საუკუნიდან XIX საუკუნის ჩათვლით ხან ბუფერი, ხან კი კვაზიბუფერი იყო ტაის იმპერიასა და ვიეტნამს შორის, XX საუკუნეში კი – ჩრდილოეთ ვიეტნამსა და სამხრეთ ვიეტნამს, ანუ კომუნისტური და დასავლური გავლენის სფეროებს შორის;¹⁶³ 1945 წელს კორეას, როგორც ტრადიციულ ბუფერს/კვაზიბუფერს ჩინეთსა და იაპონიას შორის, მეორე მსოფლიო ომში ამ უკანასკნელის დამარცხების შემდეგ, ერთ-ერთ დაბუფერებულ ძალად აშშ-ის გავლენის სფერო (აშშ-იაპონიის ალიანსი) ჩაენაცვლა; და ა.შ.

მაიკლ პარტემის აზრით, ბუფერული სისტემის ფუნქციონირება დაბუფერებულ ძალთა რაციონალურ გათვლებს ეფუძნება (აღნიშნული ჰიპოთეზის აგებისას პარტემმა გამოიყენა ამერიკელი მეცნიერის ბრიუს ბუენო დე მესკიტას მიერ შემუშავებული საერთაშორისო პოლიტიკის რაციონალური უნიტარული მოქმედი პირის მოდელი გამოიყენა).¹⁶⁴ პარტემის ვარაუდით, ყოველი დაბუფერებული ძალა მეორის წინააღმდეგ ომის დაწყებამდე სარგებლისა და ხარჯების ანალიზს აკეთებს და მოწინააღმდეგეზე თავდასხმის გადაწყვეტილებას მხოლოდ მაშინ მიიღებს, როდესაც ამ ქმედებიდან მოსალოდნელ სარგებელს გასაწევ ხარჯებზე მეტად შეაფასებს. ასეთ ვითარებაში კი, ბუფერის არსებობის ფაქტორი მეტოქე ძალებისათვის ომის დანახარჯებს ზრდის და, აქედან გამომდინარე, მათ შორის მშვიდობის შენარჩუნებას უწყობს ხელს.

როგორც უკვე აღინიშნა, ბუფერული სისტემის მაიკლ პარტემისეულ მოდელში თითოეული დაბუფერებული ძალა 50%-ზე მეტით არის დარწმუნებული იმაში, რომ ორმხრივ სამხედრო კონფლიქტში ბუფერულ სახელმწიფოს დაამარცხებს. შესაბამისად, ბუფერული სახელმწიფოც მის მიერ

¹⁶³ Michael Partem, "The Buffer System in International Relations," *Journal of Conflict Resolution*, Vol. 27, No. 1 (1983): 5.

¹⁶⁴ იხილეთ: Bruce Bueno De Mesquita, *The War Trap* (New Haven: Yale University Press, 1981), და მიხივე "Measuring Systemic Polarity," *Journal of Conflict Resolution*, Vol. 19, No. 2 (1975): 187-216.

რომელიმე დაბუფერებულ ძალასთან დამოუკიდებლად გამკლავების ალბათობას 50%-ზე ნაკლებად აფასებს. თუ ბუფერულ სისტემაში ორი დაბუფერებული ძალა (A და C) და ერთი ბუფერია (B), აღნიშნული ალბათობა (P) ასეთ სახეს მიიღებს:

$$P_{ab} > 0,5 \text{ და } P_{cb} > 0,5$$

სადაც P არის გამარჯვების მოპოვების ალბათობა (50%-ზე მეტი), პირველ შემთხვევაში, A-ს მიერ B-სთან ომში, მეორე შემთხვევაში კი, C-ს მიერ B-სთან ომში. თუმცა, ზუსტად იმის გამოთვლა, თუ 50%-ზე რამდენით მეტია ეს ალბათობა, შეუძლებელი ჩანს. ამასთან, აღნიშნულ ფორმულაში იგულისხმება, რომ A და C მეტ-ნაკლებად თანაბარი სიძლიერის მოქმედი პირები არიან და ამ რეგიონული ბიპოლარული სისტემის უნიპოლარულად გარდაქმნა არ ძალუძთ:

$$P_{ac} - P_{ca} \cong 0 \text{ ან } P_{ca} \cong P_{ac}$$

რაც იმას ნიშნავს, რომ A-ს მიერ C-ს ან პირიქით C-ს მიერ A-ს ომში დამარცხების ალბათობები იდენტურია.¹⁶⁵

ჩემი აზრით, თუ დაბუფერებული ძალები არათანაბარი სიძლიერის არიან ანუ მათი სამხედრო შესაძლებლობები აბსოლუტური მახვენებლებით განსხვავდება, ბუფერული სისტემა მაინც შეიძლება ფუნქციონირებდეს: ეს ხდება მაშინ, როდესაც ბუფერი გეოგრაფიულად გაცილებით ახლოს მდებარეობს უფრო სუსტ დაბუფერებულ ძალასთან, ვიდრე უფრო ძლიერთან. მაგალითად, რუსეთი ამჟამად აშკარად უფრო სუსტია საერთაშორისო ასპარეზზე ვიდრე აშშ, მაგრამ სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოები, თეორიულად შესაძლებელია, ბუფერებად ჩამოყალიბდნენ, ვინაიდან რუსეთის ამ რეგიონებზე ბატონობის სურვილი და მის მიერ ამ მიზნით განხორციელებული ზეწოლა მნიშვნელოვნად აღემატება აშშ-ს მოტივაციასა და შესაბამის ქმედებებს. ასეთ შემთხვევაში გეოგრაფიული

¹⁶⁵ Michael Partem, "The Buffer System in International Relations," *Journal of Conflict Resolution*, Vol. 27, No. 1 (1983): 7-10.

სიახლოვე შედარებითი სისუსტის კომპენსაციას ახდენს, რაც შემდეგი ფორმულით შეიძლება გამოიხატოს:

$$P_{ab} - P_{ba}$$
$$PQ_{ab} = \frac{\quad}{D_{ab}}$$

სადაც PQ_{ab} როგორც ალბათობა იმისა, რომ A გავლენას დაამყარებს B-ზე, ანუ მას თავის კვაზიბუფერად გადააქცევს, პირდაპირ პროპორციულია A-სა და B-ს სიძლიერის (ერთმანეთის ომში დამარცხების ალბათობების) სხვაობისა და უკუპროპორციულია მათ შორის გეოგრაფიული მანძილის სიდიდისა (D_{ab}). რა თქმა უნდა, ეს ფორმულა სრულად ვერ ახსნის ბუფერული სისტემის კვაზიბუფერულად გარდაქმნის ან ბუფერულის ნაცვლად კვაზიბუფერული სისტემის შექმნის მიზეზებს, თუნდაც იმიტომ, რომ მასში ცვლადის სახით ჩართული არაა B-ს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია და სხვა რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც ამ უკანასკნელზე გავლენას ახდენს, მაგრამ უმეტეს შემთხვევებში ეს ფორმულა, ვფიქრობ, მუშაობს. მაგალითად, ის განმარტავს იმას, თუ რატომ იყო ცივი ომის დროს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობა საბჭოთა კავშირის კვაზიბუფერი, ხოლო კანადა და ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყანა გარკვეული დროის მანძილზე – აშშ-ის კვაზიბუფერი. თუმცა, ის ვერ ხსნის, მაგალითად, იმას, თუ რატომ მოექცა 1960-იანი წლებიდან კუბა საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში ან რატომ იზიდავს 1990-იანი წლებიდან ერთი და იმავე რეგიონის (სამხრეთ კავკასიის) ორ სახელმწიფოს (კერძოდ, საქართველოსა და აზერბაიჯანს) დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკური სტრუქტურები, მაშინ, როდესაც მესამე სახელმწიფო (სომხეთი) აშკარად რუსეთისაკენ იხრება.

თუ ბუფერულ სისტემაში ძალთა ბალანსი შეიცვლება, მაგალითად, თუ ბუფერი იმდენად გაძლიერდება, რომ რომელიმე დაბუფერებული ძალა მის ორმხრივ კონფლიქტში დამარცხების შესაძლებლობას 50%-ზე ნაკლებად შეაფასებს (სხვა სიტყვებით, თუ ძალის ორ პოლუსს შორის ძალის მესამე პოლუსი გაჩნდება), ბუფერული სისტემა არსებობას შეწყვიტავს. მართალია, ისტორია ამგვარი ფაქტებით მდიდარი არ არის, მაგრამ რამდენიმე მაგალითის მოყვანა მაინც შეიძლება: XIX საუკუნის მეორე ნახევარში პრუსიამ გერმანული

მიწების გაერთიანების პროცესი დაასრულა და სისუსტის არეალიდან ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს იმპერიად გადაიქცა;¹⁶⁶ XI საუკუნის ბოლოს, დავით აღმაშენებლის მეფობის ხანაში (1089-1125 წლები), საქართველოს სამეფო რეგიონის უმთავრეს ძალის ცენტრად ჩამოყალიბდა და ვრცელ გეოპოლიტიკურ სივრცეზე – „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდან არაგაწამდე“ – გაბატონდა, XIII საუკუნის დამდეგისათვის კი, თამარ მეფის მმართველობის პერიოდში (1184-1213 წლები), თავისი გავლენის სფერო კიდევ უფრო შორს განავრცო; და სხვა.

ბუფერს, როგორც წესი, საკმაოდ „მცირე წონა“ აქვს იმისათვის, რომ ამა თუ იმ დაბუფერებულ ძალასთან ალიანსში შესვლით რეგიონული სისტემის ძალთა სასწორი მის მხარეს გადაწონოს. ამდენად, B-ს გავლენა A-სა და C-ს შორის საომარი დაპირისპირების შედეგებზე უკიდურესად მცირეა, რაც შემდეგი ტოლობით შეიძლება გამოისახოს:

$$P_{abc} \leq 0,5 \text{ და } P_{cba} \leq 0,5$$

ე.ი. თითოეული დაბუფერებული ძალის მიერ აღქმული ალბათობა იმისა, რომ მეტოქის განადგურებას შეძლებს, თუ ბუფერის სამხედრო ძალას დაიმატებს, 50%-ზე დაბალია ან, საუკეთესო შემთხვევაში, 50%-ს უდრის. აქედან გამომდინარე, სამხედრო თვალსაზრისით, ბუფერი დაბუფერებული ძალებისათვის არაეფექტიანი მოკავშირეა, თუმცა ის მათ მიერ ერთმანეთზე შეტევის განსახორციელებელ კორიდორად შეიძლება გამოიყენებოდეს.¹⁶⁷

ბუფერული სისტემის თითოეულ ელემენტს განსხვავებული დიაპაზონის ინტერესები აქვს, რომელთა ჩამონათვალი ასეთია:

- A ძალას შეიძლება სურდეს:
 - C-ს დამარცხება;
 - B-ს გაკონტროლება;

¹⁶⁶ Michael Partem, “The Buffer System in International Relations,” *Journal of Conflict Resolution*, Vol. 27, No. 1 (1983): 7-9.

¹⁶⁷ Michael Partem, “The Buffer System in International Relations,” *Journal of Conflict Resolution*, Vol. 27, No. 1 (1983): 10.

- C ძალას შეიძლება სურდეს:
 - A-ს დამარცხება;
 - B-ს გაკონტროლება;

სიტყვა „გაკონტროლებაში“ კი იგულისხმება, რომ თითოეულ დაბუფებულ ძალას სხვადასხვა დროს შეიძლება უნდოდეს:

- ბუფერის ანექსია;
 - ბუფერის მოკავშირედ/კვაზიბუფერად გადაქცევა;
 - ბუფერის ნეიტრალურად შენარჩუნება;
- B ბუფერს შეიძლება სურდეს:
 - ნეიტრალურობა A და C ძალებს შორის კონფლიქტში;
 - ალიანსი A დაბუფებულ ძალასთან;
 - ალიანსი C დაბუფებულ ძალასთან;
 - ალიანსი მესამე D ძალასთან;
 - მესამე D ძალას (თუ ის არსებობს) შეიძლება სურდეს, ხელი შეუშალოს A და C ძალების გაძლიერებას B ბუფერის დამორჩილების ხარჯზე.

თუ ბუფერი ერთ-ერთ დაბუფებულ ძალასთან სამხედრო ალიანსს გააფორმებს, ბუფერული სისტემა კვაზიბუფერულ სისტემას დაუთმობს ადგილს, რომელშიც A (ან C) ძალა კვაზიბუფერად გადაქცეული ყოფილი ბუფერის მეშვეობით შეაკავებს ან შეუტევს მეტოქე C (ან A) ძალას (იხილეთ ნახაზი 2 დანართში 1).

ჯონ ჩეის აზრით, ბუფერული სისტემა შენარჩუნდება მანამ, სანამ დაბუფებულ მხარეებს შორის ძალის, ინტერესებისა და მიზნების ბალანსი იარსებებს. როდესაც ეს პირობები დაირღვევა, რაც რომელიმე დაბუფებული ძალის მიერ ბუფერის დაქვემდებარებით შეიძლება დასრულდეს, ბუფერული

სისტემა მოიშლება.¹⁶⁸ ამდენად, ბუფერული სისტემის კვაზიბუფერულად გარდაქმნას დაბუფერებულ ძალთა სიძლიერისა და ბუფერით დაინტერესების დონეთა შორის წონასწორობის დარღვევა იწვევს.

ოღაც კნუდსენის შეხედულებით, ბუფერული სისტემის შენარჩუნებას შემდეგი ფაქტორები უწყობს ხელს:

1. დაბუფერებული ძალების შესაძლებლობათა თანასწორობა. რაც უფრო სიმეტრიულია (თანაბარია) მეტოქე დიდი სახელმწიფოების ძალა, მით უფრო ნაკლებად ახდენს გავლენას რომელიმე მათგანი ბუფერის საგარეო პოლიტიკაზე და პირიქით, რაც უფრო ასიმეტრიულია (უთანაბროა) მეტოქეთა შესაძლებლობები, მით უფრო დიდია შანსი იმისა, რომ რომელიმე მათგანი კონტროლს დაამყარებს ბუფერზე და ბუფერული სისტემა სხვა სისტემით შეიცვლება. ასეთ დროს ბუფერი იმ მხარეს დაემორჩილება, რომლისკენაც გადახრილი აღმოჩნდება ძლიერების სასწორი;
2. ბუფერული არეალის ერთნაირი სტრატეგიული მნიშვნელობა (მიმზიდველობა) დაბუფერებული ძალებისათვის და მაღალი ალბათობა იმისა, რომ თითოეული მათგანი მეორის მიერ სისტემაში სტატუს კვოს დარღვევის მცდელობას წინ აღუდგება. ბუფერს შეიძლება გააჩნდეს ბუნებრივი რესურსები, სამხედრო მიზნებისათვის გამოსაყენებელი ტერიტორია ან კიდევ სხვა ისეთი რამ, რაც მეტოქე ძალებს მიიზიდავს. დიდი სახელმწიფოების ინტერესის გამომწვევი გეოსტრატეგიული მახასიათებლები ბუფერისათვის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგების მომტანი შეიძლება იყოს (ანუ მის როგორც აქტივს, ისე პასივს წარმოადგენდეს). თუ ბუფერის სტრატეგიული მნიშვნელობა ორივე ძალისთვის თანაბარი არაა, ეს ბუფერული სისტემის არასტაბილურობას იწვევს, რაც მისი გაქრობით ან გარდაქმნით შეიძლება დასრულდეს, ხოლო თუ ბუფერისადმი ინტერესი ორივე მხრიდან თანაბრად დიდია, ეს ბუფერული სისტემის შენარჩუნებას უწყობს ხელს, სადაც დაბუფერებული ძალების მიერ ბუფერით ერთობლივად „სარგებლობა“ ხდება;

¹⁶⁸ John Chay, “Korea, a Buffer State,” in *Buffer States in World Politics*, ed. John Chay and Thomas Ross (Boulder: Westview Press, 1986), 194.

3. თითოეული მეტოქე ძალისათვის ბუფერის დაქვემდებარებასთან დაკავშირებული დიდი დანახარჯები, რაც ზემოგანხილული ფაქტორების გარდა, პირდაპირ უკავშირდება ბუფერის შინაგან სიძლიერეს, რომელიც, თავის მხრივ, ემყარება: ა) ბუფერის თავდაცვისუნარიანობას (სამხედრო პოტენციალს), ბ) ბუფერის პოლიტიკური ელიტისა და საზოგადოების ეროვნული დამოუკიდებლობისადმი ერთგულებას, და გ) ბუფერის შიდა ერთიანობას/შეკავშირებულობას: რაც უფრო დიდია პოლიტიკური და საზოგადოებრივი უთანხმოება ბუფერული სახელმწიფოს შიგნით, მით უფრო სუსტია ის საერთაშორისო ასპარეზზე.¹⁶⁹

ბუფერულ სისტემას, რომლის ცენტრში მიუმხრობელი, დაბუფერებული ძალების მიერ გაუკონტროლებელი სახელმწიფოები იმყოფებიან, პერიფერიებზე კი – დაბუფერებული ძალების გავლენის ქვეშ მყოფი სახელმწიფოები, ოღავე კნუდსენი ბუფერულ კომპლექსს უწოდებს (იხილეთ *ნახაზი 3* დანართში 1). ბუფერულ კომპლექსში ნეიტრალური ბირთვის ბუფერის ეფექტი ექსტერნალიის სახით სატელიტურ პერიფერიებს გადაეცემა. თუ ბირთვის სახელმწიფოები აქტიურად თანამშრომლობენ და მხარს უჭერენ ერთმანეთს დიდ ქვეყნებთან ურთიერთობაში, მათ დამატებითი ძალა უჩნდებათ და საკუთარი ავტონომიურობისა და მიუმხრობლობის უკეთ დაცვა შეუძლიათ (ამგვარი რეგიონული სოლიდარობის შესანიშნავი მაგალითია ჩრდილოეთ ევროპა 1948 წლიდან). ბუფერული კომპლექსის სტაბილურობა გარკვეულწილად მისი შემადგენელი თითოეული ბუფერული ელემენტის მიერ დიდი სახელმწიფოების ზეწოლისადმი წინააღმდეგობის გაწევის ხარისხზეა დამოკიდებული. ძლიერმა სახელმწიფოებმა ბუფერულ არეალზე საკუთარი გავლენის გავრცელება შეიძლება გადაწყვიტონ და, ამის შედეგად, მისი დანაწილებაც კი მოახდინონ. თუ ბუფერული კომპლექსის მონაწილე რომელიმე ბუფერული ქვეყანა დიდ სახელმწიფოსთან ცალმხრივად ალიანსს გააფორმებს, ნეიტრალური ბირთვის შიგნით უთანხმოება გაღვივდება, მისი ბუფერის ეფექტი შესუსტდება და ბუფერული კომპლექსი დაიშლება. ოღავე კნუდსენის მოსაზრებით, ევროპა ბუფერულად კომპლექსად 1945 წლის შემდეგ ჩამოყალიბდა [მან ამ სახით,

¹⁶⁹ Olav Knudsen, "Eastern Europe: The Buffer Effect of a Cordon Sanitaire," in *Buffer States in World Politics*, ed. John Chay and Thomas Ross (Boulder: Westview Press, 1986), 91.

სავარაუდოდ, 1991 წლამდე იარსება], მაგრამ მის ცენტრში მდებარე გაუკონტროლებელი ბირთვის – შვედეთის, ფინეთის, შვეიცარიისა და ავსტრიის – ბუფერის ეფექტი საკმაოდ სუსტი იყო, ვინაიდან ცივ ომში დაპირისპირებული სუპერსახელმწიფოები მაინც ახერხებდნენ ერთმანეთთან შეხებას ევროპის ტერიტორიაზე, კერძოდ, ორად გაყოფილ გერმანიაში.¹⁷⁰

ამრიგად, ბუფერული სისტემა საერთაშორისო სისტემის შემადგენელი რეგიონული მასშტაბის ერთგვარი ქვესისტემაა, რომელიც ბუფერული და მის მიერ დაბუფრებული ელემენტებისაგან შედგება და რომლის სტაბილურობა, ერთი მხრივ, დაბუფრებული ძალების შესაძლებლობებისა და ბუფერით დაინტერესების წონასწორობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ბუფერის დამოუკიდებლობასა და ნეიტრალურობაზეა დამოკიდებული. საკმარისია, ამ პირობებიდან ერთ-ერთი მაინც დაირღვეს, რომ ბუფერული სისტემა ან კვაზიბუფერულ სისტემად გარდაიქმნება ან სრულიად სხვა ტიპის ქვესისტემას დაუთმობს ადგილს.

¹⁷⁰ Olav Knudsen, “Eastern Europe: The Buffer Effect of a Cordon Sanitaire,” in *Buffer States in World Politics*, ed. John Chay and Thomas Ross (Boulder: Westview Press, 1986), 93-95, 107.

თავი მეორე. შიდა ბუფერები

ბუფერული და კვაზიბუფერული სახელმწიფოების ფენომენთან მჭიდროდ არის დაკავშირებული როგორც სახელმწიფოთა შემადგენელი, ისე ეროვნულ სუვერენიტეტს მიღმა დარჩენილი გარკვეული ტერიტორიების საერთაშორისო პოლიტიკაში ბუფერული და კვაზიბუფერული მიზნებისათვის გამოყენება.

ამ კონტექსტში, ერთი მხრივ, ცნების „ბუფერული ზონა“ ჩემს მიერ პირველ თავში ნახსენები მეორე განმარტების მოხმობაა საჭირო, რომლის თანახმადაც ეს არის კონფლიქტურ ან სასაზღვრო რეგიონში, მხარეთა გამიჯნვის მიზნით, საერთაშორისო შეთანხმებით დადგენილი სპეციალური დემილიტარიზებული ზონა. ამგვარი ტერიტორია მეტწილად ამა თუ იმ სახელმწიფოს შემადგენლობაში შედის. თუმცა, ზოგჯერ სახელმწიფოთა საზღვრებს შორის საგანგებოდ არის დატოვებული ისე, რომ არცერთის იურისდიქციას არ ექვემდებარება და ნეიტრალური ან საკამათო სტატუსით სარგებლობს. მეორე მხრივ კი, საყურადღებოა სახელმწიფოთა მიერ, თავდაცვის სტრატეგიისა თუ საგარეო პოლიტიკის განხორციელებისას, როგორც თავიანთი, ისე, უფრო ხშირად, სხვა სახელმწიფოთა კუთვნილი გარკვეული რეგიონებისათვის ბუფერული და კვაზიბუფერული ფუნქციების მინიჭება. ორივე საკითხის ილუსტრაცია შესაბამისი მაგალითებით არის შესაძლებელი.

დემილიტარიზებული ზონები XX საუკუნის დასაწყისიდან მომრავლდა, როგორც კოლონიალიზმის პოლიტიკის შედეგი. პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში ამგვარი ტერიტორიები ვერსალის წესრიგთან და ერთა ლიგის სამანდატო სისტემასთან ასოცირდებოდა. მაგალითად, 1919 წლის ვერსალის ხელშეკრულებით გერმანიის დასავლეთში რაინის დემილიტარიზებული ზონა შეიქმნა, როგორც ბუფერი გერმანიასა და საფრანგეთს შორის, რომელმაც ამ სახით 1930-1936 წლებში იარსება, ვიდრე ადოლფ ჰიტლერმა მისი რემილიტარიზაცია არ მოახდინა; 1922 წლის უყაირის კონვენციით საუდის არაბეთსა და ქუვეითს შორის, ასევე ერაყსა და საუდის არაბეთს შორის ნეიტრალური ზონები გაჩნდა, რომლებიც ამ ქვეყნებმა მოგვიანებით, 1965-1970 და 1981-1991 წლებში, დაინაწილეს; და სხვა. ვერსალის წესრიგის შესუსტებასაც თან ახლდა დემილიტარიზებული ზონების დროებით ფორმირება. მაგალითად, 1933 წელს იაპონიამ, მანჯურიის ოკუპაციისა და მის ტერიტორიაზე კვაზიბუფერული პოლიტიკური ერთეულის მანჯოუ-გოს

დაფუძნების კვალდაკვალ, ჩინეთს ტანგუს ზავზე მოაწერინა ხელი, რომლითაც მანჯოუ-გოსა და დანარჩენ ჩინეთს შორის დემილიტარიზებული ბუფერული ზონა შექმნა. თუმცა, 1937 წელს თვითონვე შეიჭრა მასში, როდესაც ჩინეთთან საომარი მოქმედებების განახლება გადაწყვიტა; და სხვა.¹⁷¹

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კოლონიური იმპერიების დაშლას, ისევე როგორც ცივი ომის დასასრულს საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის რღვევას, მრავალ ახალდამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის ტერიტორიული დავებისა და მათ საზღვრებში რასობრივ, ეთნიკურ თუ რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტების გაჩაღება მოჰყვა, რომელთა დარეგულირება-კონსერვაციის მიზნით დემილიტარიზებული ზონების ჩამოყალიბებისა და მათი საერთაშორისო ორგანიზაციების (ძირითადად, გაერო-ს) მიერ მონიტორინგის პრაქტიკა გავრძელდა. თუმცა, ხშირ შემთხვევაში ამგვარი ზონები დაპირისპირებულ მხარეთა შორის კონფლიქტის შემაკავებელი მხოლოდ დროებითი ბარიერი აღმოჩნდა. მაგალითისათვის, ისრაელისა და არაბული სახელმწიფოების 1948 წლის ომის შემდგომ, 1949 წლის ხელშეკრულებებით, ერთი მხრივ ისრაელს, ხოლო მეორე მხრივ სირიას, ეგვიპტესა და იორდანიას შორის ექვსი დემილიტარიზებული ზონა შეიქმნა, რომლებზეც გაერო-ს მეთვალყურეობა დაწესდა. თუმცა, 1956 წლის სუეცის კრიზისისა და 1967 წლის ექვსდღიანი ომების დროს დაპირისპირებულმა მხარეებმა ამ ზონების თავიანთი სამხედრო მიზნებისათვის გამოყენება ადვილად შეძლეს; 1954 წლის უენევის კონფერენციაზე, რომლითაც ინდოჩინეთის პირველი ომი დასრულდა, ჩრდილოეთ და სამხრეთ ვიეტნამს შორის, მე-17 პარალელისა და ბენ ჰაის მდინარის გასწვრივ, დემილიტარიზებული ზონა დადგინდა, მაგრამ ათი წლის შემდეგ მან ვიეტნამის ომის დაწყებას ხელი ვერ შეუშალა;¹⁷² საქართველო-რუსეთს შორის 1992 წლის 24 ივნისს სოჭში ხელმოწერილი „შეთანხმება ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პრინციპების შესახებ“ და 1994 წლის 14 მაისს მოსკოვში ქართულ და აფხაზურ მხარეთა შორის დადებული „შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ“ საფუძველად დაედო შემდგომში საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე დემილიტარიზებული და

¹⁷¹ “Demilitarized Zone,” *Wikipedia: The Free Encyclopedia* (Wikimedia Foundation Inc., updated 17.10.2009), http://en.wikipedia.org/wiki/Demilitarized_zone (accessed 12.11.2009).

¹⁷² *Ibid.*

შეზღუდული შეიარაღების ზონის ფორმირებას, რომელთა შორის იყო ცენტრალურ საქართველოში: ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონა – ტერიტორია ქ. ცხინვალის ცენტრიდან გარშემო 15 კმ-ის რადიუსში, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის უსაფრთხოების კორიდორი – „სამხრეთ ოსეთის“ ყოფილი ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული საზღვრიდან ორივე მხარეს 7-7 კმ, შერეული სამშვიდობო ძალების პასუხისმგებლობის ზონა შემდეგი საზღვრებით – სამხრეთიდან გოდორას მთა, სოფ. ალი, სოფ. ქვენატკოცა, სოფ. ვარიანი, სოფ. კარალეთი, ნიშნული 958,0, ხოლო ჩრდილოეთიდან ლებეურის მთა, ნიშნული 1653,4, სოფ. ფაწა, წიარას მთა, სოფ. ზემო ზონკარი, სოფ. ქვემო ბიყარი, სოფ. შუა ზაყორი, სოფ. იკოთი, დასავლეთ საქართველოში კი: აფხაზეთის უსაფრთხოების ზონა – მდინარე ენგურიდან ორივე მხარეს 12-12 კმ და აფხაზეთის შეზღუდული შეიარაღების ზონა – უსაფრთხოების ზონიდან ორივე მხარეს დამატებით 12-12 კმ. საქართველოს მცირე ტერიტორიაზე ამ სიდიდის დემილიტარიზებული და შეზღუდული შეიარაღების ზონების არსებობა მოსკოვის მიერ თბილისზე კაბალურად თავს მოხვეული პირობა იყო, რომელიც საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტს მნიშვნელოვნად ზღუდავდა. ამის მიუხედავად, ქართული მხარე ამ შეთანხმებებს ძირითადად ასრულებდა მაშინ, როდესაც რუსეთის ხელისუფლება და მის მიერ მხარდაჭერილი „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის დე ფაქტო რეჟიმები, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, კონფლიქტის ზონების უსაფრთხოების რეჟიმს მუდმივად არღვევდნენ: რუსული სამშვიდობო ძალები არათუ თვალს ხუჭავდნენ ამ არეალებში სეპარატისტთა არალეგალური გასამხედროებელი ფორმირებების ყოფნაზე, არამედ ყველა სახის სამხედრო დახმარებას უწევდნენ მათ. ეს პროცესი განსაკუთრებით 2004 წლიდან გააქტიურდა, რაც, ორივე კონფლიქტის პერიოდული ესკალაციის ფონზე, 2008 წლის გაზაფხულიდან, ფაქტობრივად, რუსულ სამხედრო ინტერვენციაში გადაიზარდა და იმავე წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომით დასრულდა;¹⁷³ და ა.შ.

¹⁷³ შეთანხმება ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პრინციპების შესახებ, შერეული საკონტროლო კომისიის ოქმი № 3, შერეული საკონტროლო კომისიის ოქმი № 9, შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ, კრებულში: *საქართველოს რეგიონალური კონფლიქტები („სამხრეთ ოსეთი“, აფხაზეთი) დოკუმენტებში, წინასიტორია და თანამედროვეობა 1917-2008*, რედ. თამაზ დიასამიძე (თბილისი: რეგიონალიზმის კვლევის ცენტრი, 2008),

ამგვარი ტენდენციის მიუხედავად, მსოფლიოში დღემდე რჩება არაერთი დემილიტარიზებული ზონა, რომელთა ნაწილი მნიშვნელობას სრულიად მოკლებულია იმდენად, რამდენადაც მათ მიერ დაშორიშორებულ სახელმწიფოებს შორის უთანხმოება, სხვა პროცესების შედეგად, დიდი ხნის წინ ამოიწურა. მაგალითად, ფინეთის ეთნიკური შეკვებით დასახლებული ალანდის კუნძულების ავტონომია, რომელიც, როგორც ბუფერი ფინეთსა და შვედეთს შორის, ერთა ლიგამ 1921 წელს დემილიტარიზებულ ზონად გამოაცხადა; ასევე, ბრიტანეთის კუთვნილ გიბრალტარსა და ესპანეთს შორის 1729 წლიდან არსებული ვიწრო ნეიტრალური ზოლი, რომლის გასწვრივაც დღემდე მხოლოდ იმიტომ არის დობე გავლებული, რომ გიბრალტარი ევროკავშირის საბაჟო კავშირის წევრი არ არის; და სხვა.¹⁷⁴

თუმცა, დემილიტარიზებული ზონების გარკვეული ნაწილი ამჟამადაც აქტუალურობას არ კარგავს და თავის ბუფერულ ფუნქციას ასრულებს – მართალია, კონფლიქტების საბოლოოდ მოგვარებას ვერ უზრუნველყოფს, მაგრამ, ინციდენტების პრევენციის გზით, მხარეთა შორის საომარი მოქმედებების განახლებას აფერხებს. დღეისათვის მსოფლიოში მოქმედი დემილიტარიზებული ზონებიდან აღსანიშნავია:

- კორეის დემილიტარიზებული ზონა, რომელიც 1953 წელს კორეის ომის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შედეგად შეიქმნა. ის 38-ე პარალელთან ახლოს გამავალ სამხედრო დემარკაციის ხაზს ანუ ჩრდილოეთ კორეასა და სამხრეთ კორეას შორის არსებულ ფაქტობრივ საზღვარს მიჰყვება და მისგან ჩრდილოეთით და სამხრეთით 2-2 კილომეტრს მოიცავს. მისი სიგრძე 248 კმ, ხოლო საერთო სიგანე 4 კმ-ია. ორივე სახელმწიფოს საკუთარი სამხედრო შენაერთები ამ ზონის მიჯნებთან ჰყავს განლაგებული. ზონაში ჩრდილო კორეული სოფელი კიჯეონგ-დონგი და სამხრეთ კორეული

http://rrc.ge/law/shetanxmeb_1992_06_24_q.htm?lawid=368&lng_3=ge,

http://rrc.ge/law/Skkprot3_1992_07_12_Q.htm?lawid=1237&lng_3=ge,

http://rrc.ge/law/SKKprot9_1999_03_31_Q.htm?lawid=884&lng_3=ge,

http://rrc.ge/law/xelsh_1994_05_14_q.htm?lawid=428&lng_3=ge (accessed 12.11.2009).

¹⁷⁴ “Demilitarized Zone,” *Wikipedia: The Free Encyclopedia* (Wikimedia Foundation Inc., updated 17.10.2009) , http://en.wikipedia.org/wiki/Demilitarized_zone (accessed 12.11.2009).

სოფელი დაესეონგ-დონგი არიან მოქცეულნი, ხოლო დასახლებულ პუნქტ პანმუნჯომზე გაერო-ს კონტროლი ვრცელდება;¹⁷⁵

- გაერო-ს ბუფერული ზონა კვიპროსში, რომელიც 1974 წელს თურქეთის არმიის ჩრდილოეთ კვიპროსში გადასხმისა და იქ სეპარატისტული ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის გამოცხადების შემდგომ ჩამოყალიბდა. ეს ზონა 1964 წელს გაერო-ს მიერ დადგენილ „მწვანე ხაზს“ მიჰყვება და ქვეყნის დედაქალაქს ნიქოზიას კვეთს. მისი სიგრძე 180 კმ-ია, ხოლო საერთო სიგანე 3,3 მეტრიდან 7,4 კილომეტრამდე მერყეობს. მასზე სრულ კონტროლს კვიპროსში გაერო-ს სამშვიდობო მისია ახორციელებს;¹⁷⁶
- დნესტრისპირეთის უსაფრთხოების ზონა, რომელიც 1992 წელს მოსკოვში მოლდოვასა და რუსეთს შორის დნესტრისპირეთის შეიარაღებული კონფლიქტის დარეგულირების შესახებ დადებული შეთანხმების საფუძველზე შეიქმნა. ის მდინარე დნესტრის ორივე მხარეს 10-10 კმ-ზეა გადაჭიმული და დნესტრისპირეთის სეპარატისტულ რესპუბლიკას დანარჩენი მოლდოვისაგან ჰყოფს. მის ტერიტორიაზე ქალაქი ბენდერია მოხვედრილი;¹⁷⁷
- გაერო-ს ძალთა დაშორიშორების დამკვირვებელთა ზონა გოლანის მაღლობებზე, რომელიც 1974 წელს, იომ კიპურის ომის შემდგომ, დაარსდა და ისრაელის მიერ ოკუპირებულ გოლანის მაღლობებსა და სირიის დანარჩენ ტერიტორიას ერთმანეთისაგან აცალკევებს. მისი სიგრძე ჩრდილოეთიდან სამხრეთით 80 კმ-ს აღწევს, ხოლო სიგანე 200 მეტრიდან 10 კმ-მდე მერყეობს.¹⁷⁸

¹⁷⁵ *Background Note: North Korea* (Washington, DC: US Department of State, August 2009), <http://www.state.gov/r/pa/ei/bgn/2792.htm> (accessed 15.11.2009); *Background Note: South Korea* (Washington, DC: US Department of State, October 2009), <http://www.state.gov/r/pa/ei/bgn/2800.htm> (accessed 15.11.2009).

¹⁷⁶ “The Buffer Zone,” United Nations Peacekeeping Force in Cyprus (UNFICYP), http://www.unficy.org/nqcontent.cfm?a_id=1592&tt=graphic&lang=11 (accessed 20.11.2009).

¹⁷⁷ *Transdnestrian Conflict: Origins and Main Issues*, OSCE Background information paper (Vienna: OSCE Conflict Prevention Centre, 1994), http://www.osce.org/documents/mm/1994/06/455_en.pdf (accessed 20.11.2009).

¹⁷⁸ “UNDOF Background,” United Nations Disengagement Observer Force (UNDOF), <http://www.un.org/en/peacekeeping/missions/undof/background.shtml> (accessed 20.11.2009).

- ესპანური ქალაქების მელილიასა და სეუტას მაროკოსაგან განმაცალკევებელი ბარიერები, რომლებიც რამდენიმე მაღალი ღობისა და მათ შორის გამავალი გზებისაგან შედგება. არეალის პატრულირებას ესპანეთის უნდარმერია ახორციელებს, რითაც ის ევროკავშირს აფრიკიდან არალეგალური ემიგრანტებისა და კონტრაბანდის შემოდინებისაგან იცავს;¹⁷⁹ და სხვა. (იხილეთ რუკები დანართში 3).

ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიისა და ექსპანსიონისტური საგარეო პოლიტიკის მოთხოვნები ზოგჯერ სახელმწიფოებს თავიანთ ან სხვა ქვეყნების საზღვრებში შემაგალი ტერიტორიების ბუფერებად და კვაზიბუფერებად გამოყენებისაკენ უბიძგებს. დიდი/ძლიერი სახელმწიფოები ამას ხშირად მათ შორის მდებარე პოტენციური ან უკვე შექმნილი ბუფერული არეალის დანაწილების შემდგომ აკეთებენ: ახალშექმნილ სასაზღვრო პროვინციებს თავდაცვით ზღუდედ ან მეტოქეზე თავდასხმისათვის პლაცდარმად აქცევენ. როგორც წინა თავებში გამოჩნდა, ისტორიას იმპერიების მიერ ბუფერული სახელმწიფოების დანაწილებისა და მათი ცალკეული რეგიონების საკუთარ სამხედრო სტრატეგიაში შიდა ბუფერულ/კვაზიბუფერულ ელემენტებად ჩართვის არაერთი შემთხვევა ახსოვს.

ამრიგად, სახელმწიფოთა შიდა ბუფერები/კვაზიბუფერები ძირითადად დიდ/ძლიერ სახელმწიფოთა გავლენის სფეროთა ექსპანსიის პროცესში ჩნდება. თუმცა, არსებობს მათი სხვა მიზნებით შექმნის ისტორიული მაგალითებიც, რომელთაგან ცალკე აღნიშვნის ღირსია 1950-იან წლებში აპარტიდის რეჟიმის მიერ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის (დღევანდელი ნამიბიის) ტერიტორიაზე შავკანიანთა 20 ავტონომიის, ეწ ბანტუსტანების ფორმირება და შემდგომ 1970-იან წლებში ოთხი მათგანისათვის (ტრანსკეი, ბოპუტატსვანა, ვენდა, ცისკეი) დამოუკიდებლობის მინიჭება, რითაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფლება, ერთი მხრივ, შავკანიანი მოსახლეობის საკუთარი სახელმწიფოდან განდევნას, მეორე მხრივ კი,

¹⁷⁹ *Visit to Ceuta and Melilla – Mission Report*, Technical mission to Morocco on illegal immigration, 7-11 October 2005, EUROPA, Press Releases,

<http://europa.eu/rapid/pressReleasesAction.do?reference=MEMO/05/380&format=HTML&aged=0&language=EN&guiLanguage=en> (accessed 20.11.2009).

ჩრდილოეთით მდებარე შავი აფრიკის ახალდმოცენებილი ქვეყნებისა და მათ მიერ მხარდაჭერილი შავი ნაციონალიზმისაგან თავის დაცვას ცდილობდა.¹⁸⁰ 1990 წელს ნამიბიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისა და 1994 წელს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აპარტეიდის რეჟიმის დამხობის შემდეგ ბანტუსტანები გაუქმდა და მათი ტერიტორია ამ ორი ქვეყნის შემადგენლობაში შევიდა.

დიდი სახელმწიფოების ძალაუფლებისა და გავლენისათვის ბრძოლის გარდა, ქვეყნების სასაზღვრო რეგიონების შიდა ბუფერებად/კვაზიბუფერებად ჩამოყალიბებას მათ ტერიტორიაზე სეპარატისტული მოძრაობების გაჩენაც უწყობს ხელს, რომლებსაც მეზობელი სახელმწიფოები ხშირად თავიანთი ინტერესებისათვის – რეგიონში გავლენის ან, სულაც, საზღვრების გაფართოებისათვის – იყენებენ.

შიდა ბუფერებად და კვაზიბუფერებად მსოფლიო ისტორიასა და თანამედროვეობაში მრავალი ტერიტორიის წარმოდგენა შეიძლება. ამისათვის ჩემს მიერ პირველ თავში ბუფერული/კვაზიბუფერული სახელმწიფოს განსაზღვრების ოთხი კრიტერიუმი (*გეოპოლიტიკური მდებარეობა, ძალა, სავაჭრო-პოლიტიკური ორიენტაცია, უსაფრთხოების ინტერესთა შეჯახება*), საერთაშორისო სამართლის მიერ სუვერენულად აღიარებული პოლიტიკური ერთეულის ნაცვლად, მის შემადგენლობაში მყოფ რეგიონს ან, უბრალოდ, ტერიტორიას უნდა მივუსადაგოთ. დღეისათვის არსებული შიდა ბუფერული/კვაზიბუფერული რეგიონების/ტერიტორიების მაგალითებად გამოდგება:

- ტაივანი, როგორც 1949 წლიდან დღემდე აშშ-ის კვაზიბუფერი ჩინეთში. მართალია, 1979 წლიდან აშშ აღარ აღიარებს ტაივანის დამოუკიდებლობას, მაგრამ ამავე წელს მიღებული „ტაივანთან ურთიერთობის აქტის“ თანახმად, მასთან ყველა სფეროში „არაოფიციალურ“ ურთიერთობას აგრძელებს, მათ შორის თავდაცვით შეიარაღებას აწვდის, პეკინსა და ტაიპეის შორის ურთიერთობების

¹⁸⁰ Sheridan Johns, “Southern Africa: Buffer States without a Conventional Buffer System,” in *Buffer States in World Politics*, ed. John Chay and Thomas Ross (Boulder: Westview Press, 1986), 57.

მშვიდობიანად მოგვარების აუცილებლობას უსვამს ხაზს და რეგიონში სტაბილურობას საკუთარ ინტერესად აცხადებს;¹⁸¹

- ჯამუ და ქაშმირი, როგორც 1947 წლიდან ინდოეთს, პაკისტანსა და ჩინეთს შორის ფაქტობრივად შიდა კვაზიბუფერებად დანაწილებული ტერიტორია;
- გოლანის მაღლობები, როგორც 1967 წლიდან დღემდე ისრაელის კვაზიბუფერი სირიაში;
- მთიანი ყარაბაღი და მის გარშემო განლაგებული 7 რაიონი (კელბაჯარი, ლაჩინი, კუბათლი, ჯებრაილი, ზანგელანი, აგდამი, ფიზული), როგორც 1993 წლიდან სომხეთის კვაზიბუფერები აზერბაიჯანში. მთიანი ყარაბაღის სეპარატისტული რესპუბლიკა ამ 7 რაიონს „უსაფრთხოების სარტყელს“ უწოდებს და აზერბაიჯანისათვის მათ დაბრუნებას „ტერიტორიული მთლიანობის“ აღდგენამდე, ანუ შაუმიანის, მარტაკერტისა და მარტუნინის რაიონების შემოერთებამდე არ აპირებს. ამასთან, სეპარატისტები მთიანი ყარაბაღის სომხეთთან შემაერთებელ ლაჩინის კორიდორზე კონტროლის დათმობას არცერთ შემთხვევაში არ თანხმდებიან;
- „სამხრეთ ოსეთი“ და აფხაზეთი, როგორც ნაწილობრივ 1992-93 წლებიდან, ხოლო მთლიანად 2008 წლის აგვისტოდან, რუსეთის კვაზიბუფერები საქართველოში; (იხილეთ *რუკები* დანართში 3).

2008 წლის აგვისტომდე რუსეთის ფედერაცია, სეპარატისტული რეჟიმებისა და ე.წ. სამშვიდობო ძალების მეშვეობით, საქართველოს ორი რეგიონის „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს აკონტროლებდა, ანუ საქართველოს საზღვრებში საკუთარი კვაზიბუფერები ჰქონდა შექმნილი. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის ქვეშ დარჩენილი იყო აფხაზეთში კოდორის ხეობა, „სამხრეთ ოსეთში“ კი დიდი ლიახვის, პატარა ლიახვისა და ფრონეს ხეობები, ასევე ახალგორის რაიონის უმეტესი ნაწილი. აფხაზეთისაგან განსხვავებით, სადაც ეთნიკური ქართველებით დასახლებულ გაღის რაიონს სოხუმის მარიონეტული რეჟიმი დანარჩენი საქართველოსაგან განმაცალკევებელ ერთგვარ

¹⁸¹ *Background Note: Taiwan* (Washington, DC: US Department of State, October 2009), <http://www.state.gov/r/pa/ei/bgn/35855.htm> (accessed 25.11.2009).

კვაზიბუფერად დღემდე იყენებს, შიდა ქართლში ცხინვალის მარიონეტული რეჟიმისა და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი არეალების ჭადრაკული განლაგება და პირდაპირი შეხება კონფლიქტის ესკალაციისათვის ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა, რაც, საბოლოო ჯამში, რუსეთმა ოსტატურად გამოიყენა და, 2008 წლის 29 ივლისიდან 7 აგვისტომდე შეიარაღებული ინციდენტების პროვოცირებით, საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის დასაწყებად საბაზი ადვილად გამოძებნა.

2008 წლის 7-12 აგვისტოს საომარი მოქმედებებისა და საქართველოს სამთავრობო ძალების „სამხრეთ ოსეთიდან“ და აფხაზეთიდან უკან დახევის შემდგომ, რუსულმა არმიამ ორივე რეგიონის სრული ოკუპაცია მოახდინა და, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დადების მიუხედავად, ცენტრალურ და დასავლეთ საქართველოში დამატებითი ტერიტორიები დაიკავა. 22 აგვისტოს რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის გარშემო ე.წ. „უსაფრთხოების/ბუფერული ზონების“ შექმნის შესახებ განცხადება გააკეთა, რომელთა საზღვრებად შემდეგი დასახლებული პუნქტები შეარჩია: აფხაზეთის მიმართულებით ნაბადა, ჭალადიდი, სენაკი, კვირა, ხუდონი, გუნაგუა, ჯიკმური, ოჩამჩირე და ანაკლია, „სამხრეთ ოსეთის“ მიმართულებით კი პერევი, გოდორა, ალი, ვარიანი, იკოთი, წიარა და ფცა.¹⁸² თუმცადა, რუსების მიერ „უსაფრთხოების/ბუფერულ ზონებად“ წოდებული ეს ტერიტორია ბუფერი არ იყო და, უბრალოდ, მათ მიერ ოკუპირებული არეალს წარმოადგენდა.

26 აგვისტოს რუსეთის ხელისუფლებამ „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“ აღიარა, ხოლო 17 სექტემბერს მათ დე ფაქტო მთავრობებთან „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების“ ხელშეკრულებებს მოაწერა ხელი,¹⁸³ რითაც საქართველოს ამ ორი რეგიონის

¹⁸² “Генштаб РФ назвал границы “буферной зоны” в Грузии,” ИА “Росбалт,” 22.08.2008, <http://www.rosbalt.ru/2008/08/22/516376.html> (accessed 27.11.2009); საქართველოს ხელისუფლების მიერ ტალიავინის კომისისათვის მიწოდებული მასალები, <http://georgiaupdate.gov.ge/en/tagliavini> (accessed 27.11.2009).

¹⁸³ Президент России, Выступления и Стенограммы, Заявления после подписания договоров о дружбе, сотрудничестве и взаимной помощи с республиками Абхазия и Южная Осетия, <http://news.kremlin.ru/transcripts/1436>; *Договор о дружбе, сотрудничестве и взаимной помощи между Российской Федерацией и Республикой Южная Осетия*, 17 сентября 2008 года, <http://tours.kremlin.ru/text/docs/2008/09/206582.shtml>; *Договор о дружбе, сотрудничестве и взаимной*

საკუთარ კვაზიბუფერებად ფორმირების პროცესი დაასრულა. 2008 წლის 8 ოქტომბერს რუსულმა არმიამ ზემოსხენებული ე.წ. „უსაფრთხოების/ბუფერული ზონები“ დატოვა და აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიების საბჭოთა კავშირის დროინდელ ადმინისტრაციულ საზღვრებთან გამაგრდა.¹⁸⁴

ამ პერიოდიდან მოყოლებული დღემდე რუსეთი „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის მილიტარიზაციას აგრძელებს. 2009 წლის განმავლობაში შესამჩნევად განვითარდა „სამხრეთ ოსეთში“ განლაგებული რუსეთის შეიარაღებული ძალების მე-4 სამხედრო ბაზის ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს: ჯავის რაიონის სოფელ უგარდანთისა და ქალაქ ცხინვალის სამხედრო ბაზებს, ასევე ახალგორის რაიონის სოფელ ყანჩავეთის სამხედრო ბანაკს. სოფელ უგარდანთის მახლობლად მოწყობილია აეროდრომი სამხედრო ვერტმფრენებისათვის. არანაკლები ინტენსივობით ვითარდება აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის არმიის მე-7 სამხედრო ბაზა, რომლის შემადგენლობაშია: ქალაქ გუდაუთასთან მდებარე აეროდრომ ბომბორის სამხედრო ბაზა და ოჩამჩირის საზღვაო პორტი, რომლის რეკონსტრუქციის დასრულება 2010 წელს იგეგმება, რათა იქ რუსეთის შავი ზღვის ფლოტისა და სანაპირო დაცვის მცირე ზომის გემების ბაზირება მოხდეს. სამხედრო დანიშნულებით გამოიყენება ქალაქ სოხუმთან მდებარე ბაბუშარას აეროპორტიც, რომელსაც მსხვილი სამხედრო სატრანსპორტო თვითმფრინავების მიღება შეუძლია.¹⁸⁵

რუსი სამხედრო ექსპერტის ანტონ ლავროვის აზრით, მიუხედავად რუსეთის ხელისუფლების ოფიციალური განცხადებებისა, რომელთა მიხედვითაც, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ „სამხრეთ ოსეთსა“ და აფხაზეთში 3800-3800 რუსი სამხედრო მოსამსახურეა განთავსებული, მოსკოვს ამ ტერიტორიებზე შეიარაღებული ძალებით მანევრირების სრული თავისუფლება აქვს და ნებისმიერ დროს მათი რიცხვისა თუ სამხედრო

помощи между Российской Федерацией и Республикой Абхазия, 17 сентября 2008 года, <http://tours.kremlin.ru/text/docs/2008/09/206583.shtml> (accessed 30.11.2009).

¹⁸⁴ საქართველოს ხელისუფლების მიერ ტალიავინის კომისისათვის მიწოდებული მასალები, <http://georgiaupdate.gov.ge/en/tagliavini> (accessed 27.11.2009).

¹⁸⁵ Антон Лавров, “Послевоенное обустройство вооруженных сил России в новопринятых республиках Абхазия и Южная Осетия,” *Танки Августа: Сборник статей*, Михаил Барабанов, Антон Лавров, Вячеслав Целуйко (Москва: Центр анализа стратегии и технологии, 2009), 128-133.

ტექნიკის გაზრდა შეუძლია.¹⁸⁶ 2009 წლის მაისიდან ამას ემატება რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო ძალების დაახლოებით 1200-1200 კაციანი დაჯგუფებები, რომლებსაც ოკუპაციის ხაზის „სახელმწიფო საზღვრის“ რეჟიმში დაცვა ევალებათ.¹⁸⁷

რუსი ექსპერტების შეფასებით, „სამხრეთ ოსეთსა“ და აფხაზეთში დისლოცირებული რუსული სამხედრო დანაყოფები უახლესი სამხედრო ტექნიკით არიან აღჭურვილნი. კერძოდ, მათ შეიარაღებაში გააჩნიათ:

- „სამხრეთ ოსეთში:“ 41 ტანკი Т-72 Б(М), 150-ზე მეტი ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-2, 152მმ-იანი თვითმავალი ჰაუბიცების 2С3 „АКАЦИЯ“ 2 დივიზიონი, 122მმ-იანი ზალპური ცეცხლის რეაქტიული დანადგარების БМ-21 „ГРАД“-ის 1 დივიზიონი, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის კომპლექსები БУК-М1 და 2С6М „ТУНГУСКА“ და სხვა შეიარაღება;
- აფხაზეთში: 41 ტანკი Т-90, 150-ზე მეტი ჯავშანტრანსპორტიორი БТР-80, 143 ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-2, 152მმ-იანი თვითმავალი ჰაუბიცების 2С3 „АКАЦИЯ“ 2 დივიზიონი, 122მმ-იანი ზალპური ცეცხლის რეაქტიული დანადგარების БМ-21 „ГРАД“-ის 1 დივიზიონი, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის კომპლექსები ОСА-АКМ, ЗСУ-23-4 „Шилка“, 2С6М „ТУНГУСКА“, С-300 ПС და სხვა შეიარაღება.¹⁸⁸

¹⁸⁶ Антон Лавров, “Послевоенное обустройство вооруженных сил России в новопринятых республиках Абхазия и Южная Осетия,” *Танки Августа: Сборник статей*, Михаил Барабанов, Антон Лавров, Вячеслав Целуйко (Москва: Центр анализа стратегии и технологии, 2009), 127.

¹⁸⁷ Ibid., 134-136; Президент России, Выступления и Стенограммы, Россия подписала соглашения с Абхазией и Южной Осетией о совместных усилиях в охране государственных границ этих республик, <http://archive.kremlin.ru/text/themes2009/04/215697.shtml>; *Соглашение между Российской Федерацией и Республикой Южная Осетия о совместных усилиях в охране государственной границы Республики Южная Осетия*, 30 апреля 2009 года, <http://archive.kremlin.ru/text/docs/2009/04/215691.shtml>; *Соглашение между Российской Федерацией и Республикой Абхазия о совместных усилиях в охране государственной границы Республики Абхазия*, 30 апреля 2009 года, <http://archive.kremlin.ru/text/docs/2009/04/215690.shtml> (accessed 30.11.2009).

¹⁸⁸ Антон Лавров, “Послевоенное обустройство вооруженных сил России в новопринятых республиках Абхазия и Южная Осетия,” *Танки Августа: Сборник статей*, Михаил Барабанов, Антон Лавров, Вячеслав Целуйко (Москва: Центр анализа стратегии и технологии, 2009), 131, 129.

2009 წელს რუსეთის ხელისუფლება ინტენსიურად აგრძელებდა საქართველოს ოკუპირებული რეგიონების სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, საჭიროების შემთხვევაში რუსეთიდან მიიმე სამხედრო ტექნიკის დამატებით აქეთ გადმოსროლისა და მისი უფრო ადვილად გადაადგილების უზრუნველსაყოფად. მაგალითისათვის, ამჟამად მიმდინარეობს ვლადიკავკაზი-ცხინვალის დამაკავშირებელი ტრანსკავკასიური მაგისტრალის გაფართოება, მასზე დაგეგმილია 4 გვირაბის აშენება და ხიდების რეკონსტრუქცია. 2010 წელს დასრულდება ცხინვალის-ახალგორის დამაკავშირებელი გზის მშენებლობაც. აფხაზეთში კი, ოჩამჩირის საზღვაო პორტის გარდა, სარკინიგზო ხაზებისა და ბაბუშარას აეროპორტის რეაბილიტაციაა დაწყებული, რაც, პირველ რიგში, ამ ობიექტების სამხედრო გამტარიანობის ამაღლებას ემსახურება.¹⁸⁹

ასე რომ, 2010 წლისათვის რუსეთის მიერ ოკუპირებული და საქართველოს სიღრმეში საკუთარ კვაზიბუფერებად გადაქცეული „სამხრეთ ოსეთი“ და აფხაზეთი საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის შემდგომი სამხედრო ექსპანსიისათვის უფრო კარგ პლაცდარმებად მოგვევლინება. ამ რეგიონებში დისლოცორებულ რუსეთის სამხედრო დანაყოფებს ყველა სახის (როგორც ადამიანური, ისე ტექნიკური) რესურსი გააჩნიათ იმისათვის, რომ საქართველოს წინააღმდეგ მორიგი სამხედრო აგრესია წამოიწყონ და ამ კამპანიაში ავანგარდის როლი შეასრულონ, რის შემდგომაც რუსეთიდან დამატებითი სამხედრო დანაყოფების საქართველოში შემოდინება უფრო სწრაფად და ადვილად განხორციელდება. აქედან გამომდინარე, არსებობს მუდმივი საფრთხე იმისა, რომ რუსეთი, საქართველოში თავისი კვაზიბუფერების მეშვეობით, საბოლოო მიზნის მიღწევას – მოელი საქართველოს საკუთარ კვაზიბუფერად გადაქცევას ახლო მომავალში ისევ შეეცდება.

საინტერესოა, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში (EUMM), რომელიც აქ 2008 წლის 1 ოქტომბრიდან მოღვაწეობს,¹⁹⁰ რუსული ოკუპაციის ხაზთან შეიარაღებული ინციდენტების თავიდან ასაცილებლად,

¹⁸⁹ Антон Лавров, “Послевоенное обустройство вооруженных сил России в новопринятых республиках Абхазия и Южная Осетия,” *Танки Августа: Сборник статей*, Михаил Барабанов, Антон Лавров, Вячеслав Целуйко (Москва: Центр анализа стратегии и технологии, 2009), 134.

¹⁹⁰ “About EUMM,” EU Monitoring Mission in Georgia (EUMM), http://www.eumm.eu/en/about_eumm (accessed 01.12.2009).

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის სიღრმეში, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში, ბუფერული ზონების ფორმირებას ცდილობს. ფაქტობრივად, სწორედ ამას ისახავს მიზნად მისიის მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან 2009 წლის 26 იანვარს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან 2008 წლის 10 ოქტომბერს გაფორმებული და შემდგომ (შესაბამისად, 2009 წლის 26 აპრილს და 22 მაისს) განახლებული მემორანდუმები, რომლებითაც ქართულმა მხარემ ცალმხრივად ოკუპაციის ხაზის მიმდებარე რაიონებში სამხედრო დანაყოფების განლაგებაზე უარი თქვა და იქ მხოლოდ მსუბუქად შეიარაღებული პოლიციელების ყოფნას დასჯერდა.¹⁹¹ სამწუხაროდ, რუსეთის ხელისუფლების მიერ ოკუპირებულ რეგიონებში მსგავსი უსაფრთხოების რეჟიმის გავრცელებასა და ევროპულ დამკვირვებელთა შეშვებაზე უარის თქმა, აგრეთვე ამ უკანასკნელთა მისიის სადამკვირვებლო ფორმატი, რომელიც სამშვიდობო/პოლიციურ ფუნქციებს არ ითვალისწინებს, ოკუპაციის ხაზისპირა რაიონების ოკუპანთა და სეპარატისტთა შეიარაღებული თავდასხმებისაგან დაცვას ართულებს და მათი მოსახლეობისაგან დაცლის საფრთხეს შეიცავს, რაც რუსეთის ხელისუფლებასა და მათ მარიონეტულ რეჟიმებს საქართველოს ტერიტორიების შემდგომი მცოცავი ოკუპაციისაკენ უბიძგებს.

ამრიგად, ზოგადი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დემილიტარიზებული ზონები და სახელმწიფოთა შიდა ბუფერები/კვაზიბუფერები ძალის პოლიტიკისა და ქვეყნებს შორის ურთიერთობის ბუფერული/კვაზიბუფერული მოდელის განუყოფელი ელემენტებია, რომლებიც, კოლონიური იმპერიების დაშლის მიუხედავად, მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში, მათ შორის სამხრეთ კავკასიაში, ამჟამადაც აქტუალურობას არ კარგავს.

¹⁹¹ “EUMM and Georgian Ministry of Defence sign Memorandum of Understanding,” 26.01.2009, EU Monitoring Mission in Georgia (EUMM), http://www.eumm.eu/en/press_and_public_information/press_releases/796/; “EUMM satisfied with the compliance of the Georgian Ministry of Defence with restrictions on military movements,” 28.04.2009, EU Monitoring Mission in Georgia (EUMM), http://www.eumm.eu/en/press_and_public_information/press_releases/1233/; “EUMM Enhances Co-operation with the Georgian Ministry of Internal Affairs,” 27.05.2009, EU Monitoring Mission in Georgia (EUMM), http://www.eumm.eu/en/press_and_public_information/features/1464/ (accessed 01.12.2009).

დასკვნა

ამრიგად, ბუფერული სახელმწიფოები მეტ-ნაკლებად ერთნაირი სიძლიერის მეტოქე დიდ/ძლიერ სახელმწიფოებს ან ალიანსებს შორის არსებულ გეოპოლიტიკურ სივრცეში, ძირითადად ამ უკანასკნელთა სურვილით შექმნილი ან შენარჩუნებული, პატარა/სუსტი, ნებაყოფლობით ან იძულებით ნეიტრალური საგარეო პოლიტიკის მქონე სახელმწიფოები არიან, რომლებიც ამ ძალის პოლუსების გეოგრაფიული განცალკევებითა და მათ შორის ძალთა ბალანსისათვის ხელის შეწყობით საერთაშორისო სისტემის და/ან მისი რეგიონული ქვესისტემის დროებით სტაბილიზაციას ახდენენ – ვიდრე რომელიმე დიდი სახელმწიფო ან ალიანსი არსებულ წონასწორობას საკუთარი სურვილით არ დაარღვევს. ბუფერულ სახელმწიფოებთან მრავალი ნიშნით მიმსგავსებული კვაზიბუფერული სახელმწიფოები კი, ჭეშმარიტი ბუფერებისაგან განსხვავებით, ნეიტრალურ საგარეო პოლიტიკაზე უარს ამბობენ (ნებაყოფლობით ან იძულებით) და მხოლოდ ერთ-ერთი ძალის პოლუსის დამცავი ფარის ფუნქციას ასრულებენ, რითაც ხშირად ძალთა ბალანსის მექანიზმის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ და საერთაშორისო სისტემისა თუ მისი რეგიონული ქვესისტემის დროებითი სტაბილურობის შენარჩუნებას კიდევ უფრო ნაკლებად უწყობენ ხელს. ამის მიუხედავად, კვაზიბუფერულ სახელმწიფოებს, ბუფერულ სახელმწიფოებთან შედარებით, თვითგადარჩენის მეტი შანსი აქვთ – თუ, რაღა თქმა უნდა, „სწორ“ მხარეს დადგებიან დიდ სახელმწიფოთა კონფრონტაციაში ანუ გამარჯვებულის ბანაკში აღმოჩნდებიან, სადაც მათ მიერ დამოუკიდებლობის შენარჩუნების ალბათობა მაღალი იქნება.

საქართველოს, როგორც პოტენციურ ბუფერულ სახელმწიფოს, რომელიც 1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე აშშ/ნატო-სა და რუსეთის ძალის პოლუსებს შორის სივრცეში მდებარეობს, ეს ჭეშმარიტება, როგორც ჩანს, დღეისათვის გაცნობიერებული აქვს, რის გამოც ის, საკუთარი დამოუკიდებლობისადმი ჩრდილოეთიდან მუდმივად მომდინარე საფრთხის პირობებში, მართებულად არ თანხმდება ნეიტრალური, ბუფერული სახელმწიფოს როლს, რომელიც მისი სუვერენიტეტის მაღევე მოსპობას მოასწავებს, და დასავლეთის უსაფრთხოების „ქოლგის“ ქვეშ, თუნდაც, კვაზიბუფერის ადგილის მოპოვებას ცდილობს. სამწუხაროდ, 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, რუსეთმა საქართველოს

ტერიტორიის დაახლოებით 18%-ის ოკუპაცია მოახდინა, რითაც ჩვენი ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია ანუ აშშ/ნატოს კვაზიბუფერად გადაქცევა შეაფერხა და მისი გავლენის სფეროებად გახლეჩილ ფეთქებადსაშიშ ზონად ფორმირების პროცესს ჩაუყარა საფუძველი, ხელსაყრელ მომენტში საქართველოს დანარჩენი ტერიტორიის ოკუპაციისა და სახელმწიფოებრიობის მოსპობის მიზნით. ასეთ ვითარებაში კი, ვფიქრობ, საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ ფეთქებადსაშიშ ზონაში ძალთა და ინტერესთა წონასწორობის მიღწევა და ამ გზით როგორც ლოკალურ, ისე რეგიონულ დონეზე სტაბილურობის უზრუნველყოფა, სხვაგვარად რომ ვთქვათ აშშ/ნატო-ს მხრიდან მეტი მხარდაჭერისა და უსაფრთხოების გარანტიების მიღება, სულ მცირე, ომის შემდგომი სტატუს კვოს შესანარჩუნებლად, რათა რუსეთმა საქართველოში ძალის ვაკუუმი არ შეივრძნოს და ის, კვაზიბუფერული ერთეულის სახით, თავის გავლენის სფეროში არ დააბრუნოს.

ბუფერული და კვაზიბუფერული სახელმწიფოების უმრავლესობა ძნელად გადასალახი რელიეფითა და ეთნო-კულტურულად მრავალფეროვანი მოსახლეობით გამოირჩევა, რასაც მათ ტერიტორიაზე სტრატეგიული მნიშვნელობის საერთაშორისო მარშრუტებისა და კომუნიკაციების განლაგება თან ერთვის ხოლმე. გეოსტრატეგიულ და კულტურულ გზაჯვარედინებზე მდებარეობის ისტორიული თუ თანამედროვე გამოცდილება ასეთ ქვეყნებს, ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფოებრიობის განვითარებაში უშლის ხელს.

ბუფერული და კვაზიბუფერული სახელმწიფოები როგორც ხმელეთით, ისე წყლით შეიძლება ესაზღვრებოდნენ დაპირისპირებულ დიდ/ძლიერ სახელმწიფოებს ან ალიანსებს. ამასთან, პატარა/სუსტი სახელმწიფოები უფრო ადვილად ახერხებენ საერთაშორისო სისტემაში მშვიდობისმყოფელი ბუფერის ფუნქციის შესრულებას, როდესაც მეტოქე ძალის ცენტრებისაგან თანაბარი მანძილით არიან დაშორებულნი.

ბუფერული და კვაზიბუფერული სახელმწიფოები საერთაშორისო სისტემის ელემენტთა იერარქიაში დაბალ საფეხურზე მდგომი, სამხედრო თვალსაზრისით სუსტი პოლიტიკური ერთეულები არიან, რომელთაც, საბოლოო ჯამში, თავიანთი სუვერენიტეტის დამოუკიდებლად დაცვის უნარი არ გააჩნიათ. თუმცა, საკუთარი სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა რესურსების მობილიზებისა და ეფექტიანად გამოყენების წყალობით, თავიანთი ეროვნული

უსაფრთხოებისა და ბუფერული თუ კვაზიბუფერული სტატუსის წინააღმდეგ მიმართული მცირე საფრთხეების თავიდან აცილება მაინც შეუძლიათ.

დიდი/ძლიერი სახელმწიფოები ან ალიანსები მათ შორის შექმნილ გეოპოლიტიკურ ვაკუუმზე გავლენის დამყარებისათვის იბრძვიან, ამ „ცარიელ“ სივრცეში არსებული პატარა/სუსტი ქვეყნების საკუთარ მოკავშირეებად გადაქცევას ცდილობენ და მათი ნეიტრალურ ბუფერულ სახელმწიფოებად შენარჩუნების გადაწყვეტილებას მხოლოდ რეგიონული ძალთა ბალანსის, უფრო ზუსტად კი რეგიონის მასშტაბით ძალთა და ინტერესთა წონასწორობის/ეკვილიბრიუმის არსებობის შემთხვევაში იღებენ – როდესაც მოცემული გეოპოლიტიკური ვაკუუმის ვერც დანაწილებაზე და ვერც ერთიმეორისათვის დათმობაზე თანხმდებიან. საერთაშორისო სისტემაში ან მის რეგიონულ ქვესისტემაში ძალთა წონასწორობის დარღვევის შედეგად პოტენციური ან უკვე ჩამოყალიბებული ბუფერული არეალი შეიარაღებული კონფლიქტის კერად შეიძლება გადაიქცეს, რაც, როგორც წესი, მისი გავლენის სფეროებად დანაწილებით ან მთლიანად უფრო ძლიერი, გამარჯვებული ძალისადმი დაქვემდებარებით – კვაზიბუფერად გადაქცევით ან, სულაც, ანექსიით – სრულდება ხოლმე.

